პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექტ., № 64, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებსათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იბეგრება 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 11 იანვარი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 9 (2657)

დღიური

- საფრანგეთში დაიწყო დიდი სამეურნეო კრიზისი.
- ფაშისტების თავდასხმები მუშათა კრებებზე რუმინეთში.
- სექტემბერ-ოქტომბერში შეერთ. შტატებში სამუშაო დაჰკარგა 421.000 კაცმა.
- საბჭოთა სამხედრო გემები ნეაპოლში (იტალია).
- საბჭოთა კავშირიდან გერმანიაში წასულ კოლონისტებს აფრიკაში ასახლებენ.
- უმუშევრობის ზრდა ავსტრიაში.
- პოლონეთში ძლიერდება ეკონომიური კრიზისი.

კოლექტივიზაციის გზით

(ცეკას პლენუმისათვის)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი, რომელიც დღეს იხსნება, განიხილავს კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხს. კოლმეურნეობრივი მოძრაობა ახალ საფეხურზე გადავიდა. მანქანათმშენებლობის და სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე შეიქმნა საკმაო მატერიალური ბაზა შეუდარებლად მაღალი ტემპის ასაღებად გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის დარგში და კულაკის, როგორც კლასის, მოსასპობად გადამჭრელი შეტევის განსავითარებლად, უკანასკნელ თვეებში ისეთი „სტიქიური" სიმძლავრით და მასიურად იშლება კოლმეურნეობრივი მოძრაობა, რომ ჩვენ ვერ ვასწრებთ ამ მხრივ არსებულ მიღწევების უბრალო აღნუსხვასაც კი, მით უმეტეს კოლმეურნეობათა მშენებლობის სათანადო იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას და მისთვის საჭირო ტექნიკურ დახმარების აღმოჩენას. შექმნილი მდგომარეობა ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით აყენებს იმ ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბებას, რომელნიც წამოჭრილი არიან კოლმეურნეობათა განვითარების ახლანდელ პერიოდში, და ამ ამოცანების გარშემო მთელი ჩვენი ძალების და საშუალებათა მაქსიმალურ მობილიზაციას.

პირველ ყოვლისა, ყველასათვის უდავო ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს, რომ კოლმეურნეობრივი მოძრაობა მთავარი გზაა სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის. ეს უდავო დებულება იმიტომაა გასახსენებელი, რომ ზოგიერთებს ეჭვი შეაქვთ კოლმეურნეობათა ასეთ ხასიათში; მათი აზრით, კოლმეურნეობანი კერძო მსხვილი სასოფლო - სამეურნეო ორგანიზაციებია. ისინი გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ არსებულ კოლექტივების დიდი რიცხვი კიდევ მარტივი ტიპისაა, სადაც მთელი საწარმოო საშუალებები არ არის გაერთიანებული, აგრეთვე იმ გარემოებიდან, რომ კოლმეურნეობათა შემადგენლობის ნაწილი სოციალურად არადამაკმაყოფილებელია. მაგრამ ამ ნაკლოვანებებიდან, რომელნიც უნდა აღმოვფხვრათ და აღმოვფხვრით კიდეც კოლმეურნეობათა ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მათი სწორი ხელმძღვანელობის და კულაკობაზე შეტევის გაძლიერების საფუძველზე, რა თქმა უნდა, სრულიად შეუძლებელია აღნიშნული შეცდარი დასკვნის გამოყვანა კოლმეურნეობათა ბუნების შესახებ. არავინ ფიქრობს, რომ კოლმეურნეობები ახლანდელი სახით თანამიმდევარი სოციალისტური ტიპის სასოფლო - სამეურნეო წარმოებებია. „განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ კოლმეურნეობები, მთლიანად აღებული, მათი წინააღმდეგობებით და ნაკლოვანებებით, კოლმეურნეობები, როგორც სამეურნეო ფაქტი, საერთოდ წარმოადგენენ ახალ გზას სოფლის განვითარებისათვის, სოფლის სოციალისტურად განვითარების გზას წინააღმდეგ განვითარების კულაკურ და კაპიტალისტური გზისა?" **(სტალინი).** ეს ნათლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთელი ძალღონით და ენტუზიაზმით ჩავებათ კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

რა მომენტებს უნდა მიექცეს ყურადღება ამ მშენებლობის დროს? ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა კოლმეურნეობათა სოციალური შემადგენლობის გაჯანსაღება. ამ მხრივ მდგომარეობა ძალზე მოიკოჭლებს. კოლმეურნეობათა ცენტრს არ გააჩნია ცოტად თუ ბევრად სრული ცნობები ამ საკითხის შესახებ. ეს მოწმობს, თუ ამ დაწესებულების მუშაკებს როგორ სუსტად აქვთ შეგნებული ამ საკითხის მთელი მნიშვნელობა, აგრეთვე იმას, რომ მისი აპარატი დიდ გაუმჯობესებას მოითხოვს. უდავოა, რომ ბევრგან კოლმეურნეობებში შეპარული არიან სრულიად უცხო, კულაკური ელემენტები, ისიც არა მარტო უბრალო წევრებად, არამედ ზოგან ხელმძღვანელ ორგანოებშიც. აქა-იქ არსებობენ ცრუკოლექტივებიც, რომელნიც კულაკების ტყვეობაში იმყოფებიან. უნდა ჩავატაროთ კოლმეურნეობათა შემადგენლობის საფუძვლიანი წმენდა და იქიდან რკინის ცოცხით გამოვგავოთ კულაკები.

ამასთან ერთად ჩვენ ფხიზელი კონტროლი უნდა გაუწიოთ, რათა **ახალ** კოლმეურნეობებში უცხო ელემენტები არ გაძვრენ. აშკარაა, რომ კულაკები ცდილობენ იქ შესვლას სხვადასხვა შეღავათების მისაღებად და კოლმეურნეობათა გასახრწნელად. ეს ცდები თავიდანვე უნდა გავაქარწყლოთ. ამას კი ჩვენ შევძლებთ მოჯამაგირეთა და ღარიბთა მჭიდროდ დარაზმვით და საშუალო გლეხობის ძირითად მასასთან კავშირის განმტკიცებით. კულაკობის წინააღმდეგ უნდა გავაძლიეროთ მოჯამაგირეობის და ღარიბ, საშუალო გლეხთა მთლიანი ფრონტი.

კოლმეურნეობრივი მშენებლობა უაღრესად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში მიმდინარეობს. კულაკობა უკანასკნელ ზომებს მიმართავს ამ მოძრაობის შესაფერხებლად და თავისი საბოლოოდ განწირული მდგომარეობის გამოსასწორებლად. კოლექტიურ მეურნეობათა მოძრაობა უნდა გაიშალოს კულაკობაზე გადამწყვეტი შეტევის ლოზუნგით. მისი განადგურება, როგორც კლასის,—ასეთია ამოცანა.

კულაკურ მეურნეობათა მოსპობის ერთ-ერთ მთავარ პირობას კოლმეურნეობების ტექნიკური ბაზის განმტკიცება წარმოადგენს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ტრაქტორები და სხვა სასოფლო - სამეურნეო იარაღები უნდა გამოვიყენოთ გლეხურ მეურნეობათა განსაზოგადოების მიზნით. სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და სატრაქტორო კოლონები უნდა გადაიქცნენ იმ მძლავრ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ცენტრებად, რომელნიც თავიანთ გარშემო შემოიკრებენ მთელ რაიონების გლეხობას და დააჩქარებენ სოფლის მეურნეობის მთლიან კოლექტივიზაციას. ამისათვის ამ სადგურების და კოლონების რაციონალურ მოწყობას და ხელმძღვანელობას უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს.

მძლავრი ტექნიკურ ბაზის შექმნა ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემს დავაჩქაროთ სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია. ამ მხრივ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგროინდუსტრიალური კომბინატის შექმნა დასავლეთ საქართველოში, რაც უკვე გადაწყვეტილია. საერთოდ კოლმეურნეობებმა ფართედ უნდა მოკიდონ ხელი სხვადასხვა საწარმოთა მოწყობას სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მანქანების სრული დატვირთვა და მათი რიგიანი გამოყენება შეუძლებელია წვრილ კოლექტიურ მეურნეობებში. მათი გამსხვილება - გაერთიანების დარგში ჩვენ ბოლო დროს თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. მაგრამ ეს ოდნავადაც არ არის საკმარისი. ჩვენ გადაჭრით უნდა ავიღოთ გეზი მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციისაკენ, იმ ანგარიშით, რომ მოკლე დროში მივაღწიოთ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას. ამ გზით ჩვენ გაცილებით ადვილად მოვახერხებთ კოლმეურნეობათა მომარაგებას მანქანა - იარაღებით, აგრეთვე მათთვის საჭირო აგრონომიულ და სხვაგვარი დახმარების მიწოდებას

სახელმწიფო თავისი საშუალებებიდან შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურ თანხებს სდებს კოლმეურნეობების უზრუნველსაყოფად მანქანა-იარაღებით, მაგრამ მარტო სახელმწიფოს რესურსები ამისათვის როდი კმარა. მთავარია თვით გლეხობის სახსრების მობილიზაცია. ჩვენ ფართე კამპანია უნდა გავშალოთ კოლმეურნეობებში შესულ და შემავალ გლეხობის საშუალებათა შესაგროვებლად.

მაგრამ ჩვენი სატრაქტორო და სხვა სასოფლო - სამეურნეო მანქანა-იარაღების დამამზადებელი ქარხნები ჯერ ჯერობით ვერ ახერხებენ საკმაო რაოდენობით პროდუქციის გამოშვებას, თუმცა მათი მუშაობის გასაფართოვებლად სათანადო ზომებია მიღებული. ამიტომ აუცილებელია გლეხობის საწარმოო საშუალებათა მობილიზაცია და განსაზოგადოება. სანამ ჩვენ საკმაო ტექნიკური ბაზა არ გვაქვს მასიური კოლექტივიზაციის გასაშლელად, ჩვენ კოლმეურნეობები უნდა მოვაწყოთ ცოცხალ გამწევ ძალის საფუძველზეც. არის შემთხვევები, როცა კულაკების პროვოკაციის ზეგავლენით კოლექტივებში შემავალი გლეხები ყიდიან თავის ცოცხალ ინვენტარს და წარმოების სხვა იარაღებს. ამ მოვლენას ჩვენ მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგების კოლექტივიზაციას და ამ გზით კოლექტივიზაციის უმაღლეს ფორმაზე (კომუნები) გადასვლას. დღეს დღეობით, **როგორც ამ ფორმაზე გადასვლის საფეხურს,** ჩვენს მუშაობაში უდიდესი ადგილი უნდა დაეთმოს სას.-სამ. არტელების ორგანიზაციას, რადგან „მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცდილებამ კოლმეურნეობრივი მოძრაობის დღევანდელ საფეხურზე წამოაყენა კოლმეურნეობების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმად, ნაცვლად მიწის საზიაროდ დამმუშავებელ ამხანაგობებისა, რომელთაც, შრომის განსაზოგადოების გარდა, შეინარჩუნეს კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიც კოლექტიურად გაერთიანებული არიან წარმოების ძირითადი საშუალებანი (ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, სამეურნეო ნაგებობანი და პროდუქტიული საქონელი)" (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან).

შემდეგი მომენტი, რომელსაც სერიოზული ანგარიში უნდა გაეწიოს,—ესაა შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. ჩვენ უნდა მივაღწიოთ სრულ გარდატეხას შრომის დისციპლინის განმტკიცების და მის რაციონალურ განაწილების დარგში. საჭიროა პასუხისმგებლობის გაძლიერება, რათა კოლექტივის თვითეულმა წევრმა პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, უნდა იქნას შემოღებული სანარდო მუშაობა, პრემიალური სისტემა და სხვ. კოლმეურნეობათა წევრები თავისი შეგნებული საქმიანობით დანარჩენ გლეხებისათვის კოლექტიური შრომის მისაბაძი მაგალითები უნდა გახდნენ.

შრომის ცუდი ორგანიზაცია ერთ-ერთი მიზეზია მოსავლიანობის დაბალი ნაყოფიერებისა კოლმეურნეობებში. ამ მხრივ აგრეთვე აღსანიშნავია აგრონომიული ცოდნის დაბალი დონე, საფუძვლიანი საწარმოო გეგმების უქონლობა, მიწათმოწყობის ჩაუტარებლობა და სხვ. ამ ნაკლოვანებათა საფუძვლიანი საწარმოო გეგმების აღმოფხვრას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. აგრეთვე მწვავედ დგას კოლმეურნეობებში საერთოდ კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის საკითხი. აუცილებლად მოკლე დროში უნდა მივაღწიოთ კოლმეურნეობათა წევრებს შორის წერა - კითხვის უცოდინარობის მოსპობას და მათ კულტურულ გათვითცნობიერებას. ამ მიზნით ჩვენ იქ უნდა მოვაწყოთ კურსები, სკოლები, კლუბები და სხვ. კოლექტივებში ჯერ-ჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა ყოფა - ცხოვრების გარდაქმნას. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ამისათვის უნდა გაიხსნას სხვადასხვა საყოფა - ცხოვრებო დაწესებულებები.

კოლმეურნეობები მომზადებული ტექნიკური კადრებით სრულებით არ არიან უზრუნველყოფილი. ამავე დროს საგულისხმოა, რომ დაინტერესებული ორგანოები (კოლმეურნეობათა ცენტრი, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია, მიწადმოქმედების კომისარიატი) ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერს აკეთებენ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს შეუწყნარებელია. ჩვენ უახლოეს მომავალში უნდა მივაწოდოთ კოლმეურნეობებს მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული სხვადასხვა სპეციალისტების საკმაო რაცხვი

კოლმეურნეობათა წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანების შესრულება, თავის თავად ცხადია, გულისხმობს ხელმძღვანელობის საქმის გაჯანსაღებას. თვით კოლმეურნეობებში ადგილობრივი მომზადებული პარტიული კადრის შექმნასთან ერთად, ადგილობრივ პარტორგანიზაციების მხრით კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის გაძლიერებასთან ერთად, აუცილებელია სოფლად კოლმეურნეობებში ხანგრძლივად სამუშაოდ სამრეწველო ცენტრებიდან მოწინავე მუშების მივლინება, რომელნიც კოლმეურნეობრივ მშენებლობაზე პროლეტარულ გავლენას განამტკიცებენ და მტკიცედ გაატარებენ კლასობრივ ხაზს. ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა უნდა დავაჩქაროთ.

ასეთია ის ამოცანები, რომელნიც ჩვენს წინაშე დგანან კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში. ჩვენ მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიფოთ ამ ამოცანების გადასაჭრელად და საღ საფუძველზე დამყარებულ კოლექტივიზაციის პროცესის მაქსიმალური დაჩქარებისათვის.

კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ლეგენდა იმსხვრევა

იზრდება და ფართოვდება მუშათა კლასობრივი ბრძოლის ფრონტი

კაპიტალიზმთან ბრძოლაში ებმებიან მუშათა ახალი ასეული ათასები

საფრანგეთი

კაშენის გამოსვლა რკინისგზელთა მიტინგზე

პარიზი, 9 იანვარი. უნიტარული პროფკავშირების ხელმძღვანელობით მზადდება რკინისგზელების ბრძოლა სამუშაო ხელფასის მინიმუმისათვის— 44 საათიანი სამუშაო კვირის შემოღებისა და 7 საათის სამუშაო დღეზე გადასასვლელად. მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ორი ათას რკინისგზელზე მეტი, მხურვალედ მიესალმა კომპარტიის და შრომის უნიტარული კონფედერაციის ორატორებს.

კაშენს შეხვდნენ ოვაციით. მიტინგის მონაწილენი გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს საბჭოებს, მოვითხოვთ ამნისტიას".

კაშენმა მოიყვანა სტატისტიკური ცნობები და აღნიშნა, რომ კაპიტალისტური „აყვავება" ხანა მუშებისათვის ნიშნავს, საარსებო პირობების გაუარესებას და რეალური სამუშაო ხელფასის შემცირებას, რაც შედეგად მოსდევს კაპიტალისტურ რაციონალიზაციას და სიძვირეს.

კაშენმა ამხილა რეფორმისტების მოღალატური როლი.

დასასრულ მან განაცხადა:

„მიუხედავად რეპრესიებისა, რეფორმისტების „კეთილი" რჩევისა და სკეპტიკოსების და რენეგატების ჩურჩულისა, რკინისგზელები წავლენ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მიერ დასახული გზით. ეს გზაა ბურჟუაზიის დამხობა და მისი სახელმწიფო აპარატის განადგურება. რკინისგზელები მიჰყვებიან კომუნისტურ ლოზუნგს— კლასი კლასის წინააღმდეგ". (ადს)

„აყვავების" მეორე მხარე

პარიზი, 9 იანვარი. საფრანგეთის ხელმძღვანელ ბურჟუაზიულ წრეებში სერიოზულ შიშს იწვევს სიძვირის სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით ხორცისა და რძის პროდუქტების ფასების ზრდა, რაც მშრომელთა ფართო მასების დიდ უკმაყოფილებას იწვევს. ბურჟუაზიულ პრესაში მეტად ძნელდება გაგრძელება პროპაგანდისა საფრანგეთის „აყვავების" შესახებ, რომელიც ვითომ დაიწყო ხელისუფლების სათავეში ტარდიეს ჩადგომის შემდეგ.

პრაფკავშირთა სტატისტიკის წინასწარი ცნობების თანახმად, სიძვირის ინდექსი დეკემბერში შეადგენდა (ომის წინადროინდელი ფასებით 100) 800-ზე მეტს, მაშინ, როცა ნოემბერში ის უდრიდა 772-ს, ოქტომბერში—759-ს და აგვისტოში 744-ს.

მძიმე ინდუსტრიის ორგანო „ბიულეტენ კოტიდიენ"-ი საანგარიშო წერილში საგაფიცვო მოძრაობის შესახებ, ისეთ წერილში, რომელიც „აყვავების" სტილით არის დაწერილი, იძულებულია აღიაროს ხელფასისათვის ბრძოლის ხარისხობრივი და რაცხობრივი გაძლიერება.

წინასწარი ცნობების თანახმად, 1929 წლის განმავლობაში მოხდა 1.000-ზე მეტი გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 500.000-მდე მუშამ. 1928 წელს მოხდა 940 გაფიცვა 222.000 მუშის მონაწილეობით 1927 წელს 343 გაფიცვა 120.000 მუშის მონაწ. ბურჟუაზიული გაზეთები აშკარად აღიარებენ, რომ რაციონალიზაცია აუცილებლად გამოიწვევს გაფართოებულ ბრძოლას სამუშაო ხელფასისათვის. ერთი დიდი პროვინციალური გაზეთი სწერს:

„1930 წელიწადი იქნება სიძვირის ზრდისა და სიძვირესთან ბრძოლის გამწვავების წელი. ამ ბრძოლის შედეგებზე იქნება დამოკიდებული არა მარტო მახლობელი საპარლამენტო არჩევნების ბედი, არამედ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა და შეიძლება მთელი ჩვენი რეჟიმის სიმტკიცეც". (ადს)

მონმუსოს სიტყვა სასამართლოში

გასტონი, 9 იანვარი. სასამართლოს გამომძიებელმა დაჰკითხა კომპარტიის ც. კ-ის წევრს და შრომის უნიტარული კონფედერაციის გენერალურ მდივანს მონმუსოს, რომელიც დაპატიმრებულია 1929 წლის ივლისიდან. მას ბრალდება „შეთქმულება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უშიშროების წინააღმდეგ".

მონმუსომ შინაარსიან სიტყვაში დაახასიათა კომპარტიის და შრომის უნიტარული კონფედერაციის როლი. მისი სიტყვა, რომელიც არა ერთხელ შეაწყვეტინეს, ეხებოდა სასამართლოს მიერ მის წინაშე დასმულ სამ საკითხს.

პირველი კითხვა ეხებოდა წითელ ფრონტელთა ორგანიზაციას და თავდაცვის ჯგუფების შექმნას. მონმუსომ განაცხადა, რომ კომპარტია საჭიროდ სთვლიდა მუშების კანონიერ მოთხოვნების დაცვას, გაფიცვის უფლების დაცვას ყველა საშუალებებით, აგრეთვე ბრძოლას პოლიციასთან, რომელიც მოქმედებს სოციალ- რეფორმისტებთან კავშირში. მონმუსო ფიქრობს, რომ ბრალდების საფუძვლად ვერ გამოდგება საერთაშორისო წითელი დღე —1 აგვისტო, რომელიც სასამართლოს აზრით აჯანყების დღეთ იყო დანიშნული.

მეორე კითხვა ეხებოდა კომპარტიისა და შრომის უნიტარული კონფედერაციის ურთიერთობას. მონმუსომ განაცხადა, რომ კომპარტია და შრომის უნიტარული კონფედერაცია არ წარმოადგენენ ერთსა და იმავე ორგანიზაციას. ისინი დიდათ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, როგორც თავიანთი სტრუქტურით, ისე თავიანთ როლით მუშათა მოძრაობაში. უნიტარულმა კონფედერაციამ, ისევე, როგორც სხვა ორგანიზაციებმა, რომელნიც გამოეხმაურნენ კომპარტიის მოწოდებას 1 აგვისტოს, ეს მოიმოქმედა თავისი პასუხისმგებლობით.

მესამე კითხვა ეხებოდა კომპარტიის ანტიმილიტარისტულ მუშაობას, რომლის ცალკე მომენტები, სასამართლოს აზრით, ამტკიცებენ „შეთქმულების" არსებობას. მონმუსომ განაცხადა, რომ კომპარტიას ომის საფრთხესთან ბრძოლაში იმპერიალისტური არმია მიაჩნია კაპიტალისტური მმართველი უმცირესობის ძირითად დასაყრდენ ძალად და კომპარტიის მხრივ დანაშაული იქნებოდა, რომ ბრძოლის კონკრეტულ საშუალებებზე მითითების გარეშე მოუწოდოს მუშებს იბრძოლონ ბურჟუაზიის ბლოკის, პოლიციისა და არმიის წინააღმდეგ. კომპარტია თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად სთვლის მუშაობას ყაზარმებში მყოფ მუშათა და გლეხთა პროლეტარული სოლიდარობის განსამტკიცებლად. (ადს)

ინგლისი

2.000 მემაღაროეს გაფიცვა

ლონდონი, 9 იანვარი. მარაინის მაღაროში 2.000 მემაღაროემ უარი სთქვა მუშაობაზე, რადგან მანქანები მაღაროში დაზიანებული აღმოჩნდა. (ადს).

მრეწველები მადლობას უხდიან „მუშათა" მინისტრს

ლონდონი, 9 იანვარი. საფეიქრო მრეწველობის მწარმოებელთა გაერთიანებამ სამადლობელო წერილი გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს კლინსს იმ სწრაფი დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინა მან: მათი მოთხოვნის თანახმად კლაინსმა პოლიცია გაგზავნა გაფიცულთა პიკეტების გასაფანტავად.

შეერთ. შტატები

კლასობრივი განაჩენები

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. ამ ბოლო დროს შეერთებული შტატების ხუთ შტატში 91 მუშას მიუსაჯეს გრძელვადიანი პატიმრობა. განაჩენები გამოტანილ იქნა იმ კანონების საფუძველზე („კანონმდებლობა დანაშაულებრივი სინდიკალიზმის შესახებ"), რომელნიც მიმართულნი არიან რევოლუციონური პროფკავშირების და პოლიტიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. (ადს)

უმუშევრობა

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. ყოველკვირეული ეკონომიური ჟურნალის „ანალისტ"-ის ცნობით, 1929—30 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო დაჰკარგა მრეწველობის სხვადასხვა დარგის 421.000 მუშამ. (ადს).

თავდასხმა სტამბაზე

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტას პოლიცია თავს დაესხა სტამბებს და კონფისკაცია უყო მთელ აღმოჩენილ კომუნისტურ ლიტერატურას. (ადს).

პოლონეთი

ეკონომიური დაქვეითება

ვარშავა, 9 იანვარი. მრეწველთა ორგანო „პშეგლენდ გოსპოდარჩი" ეხება პოლონეთის ეკონომიურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ წარსულმა წელმა განვლო ეკონომიური დაქვეითების ნიშნით. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთი დეპრესიის პერიოდში გადავიდა. (ადს).

მასიური დაპატიმრებანი

ვარშავა, 9 იანვარი. ვარშავაში დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, რომლებსაც დაბრალეს კომუნისტური აგიტაციის წარმოება უმუშევართა შორის. დაპატიმრების მიზანია ჩაშლილ იქნას უმუშევართა დემონსტრაცია, რომელიც ვარშავაში მზადდება.

პოზნანში დააპატიმრეს ქალაქის თვითმმართველობის წევრი და მუშურ-გლეხური ბლოკის ფრაქციის თავმჯდომარე ფიალკოვსკი. მას აბრალებენ უმუშევართა დემონსტრაციის მოწყობას. (ადს).

ვარშავა, 9 იანვარი. ვილნოში პოლიციამ დაბეჭდა გემოკვების მუშათა პროფკავშირის სადგომი. პროფკავშირს აბრალებენ, რომ მის მუშაობას „კომუნისტური ხასიათი" აქვს. (ადს).

გერმანია

ბერლინის მუშების საპროტესტო დემონსტრაცია

ბერლინი, 9 იანვარი. ბერლინის მუშების დემონსტრაციას, რომელიც გაიმართა ფაშისტების მიერ მოკლულ კომუნისტ ნეიმანის დასაფლავების დროს პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, ფართო ხასიათი ჰქონდა. ახალი შეტაკება პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის არ მომხდარა. დემონსტრაციის შემდეგ დახურულ შენობებში გაიმართა მიტინგები. მიტინგებზე იმდენმა მუშამ მოიყარა თავი, რომ ბევრგან საჭირო შეიქნა პარალელური მიტინგების მოწყობა.

7 საათის სამუშაო დღის ლოზუნგით

ბერლინი, 9 იანვარი. ბერლინის ოპოზიციონური ქარხკომების წარმომადგენელთა და რევოლუციონურ რწმუნებულთა კრებამ განიხილა მუშების მასიური დათხოვნის, სიძვირის და ქარხკომების არჩევნების საკითხები. ქარხკომების წარმომადგენლები თავიანთ მოხსენებებში აღნიშნავდნენ მუშათა აქტივობის არაჩვეულებრივ ზრდას. ერთხმად მიღებული რეზოლუცია სასტიკად კიცხავს სოციალ-დემოკრატიის მოღალატურ პოლიტიკას და მოუწოდებს ბერლინის ყველა მუშებს ყველა საწარმოებში აირჩიონ რევოლუციონური რწმუნებულები ხელფასის გადიდებისათვის, მუშათა მასიური დათხოვნის წინააღმდეგ, ხელფასის შეუმცირებლად 7 საათის სამუშაო დღის შემოღების სასარგებლოდ ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. რეზოლუცია მოუწოდებს მუშებს ქარხკომების მომავალი არჩევნების დროს წამოაყენონ დამოუკიდებელი ოპოზიციონური სიები. (ადს).

სერბია

კომპარტიის წევრობისათვის

ვენა, 9 იანვარი. 31 დეკემბერს ბელგრადის საგანგებო სასამართლომ ხუთი წლით დაპატიმრება მიუსაჯა ხორვატელ ილინკო ხაპორს, რომელსაც კომპარტიის წევრობა ბრალდებოდა.

ავსტრია

უმუშევრობის ზრდა

ვენა, 9 იანვარი. ოფიციალური ცნობებით, დეკემბრის მეორე ნახევარში უმუშევართა რიცხვი ავსტრიაში 33.400 კაცით გაიზარდა. იმ უმუშევართა რიცხვი, რომლებიც დახმარებას იღებენ, 227.000 უდრის. არის კიდევ 33.000 აღრიცხული უმუშევარი, რომლებსაც წართმეული აქვთ დახმარების მიღების უფლება. 30.000 უმუშევარი გადაყვანილია მოხუცებულობის გამო დაზღვეულთა რიცხვში. გარდა ამისა ავსტრიაში არის 50.000 უმუშევარი, რომლებიც აღრიცხული არ არიან.

მუშების მასიური დათხოვნა გრძელდება. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დაიხურა 30 საფეიქრო ფაბრიკა. (ადს).

ჩეხო-სლოვაკია

შუშის მჭრელების გაფიცვა

პრაღა, 9 იანვარი. სკალიცაში (სლოვაკია) გაიფიცნენ შუშის მჭრელები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას (ადს).

რეპარაციების საკითხი ჰააგაში

ჰააგა, 9 იანვარი. მოლაპარაკება გერმანიის რეპარაციების შესახებ მეტად ნერვიულ პირობებში სწარმოებს.

ჰავასის სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა იმ განცხადების შესახებ, რომელიც ტარდიემ გააკეთა ექვსი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირზე. ტარდიე გერმანიის დელეგატებს ბრალს სდებს იმაში, რომ გარანტიების ნაცვლად ისინი იძლევიან საზეიმო დაპირებებს იუნგის გეგმის შესრულების შესახებ. ამით ისინი აშკარავებენ, რომ ეს დაპირებები სანდო არ არის. ტარდიეს განცხადების გამოქვეყნებამ დიდი სენსაცია გამოიწვია. გერმანიის დელეგაციის დასამშვიდებლად საფრანგეთის დელეგაციამ 24 საათის შემდეგ გამოაქვეყნა შემარიგებელი განცხადება, რის შემდეგ გერმანიის დელეგაციამ ინციდენტი ამოწურულად სცნო. მიუხედავად ამისა ატმოსფერო კონფერენციაზე კვლავ ნერვიულია. (ადს).

საფრანგეთის მემორანდუმი

ჰააგა, 9 იანვარი. გერმან-ის დელეგაციას გადაეცა მემორანდუმი, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ სანქციები უქმდება მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, სანამ გერმანია ასრულებს იუნგის გეგმას. გერმანია კი, პირიქით, მოითხოვს სანქციების სრულ გაუქმებას, რადგან მიუღებლად მიაჩნია მდგომარეობა, როცა მის სარეპარაციო ვალს აქცევენ კომერციულ ვალად, გერმანია კი რჩება ქვეყნად, რომელსაც პოლიტიკური და სამხედრო რეპრესიები ემუქრება.

შენიშვნა: გერმანიის სარეპარაციო ვალის ნაწილის გადაქცევა კომერციულ ვალად, რაც განზრახულია სპეციალური სესხის გამოშვების საშუალებით, გერმანიას ცალკე სახელმწიფოთა მოვალედან აქცევს კერძო პირთა—სესხის ობლიგაციების მფლობელთა მოვალედ, ამგვარი მდგომარეობა, რასაკვირველია, შეუძლებლად ხდის გერმანიის მიერ ვალის გადახდის ვადის გაგრძელების მოთხოვნას, ან უარის თქმას ვალის გადახდაზე, რადგან ეს მოასწავებს გერმანიის გაკოტრებას. (ადს).

ინდოელ ნაციონალისტების სრული კაპიტულაცია

განდის წერილი

ლონდონი, 9 იანვარი. განდიმ თავის ორგანოში „ახალი ინდოეთი" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც სწერს:

„თუ ინგლისის მთავრობა წინადადებას მისცემს ნაციონალურ კონგრესს—გაგზავნოს დელეგატები კონფერენციაზე არა რაიმე სქემის განსახილველად, არამედ ინდოეთის დამოუკიდებელი მთავრობის სავსებით რეალური სქემის შესამუშავებლად, კონგრესის ლიდერები სიხარულით გამოეხმაურებიან ამ მიპატიჟებას. ბოლოს და ბოლოს ამგვარი კონფერენცია ოდესმე უნდა შესდგეს".

ბოზის განცხადება

ლონდონი, 9 იანვარი. ნაციონალური კონფერენციის მემარცხენე ფრთის ლიდერმა ბოზმა წინადადება მისცა მოხალისეთა (ინდოეთის კონგრესის ნებაყოფლობითი ორგანიზაცია სხდომების, მანიფესტაციების და სხვ. დასაცავად) პირველ ხანებში „სამოქალაქო ურჩობის" კამპანია გაატარონ ბანდბილში, სადაც გლეხები უარს ამბობენ გადასახადის გადახდაზე. ბოზე აცხადებს, რომ თუ სამოქალაქო ურჩობის კამპანია წარმატებით გატარდა ბანდბილში, მაშინ შეიძლება მისი გავრცელება სხვა ოლქებზედაც. (ადს).

პოლონელი მენშევიკების ორჭოფული პოლიტიკა

ვარშავა, 9 იანვარი. პოლონეთის სოციალისტური პარტია ბარტელის მთავრობის მიმართ ორჭოფულ პოლიტიკას აწარმოებს. პოლონეთის სოციალისტური პარტიის დეპუტატები მხარს უჭერენ ახალ მთავრობას სეიმში, აგრეთვე კენჭს ყრის დროს საბიუჯეტო კომისიაში, ხოლო ამავე დროს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აქვეყნებს რეზოლუციას, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბარტელის მთავრობის შექმნამ ახალი არაფერი შეუტანია მაისის შემდეგ გაბატონებულ რეჟიმში, ამიტომ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია იმოქმედოს ამ რეჟიმის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

პირველი პირდაპირი მატარებლის გასვლა

მოსკოვი, 10 იანვარი. გზათა სახალხო კომისარმა აღმოს.-ჩინ. რკ. გზ. ახალი გამგის ამხ. რუდისაგან მიიღო დეპეშა, რომლითაც იგი შუამდგომლობს—აღდგენილ იქნეს მიმოსვლა ციმბირის რკინის გზით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გავლით, რაც შეწყვეტილი იყო გზის დაპყრობის გამო. გზათა კომისარიატმა დაადგინა აღადგინოს მიმოსვლა. პირველი მატარებელი მოსკოვი-მანჯურია გავა 22 იანვარს. მიმოსვლის ცხრილი ძველი დარჩა. (ადს).

გზათა სახალხო კომისარის ბრძანება

მოსკოვი, 10 იანვარი. გზათა სახალხო კომისარმა ტრანსპორტის ყველა ორგანოებს წინადადება მისცა—სასწრაფოდ შეადგინონ იმ მუშებისა და მოსამსახურეების სიები, რომლებმაც, ჩინეთის მთავრობის აგენტების, ჩინეთის ჯარების და თეთრგვარდიელთა ბრბოების უკანონო მოქმედების შედეგად განიცადეს პირადი, ნივთიერი ან ქონებრივი ზარალი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დაკავებასთან დაკავშირებით. ბრძანება არ შეეხება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც რკინის გზის დაკავების პერიოდში არ მიუტოვებიათ სამსახური ან დაბრუნდნენ რკინის გზაზე მაშინ, როდესაც გზაზე ნორმალური მდგომარეობა იქნა აღდგენილი. (ადს).

ყალბი ჩერვონცების დამმზადებელთა პროცესი

შმიდტის ჩვენება

ბერლინი, 9 იანვარი. ბრალდებული შმიდტი (ფაბრიკის პატრონის შვილი და ფაბრიკის ერთი მფლობელთაგანი) სასამართლოს დაწვრილებით უამბობს ანტისაბჭოთა გეგმების შესახებ, კერძოდ, იმ გეგმის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა უკრაინის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან.

„მე 10.000 მარკა გავეცი ერთი კომერციული საქმისათვის,—ამბობს შმიდტი,—და არა ყალბი ჩერვონცების დამზადებისათვის. გენერალ ჰოფმანთან საუბარმა დამარწმუნა, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირს ჩამოშორდეს უკრაინა და სამხრეთ რუსეთის ის ნაწილი, რომელიც უხვად არის დაჯილდოვებული ბუნებრივი სიმდიდრით და სადაც შეიძლება ინგლის-გერმანიის კაპიტალების დაბანდება".

შმიდტმა სთქვა, რომ, ჰოფმანის სიტყვით, ქარუმიძემ „გერმანიის საქმეს" დიდი სამსახური გაუწია იმით, რომ სამხრეთ რუსეთში მოაწყო საბოტაჟის აქტები, ხელი შეუწყო იარაღის გაგზავნას და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას. შმიდტი თანამშრომლობდა კავკასიის კომიტეტთან პარიზში და თითონაც ყოფილა იქ. ბრბოს მოქმედება მარტო გერმანიის ტერიტორიით არ განისაზღვრებოდა. შმიდტი შეეხო თავის ავანტიურისტულ მოქმედებასაც ბულგარეთში.

„მე 5.000 მანეთი დავაბანდე იმ ეკონომიურ-პოლიტიკურ საქმეებში,—ამბობს იგი,—რომელსაც ბელე ბალკანეთში აწარმოებდა. ეს სპეკულიაციები საჭირო იყო იმისათვის, რომ მოგვეპოვებინა იქ პოლიტიკური გავლენა, ვინაიდან ბულგარეთი ჩვენთვის წარმოადგენდა ბაზას უკრაინისა და კავკასიის წინააღმდეგ მოქმედებისათვის".

თავმჯდომარე შეეკითხა შმიდტს ამ სპეკულიაციების ხასიათის შესახებ.

„იარაღის კონტრაბანდის წესით შეტანა, მარცვლეულის და ნავთის შესახებ გარიგებების დადება"-ო,—უპასუხა შმიდტმა.

შმიდტის დაკითხვის შემდეგ ქარუმიძის დამცველმა, ვექილმა ზერმა მოითხოვა სასამართლოს კარების დახურვა, რადგან საჭიროა,—განაცხადა მან,—წაკითხულ იქნას ისეთი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს ქარუმიძის პატიოსნებას და მისი მოქმედების პოლიტიკურ საფუძვლებს. 15 წუთის განმავლობაში სხდომა დახურულ კარებში მიმდინარეობდა. საფიქრებელია, რომ სხდომის დახურვის დროს დამცველმა სასამართლოს წარუდგინა საყურადღებო დოკუმენტები იმის შესახებ, რომ ქარუმიძეს და სხვა ბრალდებულებს კავშირი ჰქონდათ მთავრობის ორგანოებთან.

ბელეს დაკითხვა

შემდეგ დაჰკითხეს ბელეს.

„მე არა ვარ ერჰარდტის (ცნობილი ფაშისტი) თანამოაზრე,—იწყებს ბელე—მე, სიმართლე თუ გნებავთ, რწმენით უფრო სოციალ-დემოკრატი ვარ. ზევერინგი ხომ.."ქ თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს ბელეს, რომელმაც შემდეგ გადასცა სასამართლოს, რომ შმიდტმა პოლიტიკურ მიზნებს სულ ცოტა 20-30000 მარკა მოახმარაო, სოფიაში ბელე ქარუმიძესთან ერთად წავიდა. ქარუმიძე საუკეთესო განწყობილებაში იყო ბულგარეთის პოლიტიკურ მოღვაწეებთან. „შავი ზღვის პრობლემასთან დაკავშირებით, ბულგარეთი ჩვენთვის მეტად საყურადღებო როლს თამაშობდა",—ათავებს ბელე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულებს სასამართლო მეტად ფრთხილად აძლევს შეკითხვებს და არავინ არ უშლის მათ ხელს, როდესაც ისინი უკიდურესად გულუბრყვილო განმარტებებს მიმართავენ. თუ ბრალდებულ გერმანელებს შემთხვევით მისცემენ ისეთ შეკითხვებს, რომელიც მათთვის სასურველი არ არის, მაშინ ისინი იმუქრებიან, რომ გამომჟღავნებენ მთავრობის ორგანოებთან კავშირს. თავმჯდომარის ერთ შეკითხვაზე ბელემ, მაგალითად, ასეთი პასუხი მისცა:

„მე მივიღე ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივნისაგან და, თუ თქვენ შემდეგშიაც განაგრძობთ ამგვარი კითხვების მოცემას, იძულებული ვიქნები გამოვამჟღავნო მთელი ჩემი კავშირი მთავრობასთან; ვეჭვობ, რომ ამაში დაინტერესებული იყოს სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელი".

ამის შემდეგ თავმჯდომარემ აშკარად შეანელა თავისი კილო.

შემდეგ ბელე აცხადებს:

„ბალკანეთში დამკვიდრებისათვის მთავარ საშუალებად მიგვაჩნდა იარაღით ვაჭრობა, რისთვისაც შმიდტს გამოვართვი 200.000 მარკა. მე არ შემეძლო უნდობლად მოვპყრობოდი იმ საქმეს, რომლის სათავეშიც იდგა ინგლისის ნავთის კონცერნთან მჭიდროდ დაკავშირებული გენერალი ჰოფმანი.

თავმჯდომარე: „ეს პირველი შემთხვევაა, რომ ჩვენს წინაშე ისმის ნავთის კონცერნის საკითხი..."

თავმჯდომარის ეს რეპლიკა ფრიად დამახასიათებელია. ეტყობა, იგი ივიწყებს, რომ თვითონ არის დამნაშავე, რომ სასამართლოში მხოლოდ ახლა ახსენეს ის მთავარი დამნაშავე, ე. ი. ნავთის კონცერნი, რომელიც ბრალდებულთა სკამზე არა ზის. (ადს).

თავმჯდომარის „დასკვნა"

ბერლინი, 9 იანვარი. ყალბი ფულის მჭრელთა პროცესზე თავდება ბრალდებულ შმიდტის და ბელეს დაკითხვა.

თავმჯდომარე ჯამს უკეთებს მათ მიერ მიცემულ ჩვენებას:

„მაშასადამე, ჯერ თქვენ გსურდათ ჩამოგეცილებინათ სამხრეთ რუსეთი, რისთვისაც საჭირო იყო სამხედრო ღონისძიებათა მიღება, შემდეგ კი უნდა განხორციელებულიყო დიდი ხნის წინად მომზადებული შეთანხმება ნავთის მაგნატებთან. ნავთის კონცერნებს ხომ მოგება უნდა მიეღოთ, მაშასადამე, მათ ფულიც უნდა გაეღოთ ამ საქმის პოლიტიკურად მოსამზადებლად".

შმიდტი და ბელე: „დიახ, ბუნებრივია, თავის თავად იგულისხმება".

შმიდტი აღიარებს, რომ მან იშოვნა 5.000 მარკა იმ ხარჯების დასაფარავად, რომელსაც მოითხოვდა ჰოფმანის გამგზავრება ლონდონში—დეტერდინგთან. (ადს).

„დეილი უორკერ"-ი ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა პროცესის შესახებ

ლონდონი, 9 იანვარი. ინგლისის კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერ"-ი ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა შესახებ სწერს:

„ეს პროცესი აშკარად ხდის ფარდას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ განუწყვეტელ ინტრიგებს, აგრეთვე აშკარად ამტკიცებს კაპიტალისტური საზოგადოების გახრწნას და გადაგვარებას. თუმცა ყოველგვარი ზომა იყო მიღებული იმისათვის, რომ ფაქტები მიეჩქმალათ, მაგრამ, რაც გამომჟღავნდა, ისიც საკმარისია იმის სათქმელად, რომ ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწენი მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ უდიდეს საერთაშორისო შეთქმულებაში. მუშებს ბერლინის პროცესი უჩვენებს, რომ საჭიროა ორმაგი ძალით ბრძოლა საბჭოთა კავშირის დასაცავად". (ადს).

რუმინელი ფაშისტები ამოქმედდნენ

ვენა, 9 იანვარი. რუმინეთში, კომუნალური არჩევნების მოახლოვებასთან დაკავშირებით, გლეხთა ნაციონალური პარტიის შეიარაღებულმა ფაშისტურმა ორგანიზაციებმა მეტად აქტიური მოქმედება დაიწყეს. ეს ორგანიზაციები ცნობილნი არიან „ვოინიჩების" სახელწოდებით და უმთავრესად კულაკების შვილებისაგან შესდგებიან. სემიგრადიეში ეს რაზმები ყოველდღე თავს ესხმიან არა მარტო მუშათა კრებებს, არამედ სხვა ბურჟუაზიული პარტიების, კერძოდ, ლიბერალების საარჩევნო კრებებსაც. „ვოინიჩების" საორგანიზაციო სტრუქტურას საფუძვლად უდევს მუსოლინის ფაშისტური მილიციის სისტემა. „ვოინიჩებს" უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სრულიად რუმინეთის ცენტრალური კომიტეტი. წევრებად იღებენ 14—40 წლის ასაკის პირებს. წესდება ითვალისწინებს სასტიკ დისციპლინას და ბრძანებათა სიტყვის შეუბრუნებლად შესრულებას. (ადს)

გლეხობის სახსრები

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების მშენებლობის საქმეში

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 10 იანვარი. იმ მიზნით, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების მშენებლობის საქმეში უზრუნველყოფილ იქნას კოლექტიურ მეურნეობებსა და სასოფლო კოოპერატივებში შემავალი გლეხური მოსახლეობის სახსრების გეგმაშეწონილი მონაწილეობა, საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა:

1. ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების მშენებლობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მშენებლობაში თავისი სახსრებით მონაწილეობას მიიღებს ის მოსახლეობა, რომელსაც სამსახური უნდა გაუწიონ ხსენებულმა სადგურებმა და კოლონებმა. ახალი სადგურებისა და კოლონების მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ გლეხობა წინასწარ შეიტანს სადგურის ან კოლონის ღირებულების არა ნაკლებ 25 პროცენტისა.

2. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სატრაქტორო კოლონების მშენებლობისათვის სახსრები უნდა გაიღონ კოლექტიურმა მეურნეობებმა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებმა, აგრეთვე იმ გლეხურმა მოსახლეობამ, რომელსაც გამოაქვს დადგენილება ზემოაღნიშნულ გაერთიანებაში შესვლის შესახებ. სახსრების გაღება ხდება სატრაქტორო ცენტრის აქციების შეძენით ან განსაზღვრული თანხის შეტანით იმ სპეციალურ განუყოფელ კაპიტალებში, რომლებსაც აგროვებენ კოლექტიური მეურნეობანი და სხვა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების მოსაწყობად.

3. სატრაქტორო ცენტრს ნება ეძლევა გამოსცეს საკუთარი აქციები, რომლებიც დაყოფილი იქნება ნაწილებად, ღირებულებით არა ნაკლებ 10 მანეთისა თვითეული; აქციები გავრცელდება კოლექტიურ მეურნეობებს, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების და იმ გლეხური მოსახლეობის შორის, რომელსაც გამოაქვს დადგენილება ამ გაერთიანებებში შესვლის შესახებ.

4. სატრაქტორო ცენტრის აქციების შესაძენ ფასად, აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა და სხვა კოოპერატიულ გაერთიანებათა სპეციალურ კაპიტალებში შესატან გადასახადად 1929-30 წლისათვის წესდება 5 მანეთი ტრაქტორით დასამუშავებელ თვითეულ ჰექტარ მიწაზე. ეს შესატანი ცალკე ორგანიზაციებისა და მეურნეობებისათვის განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორია მათი სამეურნეო და ქონებრივი მდგომარეობა.

5. სატრაქტორო ცენტრის აქციების ფასის ანგარიშში და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული კავშირების სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების მოსაწყობ სპეციალურ განუყოფელ კაპიტალებში შესატანი ფულის მაგიერ მიიღება ის სატრაქტორო ვალდებულებები, რომლებიც უნდა გამოიცეს საკავშირო სახკომსაბჭოს 1929 წლის 30 დეკემბრის დადგენილების თანახმად. (ადს).

მენონიტებს აფრიკაში ასახლებენ

ბერლინი, 9 იანვარი. პრენცლაუს საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც მოთავსებული არიან საბჭოთა კავშირიდან წასული გერმანელი კოლონისტები, ეპიდემია მძვინვარებს. ავად გახდა 85 ბავში, მოკვდა 16 ბავში და 18 მოზრდილი.

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ის ცნობით, დამუშავებულია კოლონისტების ნაწილის გერმანიის ყოფ. კოლონიებში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა) გაგზავნის გეგმა".

„ა"-ს შემდეგ „ბ"

„როტე-ფანეს" წერილი

გერმანელი მენშევიკები აშენებენ ახალ ჯავშნოსანს

ბერლინი, 9 იანვარი. გაზეთები იუწყებიან, რომ საზღვაო სამმართველო მოითხოვს კრედიტების პირველ ნაწილს ჯავშნოსან „ბ"-ს ასაგებად.

„როტე ფანე" ამის გამო სწერს:

„თუ ჯავშნოსან „ა"-ს აგებამ მძიმე კრიზისი გამოიწვია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, 8 მილიონის გადადება ჯავშნოსან „ბ"-ს ასაგებათ სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს სოციალ-დემოკრატიის გავლენას მუშებს შორის, რომელიც ისედაც ეცემა".

ადმირალ იან-შუს გატაცება

შანხაი, 9 იანვარი. ფუჩოუში (ფუცზიანის პროვინცია) შენობაში, სადაც გამართული იყო ბანკეტი ხელისუფლებისა და გომინდანის წარმომადგენელთა მონაწილეობით, შეიჭრა რამდენიმე კაცი, რომლებმაც გაიტაცეს 6 გამოჩენილი სტუმარი, მათ შორის—ჩინეთის ფლოტის უფროსი ადმირალი იან-შუ ჩჟუანი და აგრეთვე განათლებისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა კომისრები. ჩინეთის ზოგიერთ წრეებში შესაძლებლად სთვლიან, რომ ფუციანში გადატრიალება მოხდა. (ადს).

სკოტ ნირინგის გარიცხვა ამერიკის კომპარტიიდან

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. სკოტ ნირინგი გამორიცხეს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიიდან. როდესაც კომპარტიამ მიუთითა, რომ მის მიერ იმპერიალიზმის შესახებ დაწერილი წიგნი არ ეთანხმება პარტიის ხაზს, ნირინგი ამის საპასუხოდ გამოვიდა მთლიანი ფრონტის ყველა კომუნისტური ორგანიზაციებიდან, რომელთა წევრიც იგი იყო.

დადგენილებაში მისი გამორიცხვის შესახებ ნათქვამია, რომ „ნირინგის მსგავს ინტელიგენტებს არ შეუძლიათ ბოლომდე შეასრულონ თავიანთი რევოლუციონური მოვალეობა. პარტიას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მხოლოდ თანაგრძნობით, იგი თავისი წევრებისაგან მოითხოვს სრულ დამორჩილებას და პარტიული ხაზის შესრულებას". (ადს)

ამერიკელი მფრინავების ძებნა

ამხ. ჩუხნოვსკის დეპეშა

კრასნოიარსკი, 10 იანვარი. ამხ. ჩუხნოვსკისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „ახალი მოტორები უკვე დადგმულია. ვმუშაობთ 40 გრადუს ყინვაში. თავს ვიცავთ მხოლოდ ქარისაგან. ყოველივე ზომას ვიღებთ 12 იანვრისათვის დავასრულოთ აეროპლანის მოწყობა და 14—15 იანვარს ვიყოთ იაკუტსკში. (ადს).

ინგლისის დელეგაცია საზღვაო კონფერენციაზე

ლონდონი, 9 იანვარი. ოფიციალურად გამოცხადდა ინგლისის იმ დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც საზღვაო კონფერენციაზე იგზავნება.

დელეგაციაში შედიან: მაკდონალდი, ჰენდერსონი, ვეჯვუდ ბენი (ინდოეთის საქმეთა მინისტრი), ალექსანდერი (საზღვაო საქმეთა მინისტრი). (ადს).

ავღანისტანში

ლონდონი, 9 იანვ. რეიტერის სააგენტო იუწყება: ავღანისტანის სხვადასხვა ტომების წარმომადგენელთა საბჭოში ნადირ-ხანმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის, გერმანიის და საფრანგეთის წარმომადგენლები უკვე ჩავიდნენ ქაბულში. ფადიშახმა დაუმატა, რომ მას ურჩიეს ამანულას დაბრუნება ავღანისტანში. ამ ცნობამ ტომების წარმომადგენელთა სასტიკი პროტესტი გამოიწვია. საბჭომ ერთხმად დაადგინა, რომ ამანულას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ავღანისტანში დაბრუნების უფლება. (ადს).

სხვადასხვა

- ● საბჭოთა სამხედრო გემები „პარიზის კომუნა" და „პროფინტერნი" მივიდნენ ნეაპოლში.
- ● ჩინეთში დაიხურა კიდევ ერთი ბანკი. უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში დაიხურა 51 საწარმო.
- ● 1-ლი თებერვლიდან ჩინეთში შემოღებული იქნება ახალი საბაჟო ტარიფი.
- ● ახალ წელს ლორდის წოდება მიანიჭეს ინგლისის „მუშათა" პარტიის ორ წევრს—არტურ პონსონბის და ლეიგ აფანს.

დაზოგვის ერთთვიური

მოსკოვი, 10 იანვარი. სახელმწიფო კრედიტის და ანაბარების საქმის ხელისშემწყობმა კომისიამ, რომელიც საკავშირო და უკრაინის ცაკებთან არსებობს, მიიღო დადგენილება „დაზოგვის ერთთვიური"-ს ჩატარების შესახებ. გადაწყდა კამპანია დაიწყოს ყველა რესპუბლიკებში 1-ლი თებერვლიდან, ხოლო რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკაში—20 თებერვლიდან. (ადს).

44 ბრიგადა

მოსკოვი, 10 იანვარი. საკ. პროფსაბჭო ცენტრალურ კომიტეტებთან და საკ. ა. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტთან ერთად გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად ადგილებზე გზავნის ორგანიზატორებისა და ინსტრუქტორების 44 ბრიგადას. 5 ბრიგადა იგზავნება უკრაინაში, ოთხ-ოთხი — ჩრდ. კავკასიაში, შუა-ვოლგის მხარეში, ქვემო-ვოლგის მხარეში, ურალზე და ციმბირში, 3 ბრიგადა კაზახსტანში, ორ-ორი — ბაშკირეთში, ამიერ-კავკასიაში, თათართა რესპუბლიკაში, ნიჟეგოროდის მხარეში და სხვ. (ადს).

გაზეთები მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში

მოსკოვი, 10 იანვარი. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრ. ბიუროს პრეზიდიუმი მოუწოდებს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებს ფართოდ გამოეხმაურონ „კრესტიანსკაია გაზეტა"-ს, რომელიც შეუდგა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ნაბეჭდი გაზეთების ორგანიზაციისათვის ხელისშემწყობ კომიტეტის მოწყობას.

კომიტეტმა გადასწყვიტა 1930 წელს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში მოაწყოს 25 ნაბეჭდი გაზეთი. კომიტეტი შეუდგა საჭირო მატერიალური საშუალებების გამოძებნას და სარედაქციო მუშაკებისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა ბრიგადების შედგენას. მოსკოვში დაწყებულია 14 ამგვარი ბრიგადის მოწყობა. კოლმეურნეობებსა და საბჭ. მეურნეობებში გაზეთების გამოსაშვებად საჭირო თანხების შეგროვების მიზნით ცენტრ. ბიურო წინადადებას იძლევა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მთელ სექციაში მოეწყოს ერთი დღის ხელფასის გადარიცხვა და ქაღალდის ჩამონაჭრებისა და პოლიგრაფიული მოწყობილობის შეგროვების ერთთვიური; სექციის ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცა მოაწყონ დიდი გაზეთების შეფობა გაზეთებზე, რომელიც კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში გამოდის (ადს).

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მე-3 პლენუმი

გაიხსნება დღეს 11 იანვარს, სალ. 6 საათზე სასახლის წითელ დარბაზში

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრა

სოფლის მეურნეობა მასიური კოლექტივიზაციის გზით

> „კოლმეურნეობრივი მოძრაობის სწრაფი ზრდა პარტიას უსახავს სხვადასხვა ახალ ურთულეს ამოცანებს და ააშკარავებს კოლმეურნეობათა მშენებლობის ახალ სიძნელეებს და ნაკლოვანებებს, რომელთაგან ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია კოლმეურნეობათა ტექნიკური ბაზის დაბალი დონე, არასაკმაო ორგანიზაციულობა, შრომის დაბალი ნაყოფიერება კოლმეურნეობებში, კოლექტიურ მეურნეობათა მუშაკების კადრების მწვავე ნაკლებობა, საჭირო სპეციალისტების თითქმის უქონლობა, კოლექტიურ მეურნეობათა ნაწილის სოციალური შემადგენლობის უვარგისობა, ხელმძღვანელობის ფორმების არასაკმაო შეფარდება, კოლმეურნეობრივი მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოების ჩამორჩენილობა და, ხშირად, მათი აშკარად არადამაკმაყოფილებლობა“. (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის რეზოლუციიდან).

კოლმეურნეობათა მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში

მასიური კოლექტივიზაციისაკენ

უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში კოლმეურნეობრივი მოძრაობა სოფლად მიმდინარეობს ისეთი სწრაფი ტემპით, რომ უბრალოდ შეუძლებელია მისი გამოხატვა რაიმე სტაბილურ ციფრებში.

თუ 29 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის კოლექტივიზაციის პროცენტი არ აღემატებოდა 4-ს, უკვე პირველ დეკემბრისათვის ეს პროცენტი აღწევს 6,8-ს საშუალოდ საქართველოში, ხოლო თუ რაიონების მიხედვით ავიღებთ, ეს პროცენტი სხვადასხვანაირია. მაგალითად: ზუგდიდის მაზრაში კოლექტივიზაციის პროცენტი შეადგენს 19,7-ს, ოზურგეთის მაზრაში —13,7 პროც., კახეთში—8,8 პროც. და უკანასკნელი ადგილი უჭირავს ახალციხის მაზრას, სადაც კოლექტივიზაციის პროცენტი უდრის 0,8 პროც. 28 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის მიწის განსაზოგადოების პროცენტი არ აღემატება 3-ს, ხოლო 29 წლის 1 დეკემბრისათვის ეს პროცენტი აღწევს 4,7 პროც.

უნდა აღინიშნოს, რომ 28—29 წლ. ნორმები, გათვალისწინებული აღნიშნული წლის საკონტროლო ციფრებით, **იქნა გადაჭარბებული** უკვე პირველ ორ კვარტალის განმავლობაში. რა თქმა უნდა, ის ნორმები, რომელიც იყო გათვალისწინებული 29—30 წლ. საკონტროლო ციფრებით კოლექტივიზაციის 7,25 პროც. ფარგლებში, ამჟამად **ჩამორჩენილია**, რაც დაგვიდასტურა ამ თვის პირველ რიცხვებში მოწვეულმა კოლმეურნეობათა მუშაკების ყრილობამ. ამ ყრილობისათვის კოლმეურნცენტრის მიერ შემუშავებული გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმა იყო კიდევ გადიდებული და კოლექტივიზაციის პროცენტი აწეული 18 პროცენტამდე (17 მაგივრად), ხოლო მიწის ფართობის განსაზოგადოების პროცენტი 17 პროცენტამდე (16 მაგივრად).

საერთოდ კოლმეურნეობათა რიცხვი გაზაფხულზე მიაღწევს 1922-მდე. მათში გაერთიანებულ 81.514 მეურნეობით და 222.756 ჰექტარ მიწის ფართობით.

თუ შევადარებთ ამ ციფრებს 29 წლის 1-12-ს ციფრებთან, პროცენტებში მივიღებთ შემდეგ ზრდას: კოლმეურნეობათა რიცხვი იზრდება—38 პროც., კოლექტივიზაციაქმნილ მეურნეობათა რიცხვი—182 პროც., განსაზოგადოებულ მიწის ფართობი—292 პროც.

გარდა ამ რიცხვობრივი ზრდისა, კოლმეურნეობათა ქსელში მიმდინარეობს შინაგანი ხასიათის ზრდა, რომელიც მაჩვენებელია კოლექტივების **ხარისხობრივი გარდაქმნისა, გამსხვილებისა და ეკონომიური გამაგრების საფუძველზე**. თუ 29 წლის 1-ლ დეკემბრისათვის ერთ კოლექტივზე მოდიოდა საშუალოდ 21 მეურნეობა და 40,6 ჰექტ. მიწა, გაზაფხულისათვის კოლმეურნეობათა ქსელი მოგვცემს ერთ კოლექტივზე საშუალოდ 42 მეურნეობას და 108 ჰექტარ მიწას, ე. ი. კოლექტივების გამსხვილება იზრდება 100 პროც. და მიწის ფართობი საშუალოდ—150 პროც.

კოლექტივიზაციის პროცესი მიმდინარეობს ისეთ ძლიერი ტემპით, რომ უკვე 1930 წლის 1-ლ იანვრისათვის ჩვენ გვაქვს 16 **რაიონი**, რომელნიც გამოცხადებულია **მასიურ კოლექტივიზაციის რაიონებად**. გარდა ამისა, 8-1—მიღებულია დეპეშა კახეთის ოლქიდან, რომ 6 რაიონი, მთელი სოფლები გადადიან კომუნის ფორმაზე და თვითეულ კომუნაში შედის 100-დან 800 კომლამდე, გამოცხადებულია მასიურ კოლექტივიზაციის რაიონებათ.

გამსხვილების პროცესს შედეგად მოჰყვება 60 მსხვილ კოლექტივის ჩამოყალიბება 1930 წლის განმავლობაში. ამ კოლექტივების საბოლოოდ გაფორმებისათვის საჭიროა მათი ეკონომიური გაძლიერება, რასაც ხელს უწყობენ ის საგრძნობი რაოდენობის თანხები (13 მილიონამდე), რომელიც დაიბანდება კოლმეურნეობათა ქსელში 29—30 საოპერაციო წლის განმავლობაში.

კოლექტივიზაციის პროცესი, რომელიც ხდება კოლმეურნეობათა ქსელში, თავის მხრივ იძლევა დიდ სტიმულს შემდგომ გაერთიანებისათვის, და ჩვენ ვხედავთ, რომ ჯგუფური საწარმოო განაერთების რიცხვი იზრდება არა მარტო რაოდენობით (ამჟამად 58 განაერთია), არამედ თავისი სამეურნეო მუშაობაში ისინი მიილტვიან საწარმოო პროცესების სრულ გაერთიანებისაკენ. 29—30 წლის განმავლობაში განაერთების რიცხვი გაიზრდება 120—140-დე და მათთან იქნება გაშენებული ის საწარმოო წამოწყებანი, რომელიც არის გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გეგმით.

ტექნიკური ბაზა

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიდი გარდატეხა საქართველოს სოფლის მეურნეობაში, რის მოწმენიც ჩვენ ვართ, ხდება არა მარტო მისი მექანიზაციის და მანქანიზაციის საფუძველზე, რომელიც (ამას ხაზი უნდა გაუსვათ) საერთოდ საქართველოში ჯერ ძლიერ სუსტია შედარებით კავშირის სხვა რესპუბლიკებთან (მაგალითად უკრაინასთან ან ჩრდილოეთ კავკასიასთან), არამედ ამ კოლექტივიზაციის ტემპს დიდ სტიმულს აძლევს თვით საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიური პირობები (მიწის სივიწროვე, ტექნიკური და სპეციალური კულტურების გავრცელება და სხვ.).

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანა—1930 წლ. **1-ლ იანვრისათვის მივაღწიოთ კოლექტივიზაციის 85 პროც. და საქართველოს რესპუბლიკა გამოვაცხადოთ მასიური კოლექტივიზაციის რაიონად — აუცილებლად იქნება შესრულებული**, თუ ზემოდხსენებულ ობიექტურ ეკონომიურ პირობებს მოემატება მძლავრი ფაქტორი ტრაქტორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახით. 1921 წ. ჩვენი ლენინი ნატრობდა 100.000 ტრაქტორს კავშირისათვის, ახლა კი ჩვენ ადვილად ვლაპარაკობთ რამდენიმე ასეული ათას ტრაქტორზე საქართველოში 500—600 ტრაქტორს შეუძლია ისე გააძლიეროს კოლექტ. სექტორი სოფლის მეურნეობაში, რომ შესაძლებელი გახდება უფრო მოკლე ვადაში შესრულდეს საქართველოს კოლექტივიზაციის რაიონად გამოცხადება.

კოლმეურნეობრივმა მოძრაობამ გამონახა და განამტკიცა უფრო რაციონალური ფორმები ტრაქტორების და მანქანა-იარაღების გამოსაყენებლად. ცალკე ტრაქტორი უკვე არ აკმაყოფილებს კოლექტიურ მეურნეობას. ტრაქტორების ჯგუფები გროვდება, არსდება სატრაქტორო რაზმი, სატრაქტორო-სამანქანო სადგურები და ასეთი გაერთიანებული ძალით ამუშავებენ მათ კოლექტიურ მიწებზე უფრო რაციონალურად და ინტენსიურად.

აგროკომბინატი

საქართველოს კოლმეურნეობათა ქსელში უკვე ჩამოყალიბდა 3 სატრაქტორო რაზმი და განზრახულია კიდევ 3—4 რაზმის დაარსება. შემდეგ 3 სატრაქტორო-სამანქანო სადგური იმუშავებს უმთავრესად კოლმეურნეობათა ქსელში.

გარდა ამისა, ჩვენი სოფლის მეურნეობის სამრეწველო ნიადაგზე გადასაყვანად სუბტროპიკული აგრო-კომბინატი სამტრედია-ხონი-აბაშა-სენაკი-ლანჩხუთის რაიონში. კომბინატი დამყარებული იქნება კოლექტივებზე და წარმოადგენს ქალაქის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მტკიცე დაკავშირების მძლავრ საშუალებას. რა თქმა უნდა, ამ აგრო-კომბინატს დიდი მნიშვნელობა ექნება აღნიშნულ რაიონებისათვის და მისი დაარსება ძირიანად გამოცვლის დასავლეთ საქართველოს მეურნეობის ჩამორჩენილ ხასიათს და გარდაქმნის მას ნამდვილ სასოფლო-სამეურნეო რაიონად.

ეჭვს გარეშეა, რომ დასახულ მიზანს დიდი მუშაობა მოუნდება, დიდძალი სახსრები, ტექნიკური კადრები და ხელმძღვანელები. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობისაკენ უნდა მიპყრობილ იქნას ყველა ორგანიზაციების და დაწესებულებების ყურადღება, რომ გაძლიერებული ენერგიით და საერთო ძალღონით შევძლოთ ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გადაყვანა.

მ. ძამანაშვილი.

მიწადმოწყობა და აგრო-საქმის ორგანიზაცია

კოლმეურნეობათა მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მიწადმოწყობის და მიწადსარგებლობის სწორ ორგანიზაციას. მიწადმოწყობა აუცილებელი პირობაა აგროღონისძიებათა გასატარებლად.

მაგრამ ჩვენი სამიწადმომწყობო ტექნიკა სრულებითაც არ არის ისე მოქნილი, რომ იგი თავის დროზე მიეშველოს კოლმეურნეობაში გაერთიანებულ გლეხობას, რომელსაც სურვილი აქვს განსაზოგადოებული შრომით და საწარმოო იარაღებით, აგროტექნიკურ წესების შემოღებით, მიაღწიოს მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდებას. ხშირად კოლექტივის მიწების მოწყობა ცალკე ნაკვეთების გადაჯგუფებით დამთავრდება ხოლმე და ისეთი ნაკვეთების გამოყოფით, რომ კოლექტივს გარედ დარჩენილი ინდივიდუალური მეურნეობანი ნაწყენი არ დარჩნენ; ამას კი მოჰყვება შედეგად ის, რომ კოლექტივის მიწები არის ხშირად საშუალო ხარისხის, უმრავლეს შემთხვევაში კი საშუალოზე ნაკლებიც კი. ამას აქვს ადგილი ისეთ მრავალრიცხოვან სოფელში, სადაც კოლმეურნეობაში გლეხობის მცირე რიცხვია გაერთიანებული. ასეთ კოლმეურნეობაში აგრონომიული ღონისძიებანი, რა თქმა უნდა, დიდ ეფექტს ვერ იძლევიან.

საკმარისი არ არის ნაკვეთების გადანაცვლებით კოლექტივში მიწის მოწყობის დამთავრება; საჭიროა კოლექტივის მიწების შიგნით იყოს მოწყობილი, უმთავრესი მნიშვნელობა შიგნით მიწადმოწყობას აქვს; მეურნეობის ეფექტიანობა მაზე არის დამოკიდებული. შინაგან მიწადმოწყობას სრულებით მოკლებული არიან ჩვენი კოლექტივები; მიწადმომწყობნი იშვიათ შემთხვევაში აწარმოებენ კოლექტივის შიგნით მიწის მოწყობას.

ამიტომ კოლმეურნეობანი, რომელთა შემადგენლობაში დიდი ადგილი უჭირავთ ღარიბ გლეხობას და მოჯამაგირეობას, მოკლებული არიან მათთვის საკმარის მიწის ნორმას, აქედან—სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებათა გატარების და რენტაბელურ მეურნეობის წარმოების შესაძლებლობას.

მიწსახკომის ცნობით, 1929 წლ. 1 ოქტომბრისათვის საქართველოში მოწყობილი იყო 132 კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 8.237 მეურნეობა განსაზოგადოებული მიწის 22.369 ჰექტარით.

ამ რიცხვისათვის კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობა უდრიდა 928-ს 16.180 განსაზოგადოებული მეურნეობით და 30.212 ჰექტარი მიწის ფართობით. აქედან ჩანს, რომ 1 ოქტომბრისათვის მოწყობილი იყო კოლმეურნეობათა მიწების მხოლოდ 74 პროცენტი, ამასთანავე, თუ გამოვაკლებთ ისეთ კოლმეურნეობებს, რომელთა მოწყობილმა მიწამ, წინასწარ სათანადო მუშაობის გაუტარებლობის გამო, ისევ ძველი სახე მიიღო წევრების გამოსვლის და ახალი წევრების შესვლის შედეგათ, მიწადმოწყობილ კოლექტივების რაოდენობა გაცილებით ნაკლები უნდა ვივარაუდოთ.

1929 წ. 1 დეკემბრისათვის უკვე გვქონდა 1.398 კოლმეურნეობა მათში გაერთიანებულ 28.800 მეურნეობით და 56.765 ჰექტარი განსაზოგადოებული მიწით. ამ ახალ კოლმეურნეობათა მიწების მოწყობაზე ჯერ არავის უფიქრია. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ სამიწადმომწყობო ორგანოები თავის დროზე არ უწევენ დახმარებას ჩვენს კოლმეურნეობებს, ისინი უკან რჩებიან ჩქარი ტემპით მიმდინარე კოლმეურნეობრივ მშენებლობას. ყალიბდება არამც თუ ცალკე კოლექტივები, არამედ სოფლები გადადიან მთლიან კოლექტივიზაციაზე. თუ ცალკე კოლექტივებისათვის არ გყოფნიდა სამიწადმომწყობო ტექნიკური ძალები, მით უფრო საგრძნობია მათი სიმცირე სოფლის მეურნეობის ახლანდელ მასიურ კოლექტივიზაციის პირობებში. ამას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

სამიწადმოქმედო ძალები ჩვენ ეხლავე მივაშველოთ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასულ სოფლებში. რადგან ყოველთვის მიწის მოწყობას წინ უნდა უძღოდეს მისი ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესწავლა, მივლინებულმა მიწადმომწყობებმა, ადგილობრივ აგრონომიული მუშაკების დახმარებით, უნდა ჩაატარონ წინასწარი მუშაობა, რომ გაზაფხულის თესვის დაწყების წინ მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასულმა ყოველმა სოფელმა იცოდეს თუ როგორი და რამდენი ფართობი უნდა გამოყოს მან სხვადასხვა კულტურებისათვის, იმ თესლთაბრუნვის მიხედვით, რომელიც მისაღებია ამა თუ იმ რაიონისათვის.

არც მარტო მიწადმოწყობა არის საკმარისი, კარგად მოწყობილ მიწაზე საჭიროა მეურნეობის კულტურული წარმოება. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს მომზადებულ კადრების ზედამხედველობას და სოციალისტურ აღმშენებლობის იდეით გაჟღენთილ აგროპერსონალის ხელმძღვანელობას. ის აგრიკულტურული ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისაკენ, სასწრაფოდ უნდა განვახორციელოთ. აგრონომიული ძალები უშუალოდ უნდა მივამაგროთ ან მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასულ სოფლებზე, ან კოლმეურნეობათა ჯგუფურ განაერთებზე. ჯგუფური აგრონომია სულ გარდატეხას შეიტანს ჩვენი სოფლის მეურნეობაში, შეუცვლის მას ექსტენსიურ მიმართულებას ინტენსიურ-რენტაბელურზე.

რა მდგომარეობა გვაქვს აგროდახმარების მხრივ კოლმეურნეობებში? მიმაგრებულია საქართ. კოლმეურნცენტრის მიერ კოლმეურნეობათა ჯგუფურ განაერთებზე თერთმეტი აგროტექნიკოსი და ერთი აგრონომი უმაღლესი განათლებით. ეს არის წვეთი ზღვაში. უნდა გავაძლიეროთ საწარმოო ჯგუფური განაერთებები აგრონომიული ძალებით და გადავამზადოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, რათა მოვსპოთ მათში აგრონომიული უცოდინარობა.

ამის გარეშე კოლმეურნეობებში აგრონომიული სამსახური ვერ არის მოგვარებული, ის ატარებს სხვათაშორისო ხასიათს. მიწსახკომის აგრონომები ვერ უწევს დახმარებას კოლმეურნეობებს პირველ რიგში, ისინი ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობათა სამსახური მარტო კოლმეურნეობათა აგრონომების საქმეა.—ჩვენ კი ასეთი ფაქტის წინაშე ვდგევართ: მთელი სოფლები და რაიონები კოლექტივებში ერთიანდებიან, ხოლო აგრონომიული მუშაკების რიცხვი კოლმეურნეობათა ხაზით არ მატულობს. გაზაფხულისათვის დასახულ კოლექტივიზაციის გასატარებლად საჭიროა მიწსახკომის აგრონომების არა ნაკლებ 30 პროც. გადაყვანილ იქნას კოლმეურნეობათა ხაზზე სამუშაოდ. ამით ჩვენ საფუძველს გავამაგრებთ კოლმეურნეობათა მშენებლობას, უფრო ჩქარა შევძლებთ აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებას. მხოლოთ ამით შევძლებთ ჩვენ საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმით გათვალისწინებულ აგრომინიმუმის გატარებას. ამ გზით ჩვენი კოლმეურნეობები უნდა გადავაქციოთ ისეთ საჩვენებელ მეურნეობებად, ირგვლივ მდებარე გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის. ამაში ჩვენ ხელს შეგვიწყობენ აგრეთვე სოფლად მომუშავე განსახკომის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სხვა ხაზით მომუშავე აგრონომიული ძალები, რომლებიც კოლმეურნეობებს უფრო უნდა დაუახლოვდნენ, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

აგრ. ნ. მშვენიერაძე.

მიწადმოწყობის წესი უნდა შეიცვალოს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მიწადმოწყობის წესები ბევრჯერ შეიცვალა. მიწადმოწყობის წესები იცვლებოდნენ იმის მიხედვით, თუ რა ფორმას იღებდა თვით სოფლის მეურნეობის განვითარება. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში მიწადმოწყობა, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, მხოლოდ მიწის გადანაწილების და ნორმების ჩამოყალიბების ხასიათს ატარებდა. შემდეგ დაიწყო მიწადმოწყობა ინდივიდუალურ- დაქუცმაცებულ ფორმებში, რაც 1927 წლიდან შეცვლილ იქნა ჯგუფური მიწადმოწყობით. დღემდე ჯგუფური და ინდივიდუალური ფორმით საქართველოში მოწყობილია 540.619 ჰექტარი მიწა, რაც საერთო მოსაწყობი მიწის 21,7 პროცენტს უდრის. რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს და კოლექტივების მიწათმოწყობას, აქ 100.000 ჰექტარი მიწიდან, მხოლოდ 17.547 ჰექტარია მოწყობილი.

როგორც აღვნიშნეთ, მიწადმოწყობის ფორმები იცვლება სოფლის მეურნეობის განვითარების ფორმებთან შეფარდებით. ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელ პერიოდს—მასიურ კოლექტივიზაციას, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მიწადმოწყობის დღეს-დღეობით არსებული სისტემა არამც თუ მიუღებელია ჩვენთვის, არამედ ყოვლად უაზრო და საზიანოცაა. ეს სისტემა ემსახურება ინდივიდუალურ მეურნეობათა განმტკიცებას და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ არის მიმართული. იგი ხელსაყრელია მხოლოდ კულაკურ და შეძლებული ფენებისათვის, რომლებსაც არ სურთ კოლმეურნეობა და არც შეუძლიათ მასში შესვლა.

მიწადმოწყობის დღევანდელი წესის უაზრობა დასტურდება იმ ფაქტიდანაც, რომ მოწყობილ რაიონებში, სადაც კი შემდეგ კოლექტივები ჩამოყალიბდა, მიწა ხელმეორეთ მოსაწყობი შეიქნა. ამგვარად, კოლექტივიზაციის რაიონებისათვის ჯგუფურ და ინდივიდუალურ მიწათმოწყობაზე დახარჯული შრომა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. სულ მოკლე ხანში, ალბათ, სავსებით გაუქმდება ამ წესით მოწყობილ მიწების გეგმები და მასალები. ამის შემდეგ ცხადია, რომ ჯგუფურ და ინდივიდუალურ მიწათმოწყობაზე დახარჯული დიდი თანხა სულ უბრალოდ დაიკარგა.

დღეს სოფლის მეურნეობა სოციალისტურ რეკონსტრუქციის პერიოდშია გადასული. უდიდესი ამოცანები, რომელიც წამოჭრილია სოფლის მეურნეობის დარგში, ავალებს ყველა ორგანიზაციებს გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ და, რაც მთავარია, თავისი მუშაობის მეთოდი შეუფარდონ დღევანდელ მოთხოვნილებებს. ყველაფერი უნდა იქნას მიმართული იქეთკენ, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. კოლმეურნეობათა გაშლილი მშენებლობისათვის ერთ-ერთ საჭირო და აუცილებელ პირობას კი მიწადმოწყობის დროზე ჩატარება წარმოადგენს. ჯგუფური და ინდივიდუალური მიწადმოწყობა ჩვენთვის უკვე აღარ არის საჭირო. 1930 წლიდან სრულებით უნდა შეიცვალოს მიწადმოწყობის დღევანდელი წესი. მიწადმოწყობა უმთავრესად საბჭოთა და კოლმეურნეობებში უნდა სწარმოებდეს. ამის შესახებ საკ. კ. ც. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელ დადგენილებაში ნათქვამია: „კოლექტიურ მოძრაობის ტემპის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ცეკა წინადადებას აძლევს საკავშ. მიწადმოწყობის სახ. კომისარიატს მოახდინოს მიწადმომწყობ ძალთა და სახსართა გადაჯგუფება იმგვარად, რომ სავსებით უზრუნველყოფილ იქნას კოლექტივიზაციის რაიონების მიწადმოწყობის საჭიროებანი და გადასდოს ინდივიდუალური მიწადმოწყობა, გარდა ზოგიერთი ნაციონალური რაიონისა და მომხმარებელი ზოლის ცალკე რაიონებისა, სადაც კოლექტიური მოძრაობა ჯერ არ არის ფართოდ განვითარებული“.

კოლექტიურ მეურნეობებშიაც საჭიროა მიწადმოწყობა სხვადასხვა წესით სწარმოებდეს. ისეთ კოლმეურნეობებში, რომელთა გაფართოება მოსალოდნელია, საჭიროა მიწა მოეწყოს მარტივი ფორმით— არხების, ტყეების, ბუჩქნარებისა და თესლთა-ბრუნვის ნაკვეთების აღნიშვნით, ხოლო ისეთ კოლექტივებში, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არ მოელის გამსხვილებას, საჭიროა მიწის მოწყობა სავსებით დამთავრდეს. ასეთივე წესით უნდა მოეწყოს მიწა საბჭოთა მეურნეობებში. არ უნდა დაგვიანდეს კოლექტივების რაიონებში— კულაკებისათვის მიწების ჩამორთმევა.

მიწადმოწყობის ტემპი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამორჩეს კოლექტივების ზრდას. მარტივ მიწადმოწყობის გატარებაში შეიძლება თვით გლეხების გამოყენება, რომლებიც მიწადმომწყობებს ბევრ დახმარებას გაუწევენ.

ა. კაჭარავა.

ტექნიკური და სპეციალური კულტურები კოლმეურნეობებში

ტექნიკურ კულტურებს ეკუთვნიან: ბამბა, შაქრის ჭარხალი, თამბაქო, კენაფი, სელი, რამი, არახისი, ძაძა, მზესუმზირა და სხვ. სპეციალურ კულტურებს: ჩაი, ვენახი, ხეხილის ნარგაობა, მანდარინი, ბამბუკი, თხილი და სხვ.

აღნიშნულ კულტურათა დარგები მეტად დიდი მნიშვნელობისაა პირველ ყოვლისა მით, რომ ისინი იძლევიან საბაზრო პროდუქციას ჩვენი მრეწველობისათვის. ამავე დროს ამ კულტურების დიდი უმრავლესობა უაღრესად შრომის ტევადიანია, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მიწის სიმცირის პირობებში. ამ კულტურების განვითარებისათვის ჩვენში მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს.

ამიტომ სასოფლო მეურნეობის ამ დარგებს საბჭოთა ხელისუფლება იმთავითვე უაღრეს ყურადღებას აქცევს. თავის თავად ცხადია, გეზი აღებულია ტექნიკურ და სპეციალურ კულტურების, ისე როგორც მთლიანად სასოფლო მეურნეობის, განსაზოგადოებისაკენ.

ტექნიკურ კულტურათა ფართობი 1929 წელში საქართველოსა და ავტ. ერთეულებში უდრიდა—26.854 ჰექტარს, აქედან კოლმეურნეობებში 1.290 ჰექტ. ამავე წელში სპეციალურ კულტურათა ფართობი უდრიდა 61.030 ჰექტარს, აქედან კოლმეურნეობებში —2.101 ჰექტარს.

ეს პირველი წელი იყო ტექნიკურ და სპეციალურ კულტურათა გავრცელებისა კოლმეურნეობებში. 1930 წლის სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმით, ტექნიკ. კულტურათა ფართობი მინიმალურად გათვალისწინებულია ყველა სექტორებში— 46.517 ჰექტარის რაოდენობით, აქედან კოლმეურნეობებში 20.827 ჰექ. ამავე წელში სპეციალურ კულტურათა ფართობი ყველა სექტორებში უდრება 13.746 ჰექტ., აქედან კოლმეურნეობებში— 7.353 ჰექტ. მაშასადამე, კოლმეურნეობებში ტექნ. კულტ. ზრდა წინა წელთან შედარებით გამოიხატება 19.588 ჰექტ., ხოლო სპეციალურ კულტურებისა 5.252 ჰექტ. ეს ციფრები გვიჩვენებს, თუ რა გადამჭრელი გეზია აღებული ტექნიკურ და სპეციალურ კულტურათა გავრცელებისაკენ განსაზოგადოებულ სექტორში.

სოციალისტური სექტორის გაძლიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტაციის შემოღებას, რომელიც სწარმოებს საწარმოო კოოპერაციის მეშვეობით. კონტრაქტაცია არ არის მარტო განსაზღვრული ვალდებულება ინდივიდუალურ მეურნეობებმა ჩააბარონ მათ მიერ დამზადებული პროდუქცია, არამედ ის საშუალებაა ამ მეურნეობათა გაერთიანებისა და მათზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის გაძლიერებისა. ამით ჩვენი სას.-სამეურნეო კოოპერაცია ღებულობს უფართოეს ბაზას არა მარტო კოლმეურნეობებში, არამედ, რაც მთავარია, ის ავრცელებს თავის გავლენას გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობებზე. 1929 წელში ტექნიკ. კულტურათა ხაზით კონტრაქტაცია ყველა სექტორებში მთელი 100 პროცენტით იქნა გატარებული, კოლმეურნეობებში ეს შეადგენდა 4,9 პროცენტს, ხოლო დანარჩენ სექტორებში—95,1 პროცენტს. 1930 წლ. სას.-სამ. საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმით, მდგომარეობა ამ მხრივაც საგრძნობლად იცვლება: კოლმეურნეობებში ტექნიკ. კულტურათა საკონტრაქტაციო ფართობი უდრება 44,6 პროცენტს (ამ კულტურების მთელ ფართობს), ხოლო დანარჩენ სექტორებში —55,4 პროცენტს.

საქართველოში, ავტონომიურ ერთეულების ჩათვლით, საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში და მთლიან კოლექტივიზაციისათვის დასახულ რაიონებში სოფლის მეურნეობის ყველა დარგებიდან მოწყობილ იქნება 59 მსხვილი კოლმეურნეობა (სას.-სამ. არტელები), რომლებშიაც გაერთიანდება 5.985 მეურნეობა და 10.125 ჰექტარი მიწა მთავარ დარგებისათვის (აქ არ შედის კარ-მიდამოს, ტყე-ბუჩქნარის და მეურნეობის დამხმარე დარგების ფართობი). ტექნიკურ და სპეციალურ დარგებში კი მოეწყობა 19 მსხვილი კოლმეურნეობანი, სახელდობრ: 1) მებამბეობის— 3 (ბორჩალოს--ყარაიას რაიონში) 800 გაერთიანებული მეურნეობით და 450 ჰექტარი მიწით, მხოლოდ ბამბის კულტურის ქვეშ. 2) მეთამბაქოობის დარგში 4 კოლმეურნეობა, 600 გაერთ. მეურნეობით და 300 ჰექტარი ფართობით თამბაქოს კულტ. ქვეშ. 3) ჩაის—6 კოლმეურნეობა, 750 გაერთ. მეურნეობით და 600 ჰექტარი ფართობით ჩაის კულტურის ქვეშ. 4) მევენახეთა—4 კოლმეურნეობა 400 გაერთ. მეურნეობით და 300 ჰექტ. ფართობით ვენახის კულტურის ქვეშ. 5) მებაღეობის— 2 კოლმეურნეობა 150 გაერთ. მეურნეობით და 150 ჰექტ. მრავალწლოვან კულტურის ქვეშ.

აღნიშნულ მსხვილ კოლმეურნეობათა გავრცელების ადგილები შერჩეულია მეტ წილად იმ რაიონებში, სადაც საკავშირო ტრაქტორცენტრის მიერ მოწყობილი იქნება სატრაქტორო-სამანქანო სადგურები, ტექნიკურ კულტურათა სამ მსხვილ რაიონებში (ბორჩალოს, გომისა და ანჯილის). ხად. წნორის-წყალზე და ზუგდიდის მაზრაში არსებული შემკეთებელი სახელოსნოები გაფართოვდება და შეივსება ინსტრუმენტებით. ოთხ ადგილას ახლად მოეწყობა მესამე თადარიგის შემკეთებელი სახელოსნოები (თითოზე 27 ათასი მანეთის გაცემით).

აგრ. დავ. ცინცაძე.

ყურადღება კოლმეურნეობათა სოც. შემადგენლობას

კოლმეურნეობათა მშენებლობის გაძლიერებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაამწვავა კლასობრივი მტრის წინააღმდეგობაც. შევიწროებული კულაკური ელემენტები სხვადასხვა ფორმით ებრძვიან კოლმეურნეობებს.

უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ კოლმეურნეობების დაშლას, რაც მათში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის შედეგი იყო. ეს მოვლენა გვავალებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ კოლმეურნეობების წევრთა სოციალური შემადგენლობის აღრიცხვასა და შესწავლას. საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი და სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო კი უმეტეს ნაწილად ვერ იძლევიან სწორ ცნობებს კოლმეურნეობათა სოციალური შემადგენლობის შესახებ.

რომ კოლმეურნეობებში კულაკების საგრძნობი რაოდენობაა შეპარული, ამაში კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ შედგენილ ნაწილობრივი ციფრებიც კი გვარწმუნებს. ამ ციფრებიდან ჩანს, რომ საშუალო გლეხობის ხვედრითი წონა კოლმეურნეობების წევრთა შორის 20—25 პროცენტს აღწევს, შეძლებული გლეხობის (რომელთა შორის, ალბათ, უმრავლესობას კულაკები შეადგენენ)—5 პროცენტს, დანარჩენი 70—75 პროცენტი ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეებზე მოდის. კოლმეურნეობათა ცენტრის აზრით, ამ უკანასკნელთა (მოჯამაგირეების) პროცენტი 3-დან 5-დე უნდა აღწევდეს.

თუ ავიღებთ ცალკე კოლექტივებს, დავინახავთ, რომ ზოგიერთი მათგანის სოციალური შემადგენლობა კიდევ უფრო ცუდია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კოლმეურნეობა „შრომა“ (სენაკის მაზრა). ამ კოლმეურნეობაში შეძლებული და კულაკური ელემენტების ხვედრითი წონა 10 პროცენტს უდრის. მეორე მაგალითი: სოფ. კარდანახის კოლექტივის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ამ კოლექტივის წევრთა 2 პროცენტს კულაკები შეადგენენ.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა მოითხოვს, რომ არც ერთი კულაკი და ანტისაბჭოთა ელემენტი არ იქნეს გაპარული კოლექტიურ მეურნეობაში. ამის მიღწევისათვის კი აუცილებელია კოლმეურნეობების წევრთა სოციალური შემადგენლობის დაწვრილებითი შესწავლა და მისი გაწმენდა კლასობრივი მტრებისაგან. ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ როგორც კოლმეურნეობის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, ისე ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ს. ჩ.

კოლმეურნეობათათვის საჭირო კადრები დაავიწყდათ

უკვე 1929 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოში არსებობდა 15-დე რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციისა; თვალსაჩინოდ გაიზარდა რიცხვი კომუნებისა და გაძლიერდა პროცესი კოლექტიურ მეურნეობათა გაფართოებისა და მათი გაერთიანებისა ჯგუფებად. ეს ფაქტები ადასტურებენ კოლმეურნეობათა ზრდის შინაგან პროცესებს და საჭიროდ ხდიან გავამახვილოთ ყურადღება იმ კადრების მიმართ, რომლებიც ემსახურებიან კოლმეურნეობათა სისტემას. დღევანდლამდე კადრების მომზადებას კუსტარული ხასიათი ჰქონდა. ამჟამად მთავარი ამოცანას წარმოადგენს კადრების მომზადების მოწესრიგება განსაზღვრული, ზედმიწევნით გათვალისწინებული წესით როგორც სასწავლო-მეთოდიურ, ისე მატერიალურ-სამეურნეო დარგში.

კოლმეურნეობათა რიცხვისა და ნათესი სივრცის საკონტროლო ციფრების მიხედვით 1929-30 წლისათვის საჭიროა კომუნების ხელმძღვანელებად—100 კაცი, მსხვილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებად—60 კაცი, შინამრეწველობის საწარმოო გაერთიანებათათვის —120 კაცი და კოლმეურნეობათათვის—1695 კაცი. მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა დარგის აგრონომებად საჭიროა 298 კაცი, მებაღეობისა და მევენახეობისათვის—8, მესაქონლეობისათვის—175, ჩაის მეურნეობისათვის—24, სუბტროპიკებისათვის—2, მებოსტნეობისათვის—72, მავნებლებთან საბრძოლველად—3 და მეთესლეობისათვის—1. სხვადასხვა სპეციალობის აგროტექნიკოსებად საჭიროა 1212 კაცი, ზოოტექნიკოსებად— 350 კაცი, ბეითლებად—175, ტრაქტორისტ-მექანიკოსებად—60 კაცი, მესაჭეებად—1500 კაცი, ტექნიკოსებად—80 კაცი და სხვ.

დიდ საჭიროებას შეადგენენ ახალი ყოფაცხოვრების ეგრეთწოდებული ორგანიზატორები, რომელთა მოვალეობასაც შეადგენს მუშაობა კოლმეურნეობის ყოფა-ცხოვრების გარდასაქმნელად. მათ კარგად უნდა იცოდნენ კულტურულ-ყოფაცხოვრებითი დაწესებულებების (ბაგები, საბავშვო ბაღები, მოედნები, სამზარეულოები, სასადილოები და სხვ.) ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები და მუშაობის პრაქტიკა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მუშაკებზე ფრიად დიდი მოთხოვნილება არსებობს, დღემდე, თითქმის, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა კოლექტიური მეურნეობის განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს ელემენტს. კოლმეურნეობრივი სისტემის მუშაკთა საჭირო რაოდენობა არ არსებობს და, თუ ახლავე არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები, კოლექტიურ მეურნეობათა განვითარება შეიძლება ჩიხში მოემწყვდეს. წესიერი ხელმძღვანელობის და კოლმეურნეობის რაციონალურად მოწყობილი გაძღოლის გარეშე კოლექტიური მეურნეობა ვერ გადაიქცევა გლეხობის, მიმზიდველ ცენტრად.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები კოლექტიური მეურნეობისათვის ამზადებენ მუშაკებს, მაგრამ ეს ახალი ძალები მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოვლენ. ამჟამად კი თვით საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს და კოლექტიურ მეურნეობათა საოლქო კავშირებს მინიმალური რაოდენობითაც კი არ ჰყავთ მუშაკები. საჭირო თანხის არ არსებობის გამო, ხშირად ისიც ვერ ხერხდება, რომ კარგი აგრონომი ან ტექნიკოსი იქნეს მოწვეული. მიწსახკომის აგრონომიულ განყოფილებას შედარებით მნიშვნელოვანი აგრონომიული ძალები მოეპოვება, მაგრამ იგი საჭირო ყურადღებით არ ეკიდება კოლექტიურ მშენებლობას, რადგან იძულებულია იმუშაოს განსაზღვრული გეგმის გარეშე და მხოლოდ საერთო სამსახური გაუწიოს მოსახლეობას. აგრონომიული დახმარების მიწოდების სისტემა არ არის გარდაქმნილი მიმდინარე ამოცანების შესაფერისად. აგრონომიული დახმარების საქმე თითქმის ისეთივე ტემპით მიდის, რომლითაც მიდიოდა მაშინ, როდესაც არ ხდებოდა კოლექტიურ მეურნეობათა ასეთი სწრაფი ზრდა.

დასკვნა აქედან მხოლოდ ერთი შეიძლება გამოვიყვანოთ: სათანადო ორგანიზაციებმა არ უნდა დაიგვიანონ არც ერთი წუთი, არც ერთი დღე და უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ისე, რომ კოლექტიურმა მეურნეობებმა მიიღონ როგორც ხელმძღვანელი კადრები, ისე ტექნიკური მუშაკებიც, ეჭვი არაა, ის მუშები, რომლებმაც მუდმივ სამუშაოზე წასვლის სურვილი განაცხადეს, ძლიერ ბევრს გააკეთებენ კოლექტიური მეურნეობების განვითარებისა და შესაფერ სიმაღლეზე დასაყენებლად. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს ახალი მუშაკების მზადება მოჯამაგირეებისა და ღარიბესი გლეხობის წრეებიდან, საჭიროა ქალაქიდან გაიგზავნოს ტექნიკური ძალები კოლექტივიზაციის ფრონტზე.

კოლმეურნეობები და გაზაფხულის თესვა

კოლმეურნეობათა მშენებლობა

მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანია დიდ გარდატეხას მოახდენს კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

1929 წლის 1-ლ დეკემბრისათვის საქართველოში ითვლებოდა 1.398 კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო 28.805 გლეხური მეურნეობა—56.765 ჰექტარი განსაზოგადოებული მიწის ფართობით.

ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს კოლმეურნეობათა მშენებლობა. კოლმეურნეობათა ზრდა საგრძნობლად გადააჭარბებს ხუთწლიანი გეგმით და საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ ნორმებს. საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის ვარაუდით, 1930 წლის 1-ლ მაისისათვის საქართველოში იქნება 1.922 კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანდება 81.514 გლეხური მეურნეობა—212.756 ჰექტარი განსაზოგადოებული მიწის ფართობით.

სათესი სივრცე კოლმეურნეობებში

მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის ნათესების და ნარგავების სახით გვექნება 141.782 ჰექტარი. 1929 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებში დათესილი იყო 12.173,5 ჰექტარი. ამრიგად, მომავალ გაზაფხულზე სათესი სივრცე გაიზრდება 129.608,5 ჰექტარით.

მთელი სათესი მიწის სივრციდან მარცვლოვანი კულტურა დაიჭერს 94.568 ჰექტ. (გასულ წელთან შედარებით აღნიშნული სივრცე გადიდებულია 86.271.75 ჰექტარით). აქედან სიმინდი დაითესება—74.136 ჰექტარზე, ქერი—10.711.75 ჰექტარზე, ხორბალი 8,602 ჰექტარზე.

ტექნიკურ კულტურებს დაეთმობა 20.837 ჰექტ. (გასულ წელს კი იყო 1.289,9 ჰექტ.). აქედან ბამბა დაითესება—5.000 ჰექტ., თამბაქო—4.000 ჰექტარზე, შაქრის ჭარხალი—180 ჰექტ., კენაფი—600 ჰექტ., მზესუმზირა—917 ჰექტ., სოია—6.940 ჰექტ., რამი—1.800 ჰექტ., არახისი—1.500 ჰექტ.. ლუფა—190 ჰექტ., სელი—200 ჰექ. საკვები ბალახები დაითესება —5.150 ჰექტარზე. ჩაის დაეთმობა —3.916 ჰექტ., ვენახებს—1.470 ჰექტ:. ბაღებს—827 ჰექტარი, სუბტროპიკულ კულტურებს—4.150 ჰექტარი, თხილს—350 ჰექტარი, ბოსტნეულს კარტოფილს—4.884 ჰექტარი., ლობიოს—5.850 ჰექტარი, ძირნაყოფას—700 ჰექტარი.

იარაღ-მანქანები და მუშა-საქონელი

გაზაფხულის თესვისათვის კოლმეურნეობებს ექნებათ 5.730 გუთანი. 1.432 ფარცხი, 932 მათოხი, 98—პურის სათესი მანქანა, 844—სიმინდის სათესი, 105—ტრიერი, 10—სალეწი მანქანა, 614—სიმინდის საცეხვი, 215 სამკალი—თვითმკვრელი, —165, სათიბი მანქანა—217—ცხენის ფოცხი, 19—თივის პრესი, ხორბლის შესაკრავი მანქანა—265 ცალი. სულ საჭიროა 748.008 მანეთის იარაღმანქანები.

ფურაჟი საჭიროა 33,643 ტონას რაოდენობით (ქერი—3.128 ტონა, თივა—30.000 ტონა, მინერალური სასუქები—515 ტონა).

კოლმეურნეობები იარაღ-მანქანების საჭიროებისათვის მიიღებენ: ნავთს—700 ტონას, ზეთს—70 ტონას და ბენზინს—35 ტონას.

გარდა ამისა, კოლმეურნეობები მიიღებენ 20 ტრაქტორს, 3.000 ხარს, 782—ცხენს.

სულ გაზაფხულის თესვისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში იმუშავებს 150 ტრაქტორი, რომელთა საშუალებით მოხნული იქნება 15.000 ჰექტარი. 7.730 გუთნით დაიხვნება 15.950 ჰექტარი მიწა.

მუშა-საქონლის არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს სავსებით მთელ მოთხოვნილებას. ეს დაბრკოლება ნაწილობრივად დაძლეული იქნება, თუ ტრაქტორების მიწოდების გეგმა სავსებით განხორციელდა.

მიღებულია ზომები ტრაქტორების მოსამარაგებლად საწვავი მასალით. სულ საჭიროა 56.800 მან. ნავთი, ზეთი და ბენზინი.

დახმარება კრედიტებით

ახლად დარსებული კოლმეურნეობები, რომლებიც ვერ მიიღებენ ტრაქტორებს და ვერც მუშა-საქონელს, მიიღებენ დახმარებას სესხების სახით. ამ მიზნით გადადებულია 120.000 მანეთი.

გარდა ამისა, მსხვილ კოლმეურნეობებს მიეცემათ კრედიტები სას.-სამ. შენობების ასაგებათ. წინასწარი მუშაობის დასაწყებათ საჭიროა 160.000 მანეთი.

კრედიტების საერთო ჯამი უდრის 4.618.171 მან. აქედან კოლმეურნეობები გრძელვადიანი სესხის სახით მიიღებენ—2.863.215 მან. და მოკლევადიანი სესხების სახით—1.752.956 მანეთს.

მოსავლიანობის გადიდება

პირველ ღონისძიებათ მოსავლიანობის გადიდების საქმეში იქნება მიწის ხვნის საქმის გაუმჯობესება

მძრალი ხვნა გეგმის მიხედვით ჩატარდა შემოდგომაზე აღმოსავლეთ საქართველოში 9.609 ჰექტარ. ფართობზე. მთელი ვარგისი სათესი სივრციდან საშემოდგომო კულტურებისათვის საანეულოდ გადაიდო 23.165— ჰექტ. 1930 წ. რომელთა საშუალებით მთელი სათესლე მასალა მოწამლული იქნება და დახარისხდება.

მიწის გასანოყიერებლად კოლმეურნეობები მომარაგებული იქნებიან 515 ტონა სასუქით (31.30 მან. ღირ.).

გარდა ამისა, კოლმეურნეობებში დაგროვებული იქნება 6.000 ტონა სასუქი.

მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო მასალით მომარაგება და ოპერატიული მუშაობა ჩატარებული იქნება საქართველოს მიწსახკომის მცენარეთა დაცვის ბიუროს მიერ.

მავნებლებთან ბრძოლა იწარმოებს ვენახებზე, ხილის ბაღებზე, ბოსტნებზე—კალიასთან. მინდვრის თაგვთან და სიმინდის მახრასთან.

ცნობები

კოლექტივიზაციის ფრონტიდან

ახალი კოლექტივები

ახალ-სენაკი, 10 იანვარი. (საქ. კორ.). სენაკის მაზრის ახალ-სენაკის რაიონის ეკის თემის ღარიბ და საშუალო გლეხობის ინიციატივით ჩამოყალიბდა ერთი სასოფლო - სამეურნეო კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანდა 45 კომლი 100 ჰექტარი მიწით, იარაღ - მანქანებით და მუშა - საქონლით. ამ დღეებში ჩამოყალიბდება კიდევ ერთი კოლექტივი 45 კომლით.

ამას გარდა ეკის თემში დაარსდა 6 ჩაის კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია 85 ღარიბი და საშუალო გლეხი. მიწის დამუშავება დაკვრითი წესით მიმდინარეობს. სენაკის რაიონის ძველი სენაკის თემში ჩამოყალიბდა მემინდვრეობის ორი კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია ღარიბი და საშუალო გლეხობის 30 კომლი. მიწის დამუშავება დიდის ხალისით მიმდინარეობს. გლეხობას დახმარებას უწევს ადგილობრივი თემის სასოფლო-სამეურნეო სკოლის აგრონომი. საერთოდ, კოლექტივებში გაერთიანებული გლეხობა მოითხოვს აგრო-დახმარების გაძლიერებას და იარაღ - მანქანების დროზე მიწოდებას.

გ. მირცხულავა.

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის არტელი

გურჯაანი, 10 იანვარი (საქ. კორ.). კახეთის საოლქო აღმასკომმა მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ქვემო მაჩხაანის მშრომელი გლეხობის საზოგადო ყრილობამ ერთხმად დაადგინა გადავიდეს მთელი სოფელი არტელზე. არტელს ეწოდა ფილიპე მახარაძის სახელი. მსურველთა რაოდენობა 300 აღემატება. მიღება გრძელდება“.

ნიკოლაიშვილი.

ფახულანის თემი—მთლიან კოლექტივიზაციაზე

ზუგდიდი, 10 იანვარი. ზუგდიდის მაზრის ფახულანის თემის მშრომელმა გლეხობამ გადასწყვიტა მთელი ასი პროცენტით გადავიდეს მთლიან კოლექტივიზაციაზე. კოლექტივში გაერთიანდება 600 კომლი 2.000 ჰექტარი მიწით და ყველა საწარმოო იარაღებით.

კულაკების თავდასხმა კოლექტივის წევრზე

ქუთაისი, 10 იანვარი (საქ. კორ.). საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სამტრედიის რაიონში გამოყოფილია რამდენიმე მუშათა ბრიგადა, რომლებიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ სოფლის მეურნეობის კოლექტიურად მოწყობისათვის, რამაც საუკეთესო შედეგები გამოიღო. მაგალითად, ჯიხაიშის თემში ჩამოყალიბდა ოთხი კოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია 350 კომლი. იანეთში იყო ერთი კოლექტივი 12 კომლით, ამჟამად გაერთიანდა 120 კომლი; კულაშის თემში ერთ კოლექტივში იყო შვიდი ებრაელი მეურნე, ამჟამად გაერთიანებულია 30 ებრაელი. მათ ქონდათ სამი დესეტინა მიწა, ამ თემში დამატებით ჩატარდა მიწის რეფორმა და გადაეცა მათ 40 დესეტინა მიწა. სულ რაიონში არსებობდა ოთხი კოლექტივი, რომლებშიაც, გაერთიანებული იყო 40 კომლი. ამჟამათ უკვე ჩამოყალიბებულია 20 კოლექტივი, სადაც გაერთიანებულია 1320 კომლი, რაც უდრის ყველა მეურნეობების 16 პროც. გლეხების ლტოლვა კოლექტივებისაკენ მასიურ ხასიათს იღებს. მათ ყოველდღე შეაქვთ განცხადებები კოლექტივებში შესვლის შესახებ. ადგილობრივი მუშათა ბრიგადების და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით განზრახულია რაიონში თესვის კამპანიასთან დაკავშირებით კოლექტივიზაციაქმნილი იქნეს მეურნეობების არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

ბრიგადებს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ კულაკები. იანეთის თემში კულაკებმა გააცხოველეს აგიტაცია ღარიბ გლეხობის თავიანთ გავლენის ქვეშ მოსაქცევათ. რკინის გზის მუშამ ჯვარიშეიშვილმა თავისი მიწა გადასცა კოლექტივს. კულაკებს უნდოდათ გავლენა მოეხდინათ სხვებზე და შეეშალათ ხელი მათი კოლექტივებში შესვლისათვის. ამ მიზნით ორი კულაკი მიუხტა ჯვარიშეიშვილს სახლში, დაუმტვრიეს მას ლობე, ჭიშკარი და დაემუქრნენ მოკვლით.

ს. მესხი.

მთლიანი კოლექტივიზაცია თბილისის ოლქში

კოლექტივიზაციის რაიონები

მომავალი გაზაფხულიდან, თბილისის ოლქში მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებათ გამოცხადებულია—ბორჩალოს რაიონის ყველა სოფლები, ქალაქის მახლობელი რაიონიდან—სოფელი ყარაია, დიღომი და დიდი ლილო და გარე-კახეთის რაიონიდან სოფ. პატარძეული, მანავი და საგარეჯო.

კოლექტივიზაციის გეგმაში შეტანილი არ ყოფილა წალკის რაიონი, მაგრამ, წალკის ადგილობრივი ორგანიზაციებისა და გლეხების მასიური მოთხოვნით წალკის რაიონი გამოცხადდა კოლექტივიზაციის დამკვრელ რაიონად. თბილისის აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებაში წალკის ადგილობრივმა საბჭოთა, პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა შეიტანეს განცხადება, რომ მომავალი გაზაფხულისათვის ახალ კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იქნება წალკის რაიონის მოსახლეობის 75 პროცენტი.

ღონისძიებები მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად

თბილისის აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებაში მიღებული ცნობებით, თბილისის ოლქის ზოგიერთი რაიონების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად, შემუშავებულია შემდეგი ღონისძიებები:

ყოველგვარი კრედიტების გაცემის წესი შეცვლილი იქნება იმგვარად, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილებულ იქნენ ის ადგილები, სადაც გადადიან მთლიან კოლექტივიზაციაზე. დღემდე კი ისეთი პრაქტიკა არსებობდა, რომ ამა თუ იმ რაიონისათვის განზრახული დახმარება (სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ფულადი თანხები, თესლი და სხ.) ნაწილდებოდა თანაბრად რაიონის სხვადასხვა პუნქტებს შორის. ამიერიდან კი ყოველგვარი საშუალებები პირველ რიგში მიეწოდება კოლექტივიზაციის რაიონებს.

გარდა ამისა, ბორჩალოს რაიონში, სადაც მოწყობილი იქნება მებამბეობის კოლმეურნეობები, დაარსებული იქნება სატრაქტორო სადგური და ყარაიაში მოეწყობა სამანქანო-სატრაქტორო კოლონა. ორივე ამ საქმის ტექნიკურად მოგვარება დაკისრებული აქვთ საქართველოს მებამბეობის კომიტეტს და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სამექანიზაციო განყოფილებას.

ორივე აღნიშნულ რაიონში განაწილებული იქნება 70 ახალი ტრაქტორი. ტრაქტორების ნაწილი ამჟამად უკვე მიღებულია, ხოლო დანარჩენი ტრაქტორები კი გზაშია და მიღებული იქნება უახლოეს კვირაში.

გარე-კახეთის რაიონში მოწყობილი იქნება მუშა-საქონლის ორი კოლონა. თითო კოლონაში 60 უღელი ხარ-კამეჩი იქნება. გარე-კახეთის რაიონს წელს ტრაქტორები ვერ მიეწოდება იმ მიზეზით, რომ პირველ რიგში მთავრობის უმაღლესი ორგანოების დავალებით ტრაქტორებით დაკმაყოფილებული უნდა იქნას ტექნიკური კულტურების რაიონი (ბორჩალო და ყარაია), ხოლო გარე-კახეთი კი წარმოადგენს მარცვლეულის კულტურის ტიპიურ რაიონს.

25 იანვრიდან ყველა დასახელებულ სოფლებში და რაიონებში იგზავნებიან მუშათა ბრიგადები. ამჟამად კი დაწყებულია გასაგზავნ მუშათა ბრიგადების წევრთა მომზადება, რომ მათ შესძლონ შემდეგში, დაკისრებული ამოცანების შესრულება.

მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე

კოლექტივიზაციის რაიონებში უკვე დაწყებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. სოფლებში მიმდინარეობს ახსნა-განმარტებითი კამპანია მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ, იწვევენ სოფლის ღარიბთა და მოჯამაგირეთა კრებებს, რომლებზედაც გლეხები ეცნობიან კოლექტივიზაციის პრინციპებს.

სასოფლო საბჭოებთან ეწყობა ე. წ. სამდღიანი კონფერენცია-კურსები, სადაც ხდება ღარიბი გლეხებისაგან კოლმეურნეობების მუშაკთა ძირითადი აქტივის მომზადება; დაწყებულია აგრეთვე აგრორწმუნებულთა ხელახალი გადამზადება და ხელშეკრულებების დადება ცალკე სასოფლო ამხანაგობებთან, მათთვის მანქანების და სხვა კრედიტების მიწოდების შესახებ.

ადგილებზე გლეხები დიდი აღფრთოვანებით ეგებებიან კოლექტივებში გაერთიანების იდეას.

ხელისშემშლელი გარემოებანი

იმ დაბრკოლებათა შესახებ, რომელთაც შეიძლება ხელი შეუშალონ კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად დაწყებულ მუშაობის წარმატებით ჩატარებას, თბილისის სამიწადმოქმედო განყოფილებაში ჩვენს თანამშრომელს აცნობებს:

— უპირველესად ყოვლისა ადგილებზე ძლიერ ნელი ტემპით მიდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის (საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობების და სხ.) რეორგანიზაცია. ეს გარემოება კი უთუოდ დააბრკოლებს დაწყებულ მუშაობას, ვინაიდან მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის საქმეში ჩვენი მუშაობა უმთავრესად უნდა დაემყაროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითად ქსელს.

საქმე იმაშია, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისას ყოველგვარი ხელშეკრულებები უნდა დაიდვას კოლექტივებთან, და არა ინდივიდუალურად ცალკე გლეხებთან. ჩვენ თუ არ გვექნა საკრედ. ამხანაგობათა ახალ სისტემაზე გადასული ქსელი, მაშინ ეს მუშაობა ვერ იქნება ჩატარებული.

საჭიროა „სოფლის კავშირმა“ დააჩქაროს დაწყებული მუშაობა და იანვრის ბოლოსთვის მაინც დაამთავროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ქსელის რეორგანიზაცია კოლექტივიზაციის ყველა რაიონებში. ქსელის რეორგანიზაცია ჩატარებული უნდა იქნას კოლექტივიზაციის რაიონების სპეციფიური ხასიათის მიხედვით. მაგალითად, ბორჩალოში საჭირო იქნება მესაქონლეობისა და მებამბეობის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების მოწყობა, ყარაიაში მეორე სახის ამხანაგობათა ჩამოყალიბება და სხ.

მეორე დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მებამბეობის კომიტეტი და მიწსახკომი ჯერ-ჯერობით სუსტად ატარებენ მუშაობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და მუშა-საქონლის კოლონების დასაარსებლად. ადგილებზე ტრაქტორები უკვე მიღებულია, მაგრამ არ არიან მოწყობილი შენობები, რომ ეს ტრაქტორები მიიღონ და შეინახონ. სადგურების მოწყობასთან ერთად საჭირო იქნება მთელი რიგი შენობების აგება, გზების გაყვანა, სათბობი მასალის მომარაგება და სხვ.

საქ. მებამბეობის კომიტეტი და მიწსახკომი კი ჯერ კიდევ იმაზე დაობენ—თუ ვინ დაიწყოს ეს მუშაობა და საქმე კი ბრკოლდება.

საჭირო არის გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული დასახელებულ დაბრკოლებათა გადასალახავად, რომ სავსებით უზრუნველვყოთ დასახელებული რაიონების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა.

სატრაქტორო კოლონა კახეთის ოლქში

ძნების საკრავი მანქანა

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში

შრომის საკითხები მეაბრეშუმეობაში

მუშების შემადგენლობა

აბრეშუმის მრეწველობაში შრომის საკითხების გამუქებისას აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული აქ ჩაბმულ მუშათა შემადგენლობა. აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკებში მუშების უდიდესი უმრავლესობა სოფლებიდან გამოსულებია, რომელთაც წინად მრეწველობასთან კავშირი არ ჰქონიათ და ამჟამადაც მჭიდრო კავშირი აქვთ სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან. ამ ფაბრიკებში პროფესიული ბირთვი ან სულ არ არის, ან ძალიან მცირე რაოდენობითაა. გარდა ამისა, წარმოების სპეციფიურ პირობების გამო, მუშების უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ბოლოს, დამახასიათებელია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მოთავსებულ ფაბრიკებში (ხონი, სამტრედია, ქუთაისი, ოზურგეთი), მუშების საგრძნობი პროცენტი ახალგაზრდობას და საშუალო მცოდნის პირებს შეადგენენ.

მუშების ასეთ შემადგენლობას, ერთი მხრივ, დადებითი მხარე აქვს, რომ ისინი საერთო ცოდნის შედარებით მაღალი დონის გამო, ადვილად ეძლევიან საჭირო კვალიფიკაციას, მაგრამ მეორე მხრივ, მას უარყოფითი მხარეები აქვს, რომ სოფელთან მჭიდრო კავშირის გამო, ამ მუშათაგანი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ სტოვებენ სამუშაოს და გაძნელებულია ახალი კადრების შექმნა. ეს კი მეტად უარყოფით გავლენას ახდენს წარმოების ნორმალურ მუშაობაზე. გარდა ამისა, რამდენადაც წარმოებაში მუშათა ბირთვი თითქმის არ არის, საძნელო ხდება დანარჩენ მუშების საერთო აღზრდა.

შრომის ნაყოფიერება

გარემოება, რომ ჩვენი მრეწველობა მხოლოდ უკანასკნელი წლების განმავლობაში ვითარდება და კვალიფიკაციური ხტაჟის მქონე მუშები არ მოგვეპოვება, გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. ამ მხრივ, მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, ჩვენ ჩამოვრჩებით საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებს და განსაკუთრებით საზღვარგარეთს (იტალია). ეს მდგომარეობა არ არის გამართლებული, რამდენადაც ჩვენი საწარმოები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ჩვენს პირობებში, რამდენადაც მშენებლობა ჩქარის ტემპით მიმდინარეობდა, ნაკლები დრო გვქონდა მუშების მოსამზადებლად. ეს ნაკლი ამჟამად სწორდება პროფტექნიკური კურსების ქსელის ფართოდ გაშლით; ასეთი კურსები, არსებულ გეგმით,—მიმდინარე წელში უნდა გაიხსნას, როგორც აბრეშუმის ძაფ-სალებ, ისე აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკების ყველა მუშაობა.

ნაყოფიერების ზრდას ხელს უშლის აგრეთვე შრ. ორგანიზაციის სუსტად დაყენება და მუშა-ხელის რაციონალურად გამოყენების საკითხის მოუწესრიგებლობა. მომავალში ეს საკითხი ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს დაყენებული და შრომის სწორი ორგანიზაციით უნდა მივიღოთ მეტი ნაყოფიერება. ამისათვის დასახულია გატარდეს ზედმეტი მუშებისაგან ფაბრიკების განტვირთვა. ეს ჩვენს პირობებში სრულებით არ არის საშიში, რამდენადაც მრეწველობის შემდგომი ზრდა მოითხოვს მუშების ახალ კადრებს და განთავისუფლებული მუშები სწორედ აქ იქნებიან გამოყენებული. სამუშაო დრო მაქსიმალურად უნდა იქნას დატვირთული. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ დანორმვის საქმის მოწესრიგებას, რამაც უკვე მოიტანა საგრძნობი ნაყოფი, სადაც ასეთი ჩატარდა. მაგ., ოზურგეთის ძაფსაგრეხ ქარხანაში ტექნიკური დანორმვის ჩატარების შემდეგ შრომის ნაყოფიერებამ თითქმის 80 პროც. აიწია.

შესაძლებელია აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკებში ორ დაზგაზე გადასვლა. ამის დადებითი მაგალითები ჩვენ საბჭოთა კავშირიდან გვაქვს. ამ მხრივ ცდების სახით მუშაობა ჩვენს ფაბრიკებშიაც სწარმოებს. საჭიროა ამ მუშაობის დაჩქარება, რომ, ერთი მხრივ, შევამციროთ წარმოებათა თვითღირებულებაში შრომის ხელფასის ხვედრითი წონა და, მეორე მხრივ, გავაუმჯობესოთ თვით მუშების მატერიალური მდგომარეობა, რამდენადაც ორ დაზგაზე მუშაობით ხელფასი აუცილებლად იზრდება. შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის საჭიროა გაღრმავდეს სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც წარსულ წელში მეტად თვალსაჩინო შედეგები მოგვცა.

ნაწარმოების ხარისხი

შრომის ნაყოფიერების ზრდა აუცილებლად არის დაკავშირებული წარმოების ხარისხის საკითხთან. თუმცა ჩვენი გრეჟის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ მიღწევები გვაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რამდენადაც დასმულია საკითხი ჩვენი გრეჟის და ქსოვილების ექსპორტის შესახებ. თუ ჩვენ ხარისხი კიდევ მეტად არ გავაუმჯობესეთ, უცხოეთის ბაზარზე ვერ შევძლებთ იტალიის და იაპონიის აბრეშუმისათვის კონკურენციის გაწევას. ხარისხის გაუმჯობესების სტიმულის შესაქმნელად გადადგმულია ნაბიჯი ხელფასის სისტემის გადასინჯვის დარგში.

შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულია ხელფასის ზრდის საკითხიც. ხუთწლიან გეგმით ეს ზრდა გათვალისწინებულია ძაფსალებ საწარმოებში 55,7 პროცენტით, ძაფსაგრეხ საწარმოებში—55,8 პროცენტით, საქსოვ ფაბრიკებში—22,6 პროც. უნდა აღინიშნოს, რომ შრ. ხელფასი აბრეშ. საქსოვ ფაბრიკაში ისედაც საკმაოდ მაღალია. 1930 წლისათვის აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკების პროცენტი გაიზარდა ათით. ხუთი წლის ბოლოსათვის ჩვენი ხელფასი ერთ დონეზე იქნება საბჭოთა კავშირის მო[illegible]ის დონესთან.

რაც შეეხება საზღვარ-გარეთს, კერძოთ იტალიის აბრეშუმის მრეწველობის მუშათა ხელფასს, ამასთან შედარებით ჩვენი ხელფასი მნიშვნელოვნად მაღლა სდგას. იტალიის მუშა აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკებში იღებს დღეში 7—8 ლირას ანუ 70—80 კაპ.

ეჭვს გარეშეა, რომ თუ არ იქნა შესრულებული ხუთწლიანი გეგმა შრომის ნაყოფიერების ზრდის ნაწილში, შეუძლებელი იქნება მისი შესრულება ხელფასის ზრდის ნაწილშიაც.

მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება

რაც შეეხება შრომის დაცვის საკითხს, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი საწარმოები, როგორც ახლად მოწყობილნი, გაცილებით უკეთეს პირობებშია, ვინემ მეზობელ რესპუბლიკების საწარმოები. მაინც შრომის პირობების გაჯანსაღებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და ეს საჭიროება გათვალისწინებულია ხუთწლიან და მიმდინარე წლის საწარმოო-საფინანსო გეგმებით. ვენტილაციის მოწყობაზე შრომის დაცვის და სხვა პირობების მოწესრიგებაზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 558.000 მან.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მუშების საბინაო პირობების გაუმჯობესებას. საბინაო საკითხი მწვავედ დგას არა მარტო თბილისში, არამედ პროვინციაშიც. მუშებს რამდენიმე ვერსის მანძილზე უხდებათ ფაბრიკებში სიარული, და ეს, რასაკვირველია, გავლენას ახდენს როგორც მათ ჯანმრთელობაზე, ისე შრომის ნაყოფიერებაზედაც. ტრესტის მიერ უკვე აშენებულია ოზურგეთის ძაფ-სალებ ფაბრიკასთან მუშათა სახლი 44 ოთახით, მიმდინარე წელში განზრახულია აიგოს სახლი ქუთაისში, საერთოდ ამ ხუთი წლის განმავლობაში საბინაო საკითხი სავსებით უნდა გადაიჭრას. ამ მიზნისათვის 5 წლიან გეგმით გათვალისწინებულია 1.995.000 მანეთის დაბანდება. მაგრამ ეს არ არის საკმარისი—საჭიროა ამ საქმისათვის მოზიდული იქნეს ალმასკომებისა და სხვა ორგანიზაციების სახსრები, განსაკუთრებით თბილისისათვის.

მეტად სერიოზული საკითხია აგრეთვე საბავშო ბაგებისა და სხვა ყოფა-ცხოვრებითი დაწესებულებების მოწყობა. ჯანმრთელობის კომის. უნდა გაითვალისწინოს ჩვენი მრეწ. მუშების შემადგენლობა და საბავშო ბაგების მშენებლობა დააჩქაროს როგორც თბილისში, ისე პროვინციის ფ-კებთან, მხედველობაში მიიღებს, რომ არსებული ბაგებიც სრულებით არ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, როგორც ტევადობის, ისე მოწყობილობის მხრივ. არ შეიძლება ითქვას, რომ საექიმო დახმარება აბრეშუმის მრეწველობის მუშებისათვის სავსებით იყოს დამაკმაყოფილებელი. გარდა მიმდინარე საექიმო დახმარებისა, პროფილაქტიური ღონისძიებანი არ ტარდება და ამის შედეგად დაავადება აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკების მუშებს შორის მაღალ პროცენტს აღწევს. ამას ადასტურებს შემდეგი ციფრები: ავადმყოფობით გაცდენები სამტრედიის ფაბრიკაში წ.-წ. მეოთხე კვარტალში უდრის 4,4 პროცენტს, ხონში—6,4 პროც., ოზურგეთში—11,7 პროცენტს, ნამუშევარ კაცდღეებთან შედარებით და სხვ.

მართალია, ამ მხრივ ნაწილობრივ გავლენას ახდენენ პროფესიონალური ხასიათის პირობები, მაგრამ აღსანიშნავია აგრეთვე ადგილობრივი პირობებიც. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ თელავის ფაბრიკაში დაავადება არ არის ისეთი საგრძნობი, როგორც დასავლეთ საქართველოს ფაბრიკებში. საჭიროა ამის გამორკვევა, თუ დაავადებაში რა როლს თამაშობენ პროფესიონალური პირობები და რა როლს სხვა მიზეზები.

7 საათის სამუშაო დღე

7 საათიან სამუშაო დღეზე უკვე გადავიდა ორი საწარმო: წარსული წლის მაისში თელავის ფაბრიკა და მიმდინარე წლის ნოემბერში ხონის ფაბრიკა, ხოლო ქუთაისის ფაბრიკა გაიხსნა 7 საათის სამუშაო დღის საფუძველზე. რაც შეეხება დანარჩენ ფაბრიკებს, ისინი გადაყვანილ იქნებიან 7 საათიან დღეზე 1930 წ. ივლისში. 7 საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანამ, როგორც ამას თელავის მაგალითი გვიჩვენებს, დადებითი შედეგები მოიტანა: შრომის ნაყოფიერება არამც თუ დაეცა, არამედ პირიქით, გაიზარდა, და საერთოდ ძაფ-სალებ ფაბრიკებს შორის თელავის ფაბრიკას პირველი ადგილი უკავია. ამის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: გამომუშავება 1 კაც-დღეზე 7 საათზე გადასვლის შემდეგ აყვანილი იქნა 7.045 გრამზედ, მაშინ, როდესაც სხვა ფაბრიკებში 8 საათიან სამუშაო დროს პირობებში ნაყოფიერება ამაზე ნაკლებია; თვითღირებულება შემცირდა 16 პროც. გეგმაზე გადაჭარბებით და სხვ.

ეს გვაძლევს საფუძველს კიდევ დავაჩქაროთ დანარჩენ საწარმოების 7 საათიან დღეზე გადაყვანა.

განუწყვეტელი მუშაობა

განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილ იქნა ძველი აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა. მუშავდება საკითხი ახალ საქსოვ ფაბრიკის განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანის შესახებ. აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკის გადაყვანას აბრკოლებს ნედლი მასალის—პარკის უქონლობა, რაც აცილებული იქნება პარკის ახალ მოსავლიდან. არსებულ პირობებში განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანა შეიძლება ოზურგეთის საგრეხ ქარხნის და სამტრედიის ძაფსალებ ქარხნისა თუ გინდ პარკის არსებულ მარაგითაც, რომ დაიტვირთოს ახალი აუზები ძველი აუზების ხარჯზე მათი მუშაობის შერჩევით და მუშა ხელის შეუმცირებლად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრეჟის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს საკითხიც ტრესტის მიერ მუშავდება, და დაჩქარებით უნდა გადაწყდეს.

დ. თოთიბაძე.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა ჩვენში

მეაბრეშუმეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ძლიერ სარგებლიან და მნიშვნელოვან დარგს იმ ქვეყნებისათვის, სადაც კლიმატიური, ეკონომიური და სხვა პირობებით შესაძლებელია მისი წარმოება.

თუმცა მეაბრეშუმეობას ჩვენში აქვს დამხმარე მეურნეობის ხასიათი და იგი ვერ გადაიქცა ისეთ მეურნეობად, რომ მარტო მას მოეტანოს გლეხისათვის არსებობის სახსრი, მაგრამ მაინც მეაბრეშუმეობას აქვს გლეხისათვის დიდი მნიშვნელობა: პირველი ის, რომ არ საჭიროებს თითქმის არავითარ ხარჯებს; მეორე—მისი წარმოება ეჭირავთ ოჯახის წევრებს, რომლებიც არ ხარჯავენ თავიანთ ძალას და სარგებლობენ თავისუფალ დროით; მესამე—ამ საქმეში შეიძლება ჩაბმულ იქნან ისეთი პირები, რომლებიც გამოუსადეგარი არიან მძიმე სამუშაოების მუშაობისათვის, მაგ., ბავშვები, მოხუცები, ბებრები, ინვალიდები და სხვა; მეოთხე—წლის დროის მიხედვით მეაბრეშუმეობა იძლევა ყველაზე ადრიან შემოსავალს—გლეხი იღებს ნაღდ ფულს ან საქონელს უკვე გაზაფხულის დასაწყისში.

პირობებში გლეხურ მეურნეობას შეუძლია მიიღოს ერთ კოლოფ ქიის თესლიდან, სამუშაო საათის დახარჯვით, 30-50 კილო აბრეშუმის პარკი 45-75 მან. ღირებულებისა, ხოლო ორ კოლოფიდან 90-150 მან.

კლიმატიურ პირობებით საქართველოს თითქმის ყველა რაიონებში შესაძლებელია მეაბრეშუმეობის წარმოება, რის გამო ჩვენში არის გავრცელებული იმდენად, რომ მეაბრეშუმეობას მისდევს 100.000 გლეხურ მეურნეობაზე მეტი. ისინი საერთოდ იღებენ უკანასკნელ წლებში 2,5—3 მილიონამდე კილო აბრეშუმის პარკს, რომლის ღირებულება უდრის 3.800.000—4.500.000 მან. ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ მეაბრეშუმეობა გლეხებს აძლევს საშუალებას არა მარტო გააუმჯობესოს თავის მდგომარეობა, არამედ მას აქვს არა ნაკლები მნიშვნელობა თვით რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის.

მიუხედავად ხელსაყრელ კლიმატიურ პირობებისა, მეაბრეშუმეობა ჩვენში, როგორც მისი განვითარებით, ისე შემოსავლიანობით ვერ აღწევს მაქსიმალურ საზღვარს.

ჩვენი კლიმატიური პირობები გვაძლევენ შესაძლებლობას მივიღოთ მოსავალი არა ნაკლები იმაზე, რაც მოდის იტალიაში, სადაც საშუალოდ ერთ კოლოფ ქიის თესლზე მოსავალი უდრის 60 კილომდე. ამ ციფრთან მიახლოვებულ შედეგებს ჩვენ ვღებულობთ ყვარლის ზოგიერთ ადგილებში, სადაც ქიას ჰკვებავენ კარგად და უხვად. მაგრამ ასეთ შედეგებს ჩვენ ვღებთ იშვიათ შემთხვევებში და დასახელებულ მეაბრეშუმეთა ძალიან მცირე რიცხვს შორის. ეს შემთხვევები გვაჩვენებენ, რომ პარკის დიდი მოსავალი ჩვენში ადვილად შესაძლებელია, ხოლო თუ ეს არ ხდება, ეს იმ მიზეზით, რომ ჩვენი მეაბრეშუმეები ჰკვებენ ქიას, ნაცვლად ოთხისა, ერთხელ ან ორჯერ დღეში. შედეგად ასეთი ცუდი კვებისა დასუსტებული ქიები ხდებიან ავად სხვადასხვა სენით, უმთავრესად კი სიდამბლით (ფლაშერი) და იძლევიან ცუდ მოსავალს, ზოგიერთ შემთხვევაში კი სრულებით არაფერს. ცუდ მეაბრეშუმეთა შორის განვითარებული სნეულებანი ხშირად გადადიან კარგ მეაბრეშუმეების ქიებზე, გავლენას ახდენენ მოსავლის დაკლებაზე და საერთოდ ძლიერ სცემენ მეაბრეშუმეობის წარმოების მოსავლიანობას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, არის აგრეთვე სხვა პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსავლის შემცირებაზე; მათ შორის აღსანიშნავია ქიის კვების ბინების დეფექტები, ზოგიერთ წლებში ფურცლის ნაკლოვანება და სხვა, მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ქიის მოვლას.

მთავრობის მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომები ყველა იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან მეაბრეშუმეობის განვითარებას. უდავოა, რომ ეს ზომები ასწევენ როგორც მოსავლიანობას, ისე გააუმჯობესებენ აბრეშუმის პარკის ხარისხს.

ეს გარემოება მოგვცემს ჩვენ შესაძლებლობას ჩავაბათ მეაბრეშუმეობის წარმოებაში გლეხურ მეურნეობათა გაცილებით მეტი რიცხვი. დღეს-დღეობით მთელ სახ.-სამ. მოსახლეობიდან მეაბრეშუმეობაში ჩაბმულია მეურნეობათა 28 პროც. საქართველოს პირობები ისეთია, რომ ეს პროცენტი შეიძლება გადიდებულ იქნას სულ მცირე ორჯერ, და უნდა ვიფიქროთ, რომ ახალ მეურნეობათა ჩაბმა მეაბრეშუმეობაში დაიწყება სულ ახლო მომავალში. ამასთან უმთავრესი ყურადღება მიექცევა მეაბრეშუმეთა კოლექტიურ გაერთიანებას.

მთავრობის მიერ საქართველოს მეაბრეშუმეობის გასავითარებლად მიღებულია შემდეგი ზომები:

1. მეთუთეობის დარგში. უკვე გაშენებულია სხვადასხვა რაიონებში თუთის ხის სანერგეები. სანერგეები გაშენებულია როგორც იმ რაიონებში, სადაც განვითარებულია მეაბრეშუმეობა, ისე იქაც, სადაც მეაბრეშუმეობა სუსტად არის განვითარებული, მაგრამ შეიძლება განვითარდეს. ეს სანერგეები მოგვცემენ შესაძლებლობას დავურიგოთ გლეხებს უფასოდ ყოველწლიურად ორ მილიონამდე თუთის ნერგები, მასთან ყოველწლიურად ეს იქნება დაკმაყოფილებული მთელი თუთის ფოთლის საჭიროება, თანდათანობით იმ წლებისათვის, როდესაც შეიქმნება არა ხელსაყრელი პირობები ფოთლის განვითარებისათვის.

2. ქიის თესლის მიწოდების საქმეში მიღწეულია დიდი შედეგები. კერძო მეთესლეობა თითქმის სავსებით გადავიდა მთავრობის დაწესებულებების ხელში. მოწყობილია სამი საგრენაჟო სადგური (ორი ქუთაისში და ერთი ვანში). ამ სადგურებში არის ყველა თანამედროვე ტექნიკური ხელსაწყოები და მანქანები; იქ მზადდება 80.000 კოლოფამდე ცელულარული ქიის თესლი, რაც თითქმის აკმაყოფილებს ჩვენ მეაბრეშუმეობას.

შენდება აგრეთვე ახალი დიდი საგრენაჟო ქარხანა (თელავში), რომელიც დაიწყებს ქიის თესლის დამზადებას მომავალ სეზონიდან. გარდა ამისა, ნავარაუდევია მეთესლეობის კიდევ სხვა სადგურების მოწყობა.

ვინაიდან ჩვენი მეაბრეშუმეების ქიის კვება ნაწილობრივ ზარალდება ქიის თესლის არასწორ გაცოცხლებით, ამიტომ მთავრობამ „საქართველოს აბრეშუმი"-ს სახით მოაწყო გლეხებისათვის ქიის თესლის გაცოცხლება სპეციალურ ინკუბატორებში, სადაც გამოჰყავთ 20-25 პროც. მთელ საჭირო ქიის თესლისა. ნავარაუდევია ეს პროცენტი აყვანილ იქნას 100-მდე.

3. იმ მიზნით, რომ ამაღლებულ იქნას ცოდნა ქიის რაციონალურ კვების დარგში, მომზადებულია სპეციალურ კურსების საშუალებით მთელი რიგი ინსტრუქტორები, რომელთა შორის ბევრია უმაღლეს აგრონომიულ განათლებით. ეს ინსტრუქტორები, იმყოფებიან რა სამსახურში, ნაწილი მიწსახკომში, ხოლო უმთავრესად „საქართველოს აბრეშუმში", რიცხვით 300 კაცზე მეტი, მოგზაურობენ სოფლებში, აწყობენ საუბრებს მეაბრეშუმეებთან და აძლევენ პრაქტიკულ დარიგებებს ქიის კვების დარგში.

გლეხურ მეურნეობაში ქიის კვების ცოდნის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საჯიშე ქიის კვებას, რომელიც მოწყობილია საკონტრ. მეაბრეშუმეებთან საგრენაჟო სადგურებისათვის საჯიშე პარკის მომზადების მიზნით.

4. რათა მოსახლეობამ უფრო მეტი სარგებლობით გამოიყენოს მეაბრეშუმეობის ნაწარმოები, ცოცხალი პარკის სახით, მთავრობამ საგრძნობლად გაადიდა მექანიკურ საშრობების რიცხვი და აიყვანა ძაფსალებ ქარხნების რაოდენობა იმდენად, რომ შესაძლებელი გახდა მთელი პარკის ადგილობრივ გადამუშავება ძაფ გრეჟაზე. ამ ქარხნებს შორის სამი მოწყობილია საზღვარ-გარეთიდან გამოწერილი ახალი კონსტრუქციის მანქანებით (რიცხვით 172 აუზი) ხოლო წინად არსებული ქარხნები დამატებით მოწყობილია მანქანებით, რომლებიც გაკეთებულია ჩვენი, 26 კომუნარის სახელობის მექანიკურ ქარხანაში.

რადგანაც წარმოების ნორმალური და სწორი განვითარება უნდა ემყარებოდეს სამეცნიერო გამოკვლევებს და ცდებს, ამიტომ გარდა ამ დარგში ნაწილობრივ მომუშავე თბილისის

გამზადებული აბრეშუმის ძაფის შეხვევა და აწონვა

საბრეშუმო სადგურისა, გადაწყვეტილია მოეწყოს უახლოეს ხანში მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი, რომელმაც უნდა აწარმოოს მუშაობა ჩვენი თუთის ხის სხვადასხვა ჯიშების შესწავლაზე და მათი ღირსების გამოცდაზე, აწარმოოს გამოკვლევები აბრეშუმის ქიის ბიოლოგიის, ანატომიის და პატოლოგიის დარგებში, შეისწავლოს ქიის ჯიშები და გამოიკვლიოს მათი პროდუქტების (პარკის და ძაფის) ღირსება. გარდა ამისა, ინსტიტუტი გაატარებს ცხოვრებაში, თავის განყოფილების საშუალებით, ყველა ამ გამოკვლევათა შედეგებს.

საქართველოში მეაბრეშუმეობა ომის წინანდელ დროის 120.000 ფუთ პარკიდან 1920 წლისათვის დაეცა 20.000 ფუთამდე. შემდეგ იგი თანდათან ვითარდებოდა და 1925 წლისათვის დაეწია ომის წინანდელ დროის ნორმას და მას შემდეგ მეაბრეშუმეობა განაგრძობს განვითარებას.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფართო ზომებს, რომლებიც მიღებულია მთავრობის მიერ ჩვენი მეაბრეშუმეობის განსავითარებლად და გასაუმჯობესებლად, უნდა ვიმედოვნოთ, რომ სულ ახლო მომავალში ჩვენი მეაბრეშუმეობა განვითარდება ორჯელ და კიდევ მეტჯერ.

ცენტრალურ საბრეშუმო სადგურის
დირექტორი შ. ივანოვი.

აბრეშუმის საბჭოთა მეურნეობები

თელავი, 8 იანვარი. კახეთის ოლქში ეწყობა მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობები: თელავში, წნორის-წყალში და შირობიანში უკვე დაიწყო თუთის ხეების გაშენება. (ადს).

გამოვიყენოთ უცხოეთის ტექნიკური მიღწევები

მეაბრეშუმეობა იტალიაში

პარტიულ და საბჭოთა ორგანოების სადირექტივო დადგენილებამ მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზის გაფართოების შესახებ—ტრესტ „საქართველოს აბრეშუმი"-ს წინაშე დააყენა საკითხი ხუთწლიანი გეგმის პირველი ვარიანტის გადასინჯვის და, როგორც ნედლეულის, ისე აბრეშუმის დამმუშავებელ მრეწველობის დარგში ახალი ტემპების აღების შესახებ.

შედეგათ ჩვენ უკვე გვაქვს ხუთწლიანი გეგმის ახალი ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს ნედლეულის ბაზის საგრძნობლად გაფართოებას როგორც ინდივიდუალურ მეაბრეშუმეობის ხარჯზე, ისე მსხვილ საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობათა ჩამოყალიბების ხაზით.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია უცხოეთის ტექნიკურ მიღწევათა ცოდნა და მიღწევების ჩვენს პირობებში გამოყენება. ამ მხრივ ერთგვარ ინტერესს იწვევს მეაბრეშუმეობის კლასიკური ქვეყნის — იტალიის მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის დამმუშავებელ მრეწველობის არსებული მიღწევები და მდგომარეობა.

იტალიაში მეაბრეშუმეობის საქმეს, რომლის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი კლიმატიური და სხვა პირობებია, უდიდესი ყურადღება ექცევა. მეაბრეშუმეობას იქ „ოქროს მადანს" ეძახიან და ეს ნათელიც არის თუ გინდ იმ გარემოებიდან, რომ მეაბრეშუმეობაში ჩაბმულია 600.000-მდე ოჯახი, ფართოდ განვითარებულია აბრეშუმის მრეწველობა, აბრეშუმის ნაწარმოებნი იტალიის ექსპორტის 20 პროცენტს შეადგენენ.

მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა თუთის ხის პლანტაციების ფართოდ გაშლა. ამ მხრივ იტალიაში ბევრია გაკეთებული, არ არის დატოვებული არც ერთი თავისუფალი ადგილი, რკინიგზების გასწვრივ და სხვაგან, სადაც თუთის ხეები არ იყოს გაშენებული, მაგრამ თუ წინეთ უმთავრესი ადგილი მაღალტანიან თუთის ხეებს ეკავა, ამჟამად ის იცვლება იაპონიის ჯიშის და ბუჩქისებური თუთებით, რომელიც უკეთესი ხარისხისაა და მეტს მოსავალს იძლევა, ამასთან უფრო ადრე. ჩვენს პირობებში, რამდენადაც ხუთწლიან გეგმით აღებული ტემპი მოითხოვს საკვებ მასალის დაჩქარებით მოყვანას, თუთის პლანტაციების მოწყობა და გაშლა სწორედ ამ ხაზით უნდა სწარმოებდეს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გრენის საკითხს. იტალიაში სწარმოებს აბრეშუმის ქიის შეჯვარება, რომლის შედეგათაც იღებენ უკეთესი ხარისხის გრენას. ეს გარემოებაც უნდა იქნეს ჩვენს მიერ გათვალისწინებული, რომ კარგი ხარისხის გრენისაგან მივიღოთ პარკის მეტი და უკეთესი მოსავალი. ეს არ წარმოადგენს სიძნელეს და ჩვენს პირობებში ადვილად განსახორციელებელია.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა ინდუსტრიალური მეაბრეშუმეობა, რაც მდგომარეობს ერთი მწარმოებლის მიერ 50 და მეტი კოლოფი აბრეშუმის თესლის მოვლაში. თუ წვრილ მეურნეობაში ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე იტალიაში გამოდიოდა საშუალოდ 48 კილოგ. პარკი, ინდუსტრიალურ მეურნეობაში ეს მოსავალი აყვანილ იქნა 58 კილოგრამამდე. გარდა ამისა, საგრძნობლად შემცირდა პარკის თვითღირებულება. ინდუსტრიალურ გამოკვების პარალელურად ვითარდება აბრეშუმის მექანიკური კვება და გამოყვანა. ამ მხრივ საინტერესოა ინჟ. ფიორიცის ახალი გამოგონება. მან თავის სისტემით მოაწყო მეაბრეშუმეობის სადგური, რომელშიაც 50 კოლოფ აბრეშუმის თესლს ამუშავებს და გამოზრდის. აბრეშუმის მექანიკური გამოკვების პრინციპები მარტივია და მისი ჩვენს პირობებში გამოყენება სავსებით შესაძლებელია. თუ რამდენად მიზანშეწონილია ფიორიცის გამოგონების ფართოდ გამოყენება, ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ აბრეშუმის ქიის დაავადება მის მეურნეობაში თითქმის არ ხდება; გარდა ამისა, მთელს წარმოებას მხოლოდ სამი მომუშავე ემსახურება და წარმოება მოსავალსაც იძლევა იმაზე მეტს, რაც ინდივიდუალურ და ინდუსტრიალურ მეურნეობებში. პარკის თვითღირებულებაც მექანიკურ გამოკვებისას გაცილებით ნაკლებია და, რაც მთავარია, ამ სისტემის დროს შესაძლებელია წელიწადში აბრეშუმის სამჯერ მოყვანა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პროფესორ კაუცის ცდებით შესაძლებელია თუთის ფოთლის გაყინვა და მისი საზამთროთ შენახვა, მეაბრეშუმეობა და პარკის მოყვანა შესაძლებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში.

ფიორიცის სისტემა ჯერ-ჯერობით ახალია, ის ფართოდ არ არის გამოყენებული იტალიაშიც კი, მაგრამ მისი მიზანშეწონილება საკმაოდ დამტკიცებულია.

ფიორიცი, როგორც კაპიტალისტი, თავის გამოგონებას და სისტემას საიდუმლოდ ინახავს; ჩემს თხოვნაზე — რომ დავეშვა მის მეურნეობის დასათვალიერებლად, ჯერ უარით მიპასუხა, მაგრამ შემდეგ დიდი შუამდგომლობით ნება დამრთო დამეთვალიერებინა ის, რამაც საშუალება მომცა გავეგო ამ სისტემის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც ცოტა შეცვლილი სახით შეიძლება ჩვენც ვისარგებლოთ.

იტალიის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ „საქართველოს აბრეშუმი"-ს ხაზი, მიმართული საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობისაკენ, მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარებისათვის სავსებით სწორია, რომ სავსებით შესაძლებელია მსხვილ მეურნეობებში მექანიზაციის შემოღება, რაც ეფექტს მოგვცემს და დააჩქარებს ხუთწლიან გეგმის განხორციელებას ნედლეული ბაზის გაშლის დარგში.

გადავიდეთ აბრეშუმის დამმუშავებელ მრეწველობაზე.

აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკები უზრუნველყოფილნი არიან მაღალი კვალიფიკაციის მუშებით და ტექნიკური პერსონალით. სპეციალისტებმა თავისი საქმე ზუსტად იციან და ეს მეტად დადებით გავლენას ახდენს წარმოების მდგომარეობაზე.

აბრეშუმის ძაფ-სალებ ფაბრიკებში მთავარი ყურადღება ექცევა ნედლეულის (პარკის) პირველად ანალიზს, — თუ მისგან რისი მიღება შეიძლება და როგორ უნდა იქნას ის დამუშავებული, ეს არის ტექნიკურ ხელმძღვანელთა მთავარი საზრუნავი საგანი და შედეგებიც კარგია, რამდენადაც ნედლეულის დამუშავებაში აღარ ხდება შეცდომები.

ფაბრიკებში არ რჩება გამოუყენებელი პარკის არც ერთი ნაწილი. — დომფალისაგან ამზადებენ საუკეთესო ხარისხის ძაფს საკომბინირებო ქსოვილებისათვის, აბრეშუმის ქიას და აუზის წყლებს იყენებენ ნიადაგის განაყოფიერებისათვის, ორთქლიც კი არ რჩება გამოუყენებელი.

აუზებში წყალი უკვე გამთბარი შემოდის მაზე ენერგიის დაუხარჯველად, რაც ამცირებს წყლის გათბობაზე სამუშაო დროის გაცდენას და იძლევა საგრძნობ ეკონომიას.

ქიმიურ ხასიათის საშუალებებით აუზებში დარჩენილი პარკი არ ჰკარგავს თავის ხარისხს და ასხვ.

საქმის რაციონალურად დაყენების გამო მუშის შრომის ნაყოფიერებაც საგრძნობლად მაღალია, ძაფის ხარისხს უდიდესი ყურადღება ექცევა, ის ნაწილდება ექვს კლასად და ყოველგვარი ღონისძიება მიღებულია იმისათვის, რომ მიიღონ მაღალი კლასის ძაფები. ძაფის ხარისხისათვის ასეთი ყურადღების მიქცევა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ იტალიის აბრეშუმის ნაწარმოებს უცხოეთის ბაზარზე სერიოზული კონკურენტები ჰყავს, მათ შორის მნიშვნელოვანია იაპონიის და ჩინეთის გრეჟა. იტალიის გრეჟის რეალიზაცია მისი ხარისხისაგან ბევრად არის დამოკიდებული. ხარისხის საკითხი ჩვენშიაც აქტუალურია და ამ მხრივ იტალიის გამოცდილება აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

წარმოებაში მუშა ხელის რაციონალურად გამოყენებასაც უდიდესი ყურადღება ექცევა. ამჟამად სწარმოებს ცდები ძაფის ამოღების მექანიზაციის მხრივ იმ ანგარიშით, რომ ათ თვალზე ერთი კაცი მუშაობდეს. ამ მხრივ საბოლოო შედეგები არ არის გამორკვეული, მაგრამ თვით ცდები ყურადღების ღირსია. აგრეთვე არსებობს ცდები ქიმიურ საშუალებით ცივ წყალში ძაფის ამოღებისა.

აბრეშუმის საგრეხ ფაბრიკაშიაც რაციონალურად არის გამოყენებული მუშა-ხელი. აქ ფაბრიკებში პირველ წუთებზე მუშაობს მთელი შტატი, ისინი აწესრიგებენ საქმეს და შემდეგ კი მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ მეთვალყურეები რჩებიან.

აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში კი ერთი მუშა ორ ან სამ დაზგაზე მუშაობს და ეს უარყოფით გავლენას ნაწარმოების ხარისხზე არ ახდენს.

იტალიაში მეაბრეშუმეობის საქმის შესწავლა ფართოდ არის დაყენებული. არსებობს საგანგებო ინსტიტუტები და გარდა ამისა, პირველ დაწყებით სკოლებში შემოღებულია საგნები მეაბრეშუმეობის დარგში და პრაქტიკულად ქიის გამოკვება. ეს უზრუნველყოფს მეაბრეშუმეობას საჭირო კვალიფიციურ ძალით. ჩვენს პირობებში, რამდენადაც მეაბრეშუმეობის განვითარების ტემპი მეტად მაღალია, კვალიფიციური ძალის მომზადების საკითხი მეტად აქტუალურია და ამ მხრივ სავსებით სწორია გადაწყვეტილება მეაბრეშუმეობის ინსტიტუტისა და ტექნიკუმების გახსნის და მოწყობის შესახებ. ამის გარეშე შეუძლებელია ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანების გადაჭრა.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ტექნიკურ მიღწევებისა, იტალიის მეაბრეშუმეობის წინსვლა საგრძნობლად არის შეფერხებული. ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ თუ 1860 წელში იტალიაში მოდიოდა 50.000 კილოგრამი პარკი, 1929 წელში მოვიდა 58.000 კილოგრამამდე. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს თვით იტალიის სახელმწიფოებრივი წყობილება, კაპიტალისტების კონკურენცია და სხვ.

ჩვენში კი სულ სხვა პირობებია. მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარებისათვის ჩვენ გვაქვს ყოველი პირობები, როგორც ბუნებრივი, ისე პოლიტიკური მატერიალური და ტექნიკური. საკმაოდ ფართოდ შინაგანი ბაზარი, და გარდა ამისა, საქმის რაციონალურად დაყენების შემდეგ შესაძლებელია უცხოეთის ბაზარზე გასვლაც და თუ გინდ იტალიის და იაპონიის მრეწველთა კონკურენციის ატანა. ამისათვის საჭიროა ფართოდ გავშალოთ მეაბრეშუმეობის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები, აბრეშუმის დამმუშავებელი მრეწველობა და მათში გამოვიყენოთ იტალიის და იაპონიის მეაბრეშუმეობის ტექნიკური მიღწევები.

ა. დუნდუა.

მეაბრეშუმეობა
თუთის სანერგეები

ქუთაისი, 9 იანვარი. ოლქში ეწყობა თუთის 17 სანერგე 100 ჰექტარზე. სწარმოებს მიწის გადაბრუნება ნაკვეთების შემოღობვა და სხვ. (ადს)

ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები

(საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილება)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია:

1. მებამბეობისა და სუბტროპიკ. კულტურების შემდგომი განვითარება ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში თვალსაჩინოდ დამოკიდებულია წყალთა მეურნეობის მდგომარეობაზე. მელიორაცია და ირიგაცია წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს პირობებს მწარმოებელი ძალების განვითარებისათვის ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ბევრ, ამჟამად სრულიად ჩამორჩენილ, რაიონში, განსაკუთრებით კი მებამბეობისა და სუბტროპიკული კულტურების რაიონებში. უწყლო, ან ჭაობიანი მიწის ვეებერთელა სივრცეები შეიძლება შეტანილ იქნან სახალხო მეურნეობაში ჩვენი მხარის წყალთა მეურნეობის სწორი ორგანიზაციისა და ექსპლოატაციის საშუალებით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ამტკიცებს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს 1928-29, 1932—33 წლებისათვის და სთვლის ამ ციფრებს იმ უდიდეს ამოცანების შესაფერისად, რომელთა გადაჭრამაც თვალსაჩინოდ უნდა წასწიოს წინ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება იმ ჩამორჩენილ დონიდან, რაზედაც იგი დღეს იმყოფება.

2. წყალთა მეურნეობის ხუთწლიანმა გეგმამ 1933 წლის გაზაფხულისათვის უნდა უზრუნველჰყოს სარწყავი ნათესი ფართობის გადიდება 550 ათასი ჰექტარით მაინც, აქედან ბამბის ნათესი უნდა შეადგენდეს 212 ათას ჰექტარს, კერძოდ ამ რიცხვიდან 180 ათასი ჰექტარი უნდა მოდიოდეს 1932 წლის გაზაფხულზე (ისე, რომ 1932 წლის გაზაფხულისათვის ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში ბამბის მთელი ნათესი ფართობი უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 300 ათასი ჰექტარისა).

3. ამ დიდი ამოცანების გადასაჭრელად ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებმა ძირიანად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა.

მათი მუშაობის ახლანდელი ტემპი, ორგანიზაციის ფორმები, სისტემა და მეთოდები გადაჭრით უნდა შეიცვალოს და გაუმჯობესდეს. ამ პირობის გარეშე შეუძლებელია წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის თავის დროზე და წარმატებით შესრულება და ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის იმ დარგების სწრაფი განვითარება, რომელნიც დამოკიდებულნი არიან ამ გეგმაზე.

წყალთა მეურნეობის სამუშაოთა 1929-30 წლის პროგრამის შესრულება წარმოადგენს წყალთა მეურნეობის მთელი ხუთწლიანი გეგმის შესრულების უაღრესად მნიშვნელოვან პირობას, ამიტომ წყალთა მეურნეობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის უმნიშვნელოვანესი ნაწილის, ირგვლივ დარაზმულ უნდა იქნას პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მთელი ყურადღება.

4. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს კოლხიდის ჭაობების დაშრობას, როგორც ნედლეულებით მდიდარ სუბტროპიკების რაიონის, სადაც ამოშრობის საშუალებით შეიძლება მიღებულ იქნას 200 ათასი ჰექტარი მიწა. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი სრულიად არასაკმაოდ სთვლის ხუთწლედის განმავლობაში ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებას—შავიზღვის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის—გიგანტის პროექტის დამუშავებას, ძირიანად გადასინჯოს ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმა იმ ანგარიშით, რომ ამოშრობისა და საამშენებლო სამუშაოები ერთისა და იმავე დროს სწარმოებდეს და საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა დაკავშირებულ იქნას მდინარე რიონზე მე-2 ჰიდროცენტრალის აგებასთან.

5. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს სწორად მიაჩნია, რომ წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ემყარება მხოლოდ საინჟინრო სამუშაოებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ 545 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობის მიღებას. მაგრამ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს აგრეთვე ახალი წყალსაქაჩავების მშენებლობას და არასაინჟინრო სისტემების რეკონსტრუქციას და სწორად ამ სისტემების სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტის გადიდებისა და წყლის მოხმარების ნორმების მოწესრიგების პირობას.

6. წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეხმატკბილებულ მოქმედებენ წყალთა მეურნეობის ორგანოები, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და წყალთა მეურნეობის საქმის ხელმძღვანელი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები. გააძლიერონ წყლით მოსარგებლეთა აქტივობა და თვითშემოქმედება, მოაგვარონ დეცენტრალიზებული მოსახლეობის მონაწილეობა შრომითა და ინვენტარით წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე, გაატარონ კლასობრივი ხაზი წყლით სარგებლობის საქმეში და გამოიყენონ სარწყავი სისტემები მხოლოდ განსაზოგადოებულ სექტორის (საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების, აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების) საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნას აგრეთვე წყლის გამოსაღების თავის დროზე აკრეფა.

7. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს ყოვლად შეუწყნარებლად მიაჩნია ის მდგომარეობა, რომელშიაც ამჟამად სამელიორაციო კოოპერაცია იმყოფება. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ავალებს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს—არა უგვიანეს 1 თებერვლისა შეიმუშავოს პროგრამა და შეუდგეს ღონისძიებათა განხორციელებას სამელიორაციო კოოპერაციის ქსელის გაფართოებისა და მისი მუშაობის ძირიანად გაუმჯობესებისათვის იმ მიზნით, რომ ამ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაშივე სამელიორაციო კოოპერაცია გამოვიდეს, როგორც უმნიშვნელოვანესი საფეხური ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ორგანიზაციაში.

8. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს წყალთა მეურნეობის ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ის, რომ მომავალ საამშენებლო სამუშაოებში (ხუთწლედის განმავლობაში) მიღწეულ იქნას ამ სამუშაოების მაქსიმალური მექანიზაცია (არა ნაკლებ 75 პროცენტისა). დაევალოს ამიერ-კავკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს—შეიმუშაონ და დანერგონ მექანიკური მოწყობილობის ისეთი ტიპები და კონსტრუქციები, რომლებიც გამოსადეგი იქნება ამიერ-კავკასიის პირობებში, და დაუყოვნებლივ აღძრან საკავშირო ორგანოების წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ 1930 წლიდან საკავშირო ქარხნებში მოეწყოს ექსკავატორების წარმოება, ამასთან ეს მოწყობილობა, მებამბეობის რაიონებისათვის დასამზადებელ ტრაქტორებთან ერთად, შეტანილ იქნას სამშენებლო გეგმებში, იმ დრომდე, სანამ მისი წარმოება მოეწყობოდეს საბჭოთა კავშირში.

9. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ითვალისწინებს, რომ საჭიროა წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შეთანხმება სახალხო მეურნეობის სხვა, მასთან დაკავშირებულ, დარგების გეგმებთან (ჰიდრო-ელექტრო მშენებლობა, ტყის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა, თევზის მეურნეობა, ნაოსნობა) და ავალებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიას—სასწრაფოდ შეათანხმოს ამ გეგმების ყველა საკონტროლო ციფრები.

10. წინადადება მიეცეს რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს—დაუყოვნებლივ შეამოწმონ, თუ რამდენად სრულდება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1929 წლის 23 დეკემბრის დადგენილება წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებისათვის საჭირო კადრების შესახებ და დააჩქარონ ამ კადრების მომზადება ჰიდრო-ტექნიკუმებში, საშუალო და დაბალი ტექნიკური პერსონალის გადასამზადებელ კურსებზე და სხვ.

11. ტექნიკური სამუშაოების და საჭირო ნაგებობათა სირთულე, მექანიზაციის ფართოდ გამოყენება მოითხოვს წყალთა მეურნეობის მუშაკ-სპეციალისტთა მაღალ კვალიფიკაციურ კადრებს. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს სახალხო კომისართა საბჭოს—მიიღოს სასწრაფო ზომები იმისათვის, რომ მოიწვიოს საბჭოთა კავშირიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან წყალთა მეურნეობის მუშაკ-სპეციალისტთა მეტი რიცხვი და ჩააბას ისინი როგორც კონსულტაციის საქმეში, ისე მშენებლობასა და ექსპლოატაციის პრაქტიკულ მუშაობაში.

12. წყალთა მეურნეობის სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახ. კომისარიატები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მზადებას მორწყული ფართობების გამოსაყენებლად, რისთვისაც მუშაობა ამ ახალ ადგილებზე დასასახლებლად და თავის ნებით გადასახლებულთა მოსაწყობად უნდა სწარმოებდეს წყალთა მეურნეობის ორგანოების საამშენებლო მუშაობის პარალელურად. წესად იქნას მიღებული, რომ გადასახლებულნი სარიგაციო სამუშაოებში ჩაბმულ იქნან როგორც მუშები.

13. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებმა სარიგაციო მშენებლობის ადგილებში საბარაკო და საბინაო მშენებლობა იმ ანგარიშით უნდა აწარმოონ, რომ ახალი ბინები სავსებით გამოსადეგი იყოს საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მუშათა და გლეხთა მუდმივ საცხოვრებლად და რომ ამ მშენებლობას ნაწილობრივ ფინანსები ეძლეოდეს გადასახლების ფონდებიდან, აგრეთვე საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის ფონდიდან.

14. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებმა და წყალთა მეურნეობის სამმართველოებმა ახლავე უნდა შეადგინონ სარიგაციო სამუშაოთა რაიონების საყოფაცხოვრებო და სანიტარული პირობების გამაჯანსაღებელ და გამაუმჯობესებელ ღონისძიებათა პროგრამა, ამასთან პროგრამა შედგენილ უნდა იქნას იმ ანგარიშით, რომ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა პირველ თებერვლისათვის დაამტკიცონ ეს პროგრამები მათი სწრაფი რეალიზაციისათვის.

15. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა სასწრაფოდ უნდა დაამუშაონ მუშა ხელის ორგანიზაციის, განაწილებისა და სარიგაციო მშენებლობის ყველა რაიონებისათვის მაწოდების გეგმები, რაც უნდა მოხდეს შრომის ბაზრის სწორი აღრიცხვის საფუძველზე, აგრეთვე ამიერ-კავკასიის [illegible] შეკვეთების ხაზებსა, სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში კვალიფიციური მუშა ხელის მომზადების მეთოდებისა და პირობების გარკვევის საფუძველზე.

16. რადგან წყალთა მეურნეობის სამმართველოების მიერ მიღებული საამშენებლო სამუშაოთა ტემპები ვერ ჩაითვლება საკმარისად და საჭიროა მათი გადაჭრით გაძლიერება, ამიტომ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ავალებს წყალთა მეურნეობის სამმართველოებს—მიაღწიონ მიმდინარე 1929—30 წელს საამშენებლო სამუშაოთა მაქსიმალურად გაშლას და დასვან სახალხო კომისართა საბჭოში საკითხი ამისთვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებებისა და სახსრების შესახებ.

17. წყალთა მეურნეობის საამშენებლო მუშაობა ფართოდ უნდა გაიშალოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც მებამბეობას და წყალთა მეურნეობას ეხება. ამავე დროს ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ყველა რაციონალიზატორულ ღონისძიებებს, რომლებიც შემუშავებულ იქნენ საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის დროს. წყალთა მეურნეობის საამშენებლო სამუშაოთა ჩატარებაში წყალთა მეურნეობის ორგანოებს უაღრესად აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა მასებმა. ეს სამუშაოები უნდა ჩატარდეს ფართო პროლეტარული თვითკრიტიკისა და მუშაობის მიმდინარეობის სისტემატიურად შემოწმების საფუძველზე. მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების ყურადღება და ძალღონე დარაზმულ უნდა იქნას წყალთა მეურნეობის ირგვლივ, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მძლავრ საშუალებას.

დასავლეთ საქართველოს აგრო-ინდუსტრიალური კომბინატი

(პროფ. დანილოვის აზრი)

თბილისში ჩამოვიდა ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორი დანილოვი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში გამოსთქვა თავისი აზრი აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის მშენებლობის შესახებ დასავლეთ საქართველოში.

აგრო-კომბინატის შექმნა საქართველოში — განაცხადა პროფესორ დანილოვმა,—უაღრესად საინტერესოა როგორც საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა განვითარების თვალსაზრისით, ისე სასოფლო მეურნეობის წარმოების ახალი ფორმების განმტკიცების მხრივ. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო მუშაკთა შორის სწარმოებდა ბრძოლა საკითხზე სასოფლო მეურნეობის რაც შეიძლება რაციონალურად წარმოების შესახებ საბჭოთა კავშირის პირობებში. ჩვენს წრეში იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც დაჟინებით იცავდნენ სასოფლო მეურნეობის წარმოების ინდივიდუალურ მეთოდს და ქადაგებდნენ მძლავრ კერძო მეურნეობის სისტემის გავრცელებას.

მაგრამ მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს. სოფლის მეურნეობის ნამდვილ მეცნიერთა, ნამდვილ სპეციალისტთა დიდმა ნაწილმა გადაჭრით განაცხადა, რომ ისინი სავსებით უერთდებიან პარტიისა და ხელისუფლების ხაზს სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხში. მათ აღიარეს, რომ სოფლის მეურნეობის მომავალი მძლავრ, ე. ი. კულაკურ მეურნეობათა განვითარებაში კი არ არის, არამედ მეურნეობის კოლექტიურ წარმოებაში.

ერთ-ერთი პირველი მეცნიერთაგანი, რომელმაც მხარი დაუჭირა ფართო კოლექტივიზაციას და იბრძოდა მისთვის, იყო გამოჩენილი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის დარგში, პროფ. ვილიამსი. ცხოვრებამ ბრწყინვალედ დაადასტურა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხაზის სისწორე. ამჟამად უდავოა ის, რომ საბჭოთა კავშირის გლეხობა მუშათა კლასის დახმარებით, შესძლებს თავისი ჩამორჩენილი მეურნეობის გარდაქმნას ფართო კოლექტივიზაციის საფუძველზე.

აგრო-კომბინატისათვის, ეჭვს გარეშეა, არჩეულ იქნა შესაფერი რაიონი. მცირე რენტაბელურ კულტურების, ამ შემთხვევაში სიმინდის, შეცვლა მაღალ რენტაბელური კულტურებით, როგორიცაა სოია, რამი, აბარისი და სხვა, საქართველოს კლიმატიურ და ნიადაგის პირობების გამო, არა თუ სავსებით შესაძლებელია, არამედ უაღრესად საჭიროა. მაგრამ მე მინდა ხაზი გავუსვა ერთ მომენტს: კოლექტივიზაციის გარეშე, იმ ყურადღების გარეშე, რომელიც ამჟამად ექცევა სოფლის მეურნეობას, მცირე რენტაბელურ კულტურების განდევნა ჩატარდებოდა მეტად ნელი ტემპით და მას მოუნდებოდა არა 3-4 წელი, არამედ ათეული წლები. მთლიანი კოლექტივიზაცია და აგრო-კომბინატის შექმნა სისწრაფით გადასჭრის მცირე რენტაბელურ კულტურების სწრაფად შეცვლის საკითხს.

ეჭვი არ მეპარება, რომ აგრო-კომბინატის შექმნას საქართველოში ფართო დახმარებას გაუწევს კავშირის მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, კერძოდ სამეცნიერო ძალები. ჩვენ არ უნდა დავაფაროთ ხელი იმ სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან კომბინატის მშენებლობასთან. სიძნელე დიდია და გამომდინარეობს უმთავრესად იქედან, რომ ჩვენ არა გვაქვს ფართო გამოცდილება ასეთი გიგანტების მშენებლობის საქმეში. მაგრამ სიძნელენი, ეჭვს გარეშეა დაძლეულ იქნება და სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ასეთი გაერთიანებისაგან ჩვენ მივიღებთ შედეგებს, რომლებიც წარმოუდგენელი იყო ყოფილ რუსეთის იმპერიაში.

დავიცვათ მტკიცე დისციპლინა

1929-30 წლის ბიუჯეტის შედგენა საქართველოს ფინსახკომს მოუხდა მეტად რთულ პირობებში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ჩვენ დროზე არ გვქონდა საკონტროლო ციფრები, რომელთა საფუძველზე და ფარგლებში უნდა შემდგარიყო ადგილობრივი ბიუჯეტი, მარტო ადმინისტრატიულმა დარაიონებამაც გამოიწვია თავისებური სირთულე სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაში.

მიუხედავად მუშაობის პირობების ასეთი სირთულისა, ბიუჯეტის შედგენის დრო მეტად განსაზღვრული იყო: მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბრისათვის ის უნდა ყოფილიყო წარდგენილი დასამტკიცებლად ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში. ამნაირად საქართველოს ფინსახკომს უნდა დაეხმა მთელი თავისი ენერგია, რათა ზემდგომ ორგანოების დირექტივები პირნათლად შეესრულებინა. ეს ასეც მოხდა: საქართველოს ფინსახკომმა შეუდგა, თუმცა დაგვიანებით (არა თავისი მიზეზით) დიდ საბიუჯეტო მუშაობას. რათა ადგილებს მისცემოდათ შეძლება საქართველოს ფინსახკომის დავალების შესრულებისა, მათ დასახმარებლად გაეგზავნენ ინსპექტორები. უკანასკნელთა დახმარებას ადგილებისათვის ფუჭად არ ჩაუვლია; თითქმის ყველა ადგილობრივმა თვითორგანოებმა შესძლეს თავიანთი ბიუჯეტების დროზე შედგენა და მისი წარდგენა საქართველოს ფინსახკომში განსახილველად. ბიუჯეტის რესპუბლიკანური შენაკრების შედგენას ხელი შეუშალეს მხოლოდ თბილისის და ქუთაისის ოლქებმა, რადგან მათი ბიუჯეტების შედგენა მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე მაზრების — მათ საკმაოდ გაუდიდდა [illegible]. მაგრამ [illegible] თბილისის და ქუთაისის ოლქებმა კიდევ გააჭიანურეს ფინსახკომის მიერ ბიუჯეტის წარმოდგენის ვადა [illegible] და მათი ბიუჯეტები დღესაც არ არის მიღებული ცენტრში.

[illegible] ოლქების ასეთ გულგრილ დამოკიდებულებამ ზემდგომ ორგანოების დირექტივებისადმი მეტად გაართულა და [illegible] შეაფერხა საბიუჯეტო მუშაობის წესიერად ჩატარება. ასეთ პირობებში საქართველოს ფინსახკომი იძულებული გახდა თვითონ შეედგინა ცენტრში, ადგილობის მონაწილეობის მიუღებლად, ქუთაისის და თბილისის ოლქების ბიუჯეტები. ასეთი მოვლენა სრულიად მიუღებლად და დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს დღეს, როდესაც ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ადგილობრივ ბიუჯეტზე დაკისრებულია მეტად მნიშვნელოვანი და რთული ამოცანები.

ასეთ არა ნორმალობას მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც ადგილები მტკიცედ და დროულად შეასრულებენ ზემდგომ ორგანოების დირექტივებს.

საქართველოს ფინსახკომს სურს გაიგოს თუ როდის წარმოადგენენ ბოლოს და ბოლოს თავიანთ ადგილობრივ ბიუჯეტებს ქუთაისის და თბილისის ოლქები.

დროა ვასრულოთ დირექტივებს, დროა დავიცვათ მტკიცე დისციპლინა.

ა. სულუხია.

აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტის 10 წლის თავი

საზეიმო სხდომა თბ. სახ. უნივერსიტეტში

აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტის არსებობის 10 წლის თავის აღსანიშნავად გუშინ, საღამოს, თბილისის სახ. უნივერსიტეტის კლუბში შედგა საზეიმო სხდომა—თბილ. სახ. უნივერსიტეტის, ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის, სახ.-სამ. ინსტიტუტის და სამხატვრო აკადემიის პროფესორის, მასწავლებელთა და სტუდენტების დასწრებით.

სხდომა გახსნა ამხ. შ. მახარაძემ.

ამხ. შ. მახარაძის სიტყვა

— ორი წლის წინად, სთქვა ამხ. მახარაძემ, ვზეიმობდით სახ. უნივერსიტეტის ათი წლის თავს, ხოლო ამავე დარბაზში დღეს ვზეიმობთ აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტის ათი წლის თავს. ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ თვითმპყრობელური მთავრობა არ იყო დაინტერესებული სახალხო განათლების საქმით. მენშევიკური, დაშნაკური და მუსავატისტური მთავრობებიც დიდათ არ იწუხებდნენ თავს სახალხო განათლების საქმით. ის დამოუკიდებლობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მოიტანა ყოფ. რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებს, ამ ერებიდან ბურჟუაზიულმა პარტიებმა გამოიყენეს თავისი მშრომელების საწინააღმდეგოდ. უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები მშრომელთათვის მიუწვდომელი იყო მათ დროს. მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მდგომარეობა ამ მხრივაც საფუძვლიანად შეიცვალა.

დღეს, როცა მუშათა კლასი აწარმოებს გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობას, სასწავლებლების წინაშე დასმულია ამოცანა,—მოამზადონ კადრი ამ მშენებლობისა; ჩვენი უნივერსიტეტები უნდა ემსახურებოდნენ სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს. ჩვენ უარვყოფთ სასწავლებლებს პოლიტიკის გარეშე.

აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტს მრავალი მიღწევები აქვს თავის მუშაობაში; მისი არსებობის 10 წლის თავზე, საქართველოს მთავრობის სახელით მე ვუსურვებ მას კიდევ უფრო მეტს წარმატებას.

შემდეგ ილაპარაკა აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტის რექტორმა—შახ-აზიზმა.

ამხ. შახ-აზიზის სიტყვა

აზერბეიჯანში უნივერსიტეტის დაარსების საკითხი, სთქვა ორატორმა, დაისვა 1919 წელში. ეს საკითხი დაუყენა მაშინ მოსახლეობის მოწინავე ნაწილმა. აღსანიშნავია, რომ მუსავატელები არ იზიარებდნენ აზერბეიჯანში უნივერსიტეტის დაარსების აზრს. რადგან „ახალგაზრდები" პედაგოგიურ ძალების უქონლობით, ლიტერატურის უქონლობით და სხვ. მაგრამ შემდეგ იძულებული გახდნენ [illegible] უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. 1919 წელში დაარსებული იქნა ორი ფაკულტეტი: სამკურნალო და ისტორიულ-ფილოლოგიური. [illegible] საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ [illegible] უნივერსიტეტს აყვავება. [illegible] იქნა ძალიან არაბული ალფაბეტით ლათინურით და [illegible] [illegible] და სხვა [illegible] უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალი დღეს 311 კაცისაგან შესდგება (მუსავატელების დროს იყო 44), უნივერსიტეტში სწავლობს 2.400-დე სტუდენტი, რომელთა 25 პროც. თურქის ქალია (წინეთ ვერც ერთი თურქის ქალს ვერ შეხვდებოდით იქ). სტუდენტთა თითქმის 50 პროც. სტიპენდიით უზრუნველყოფილია. თუ უნივერსიტეტის ბიუჯეტი 1919 წელში 50.000 მანეთს არ აღემატებოდა, დღეს მას აქვს 1.820.000 მანეთიანი ბიუჯეტი.

ყველა ეს მიღწევები, სთქვა მომხსენებელმა, შედეგია იმ მზრუნველობისა, რომელიც უნივერსიტეტისადმი საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიჩინა. ჩვენ შევეცდებით გავამართლოთ იმედები, რომლებსაც ამყარებენ ჩვენს უნივერსიტეტზე არა მარტო აზერბეიჯანის, არამედ ყველა მოძმე რესპუბლიკების მშრომელები.

ამხ. ერქომაიშვილის სიტყვა

შემდეგ მისასალმებელი სიტყვით თბილისის სახ. უნივერსიტეტის სახელით გამოვიდა ამხ. ერქომაიშვილი, რომელმაც სთქვა: მეცნიერება—ეს არის სინამდვილის გაგება, ამიტომ იგი არ უნდა იდგეს ცხოვრების გარეშე. ბურჟუაზიულ წყობილებას ჩვენში ბოლო მოეღო. დღეს ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია და ამიტომ მეცნიერებაც პროლეტარიატს უნდა ემსახურებოდეს.

„ნაციონალური ფორმით, პროლეტარული შინაარსით" ჩვენი უნივერსიტეტები წარმოადგენენ დიდი მომავლის მშენებლობის მძლავრ იარაღებს. მით უმეტეს მისასალმებელია ეს უნივერსიტეტი კულტურულად ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც იყო შავბნელი წარსულის გამო აზერბეიჯანი".

პროფ. შ. ნუცუბიძის სიტყვა

საქართველოს მეცნიერების მუშაკთა სახელით პროფ. შ. ნუცუბიძემ განაცხადა: „საბჭოთა კავშირის და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის ერთვნებათა განვითარების ინტერესები ჩვენგან მოითხოვენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და მეცნიერულ თანამშრომლობას. ყველა სამივე ეს პირობა დღეს არა სიტყვით, არამედ საქმით სრულდება.

ეს სრულ უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ამ ერთვნებათა კიდევ უფრო აყვავება უზრუნველყოფილია და ისინი იდიდეს როლს ითამაშებენ სოციალიზმის აშენების საქმეში".

ამ.-კავკ. ეროვნებათა კავშირი ურყევია

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე: ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის ლენინის და სტუდენტთა სახელით—ამხ. [illegible], სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელით—ამხ. გოგიაშვილი, მუშფაკის სახელით—ამხ. თაბუკაშვილი და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით ამხ. [illegible].

[illegible] აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტის რექტორმა—შახ-აზიზმა, [illegible] და აღნიშნა, რომ [illegible] [illegible] კავშირი. [illegible]

უნდა მოვაწყოთ საბავშო წიგნის მუზეუმი

რა უნდა წაიკითხონ ბავშვებმა? რა უფრო მიიზიდავს მათს ყურადღებას, რა გააფართოვებს მათს ცოდნას? ამ საკითხი, რომელიც უნდა გადაწყვიტოს საბავშვო წიგნის მუზეუმმა.

საბავშო წიგნის მუზეუმმა ბავშვები უნდა დაუკავშიროს კაცობრიობის წარსულ ისტორიას და ამავე დროს უნდა მისცეს მათ მომავლის დანახვის საშუალება. მუზეუმმა ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის განვითარებას, გააცნოს ბავშვს საკუთარი თავი და ამავე დროს ჩააბას იგი კოლექტიურ შემოქმედებაში.

მუზეუმმა, პირველ რიგში, ბავშვი უნდა დაუახლოვოს, გააცნოს წიგნს, მისი წარმოშობის მთელ პროცესს. ჩვენში წიგნის შექმნის პროცესს, არა თუ ბავშვები, დიდებიც კი ვერ იცნობენ ხეირიანად. ექსკურსიები და სტამბებისა და ლიტოგრაფიების გავლით დათვალიერება ამ მხრივ ძლიერ ცოტას იძლევა.

წიგნის წარმოშობის მთელი პროცესის,— ბეჭდვის გაჩენიდან დღემდე—გაცნობას ბავშვს შესძლებს მხოლოდ მუზეუმში: კინო-სურათების, პანტომიმების, მხატვრული სცენების, საუბრების და ლექციების საშუალებით.

მუზეუმის ამოცანაა გააღვიძოს ბავშვის ინტერესი კულტურული ცოდნისადმი, გამოიწვიოს ამ მხრივ ბავშვებში ერთგვარი შეჯიბრება, გააცნოს ბავშვს საუკეთესო წიგნები.

ამ მიზნით, მუზეუმში იმართება სხვადასხვა სახის თამაშობა: ავტორის და ნაწარმოების სათაურის გამოცნობა პოპულიარული წიგნებიდან ამოღებული ნაწყვეტების საშუალებით, ამა თუ იმ ნაწარმოების გმირის ტანისამოსში გამოწყობა, რის უფლებაც ეძლევა მხოლოდ იმ ბავშვს, რომელიც შეუმცდარად შეარჩევს ტანისამოსის ყველა დეტალებს (ეს ტანისამოსები ეკუთვნის მუზეუმს), სატურნირები მოეწყობა იმისათვის, ვისაც მეტი წიგნები აღმოჩნდება წაკითხული ამა თუ იმ თემაზე. წარმოდგენების გამართვა ცნობილი ნაწერების ზოგიერთი ადგილებიდან, საუკეთესო ავტორთა ნაწერებიდან ნაწყვეტების ბეჭდვა ბავშვთა მიერ, საუბრები, ლექციები, კინო-სურათები, ბავშვთა ნამუშევრების გამოფენები. ბავშვთა შემოქმედება მოთხრობების სახით და მრავალი სხვა ამგვარი კულტურული ვარჯიშობა და თამაში გააღვიძებს ბავშვის კულტურულ ინტერესს, გამოიწვევს მათში კარგი წიგნების წაკითხვის სურვილს, საკუთარი ინიციატივის გამოჩენისადმი მისწრაფებას.

მუზეუმთანვე უნდა იყოს გამართული საბავშო ბიბლიოთეკა და სამკითხველო.

მუზეუმმა უნდა შემოიკრიბოს ირგვლივ ყველა ცოცხალი ლიტერატურული, პედაგოგიური და მხატვრული ძალები და ხელი შეუწყოს იმას, რომ ბავშვთაგან გამოვიდნენ მეცნიერების და ხელოვნების ღრმა მოყვარულნი.

კარგად დაყენებული მუზეუმი განამტკიცებს კავშირს ბავშვთა და ნიჭიერ პირთა შორის, ხელს შეუწყობს ნიჭიერ ბავშვების ადრიან გამოსვლას ასპარეზზე, გაზრდის კულტურულ გემოვნებას და მოთხოვნილებებს, გააფართოებს ცოდნას, დაუკავშირებს წარსულ თაობათა უდიდეს მიღწევებთან ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში და შეამცირებს მავნე და მახინჯი მოვლენების რიცხვს ჩვენს წრეში.

ინა ს—ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური კომიტეტის პლენუმისათვის

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში

გავაშენოთ თუთის პლანტაციები, ფართოდ გავავრცელოთ ინკუბატორები, მოვაწყოთ ჭიის კვების და მოვლის მექანიზაცია, გავშალოთ გადამმუშავებელი მრეწველობა და შევქმნათ მეაბრეშუმეობის საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი

საქ. მეაბრეშუმეობის ახალი ხუთწლიანი გეგმა

მეაბრეშუმეობა განადგურებული იყო

წელიწადი არ გასულა მას შემდეგ, რაც შედგენილ იქნა „საქართველოს აბრეშუმი"-ს ხუთწლიანი გეგმა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებისა და ამისათვის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენების მოთხოვნილების ზრდამ საჭიროდ გახადა ამ გეგმის გადასინჯვა.

საქართველოში მეაბრეშუმეობა ძალიან განვითარდა გასული საუკუნის ნახევარში, როდესაც პარკის მოსავალი 300.000-მდე ფუთს უდრიდა. შემდეგ აბრეშუმის ჭიის ეპიზოოტიის გავრცელების გამო, მეაბრეშუმეობა დაეცა და, მსოფლიო ომის წინ, მისმა პროდუქციამ ძლივს მიაღწია გასული საუკუნის ნახევრის დროინდელი პროდუქციის 60 პროცენტს. იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა ხელი შეუწყო მოსავლის შემდგომ შემცირებას და მის ხარისხობრივ გაუარესებას. ასე, მაგ., 1910 წელს შეგროვილ იქნა 160.000 ფუთი პარკი, 1911 წელს—150.000 ფუთი, 1913 წელს—95.000 ფუთი ,ხოლო 1919 წელს—19.600 ფუთი, ამის შესაფერისად ეცემოდა პარკის გამოსავალიც ერთ კოლოფ თესლზე—1 ფუთი და 10 გირვანქიდან (1911 წელს) 1 ფუთამდე (1919 წელს).

მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების დროს

მენშევიკების ბატონობის დამხობის შემდეგ იწყება მეაბრეშუმეობის აღორძინება. პარკის მოსავალი, რომელიც 1921 წელს 45.000 ფუთს შეადგენდა, 1928 წელს აყვანილ იქნა 147.000 ფუთამდე, ხოლო პარკის გამოსავალმა 1 კოლოფზე 1 ნახ. ფუთს მიაღწია. ამ შედეგების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ფართო ღონისძიებებით, რომლებიც სახელმწიფომ გაატარა აბრეშუმის თესლის გაუმჯობესების, ჭიის რაციონალურად კვების და აგრიკულტურულ ღონისძიებათა ხაზით, კერძო მეთესლეობა, რაც მეაბრეშუმე გლეხობისათვის პირდაპირ უბედურებას წარმოადგენდა, თანდათან განდევნა სახელმწიფო მეთესლეობამ, რომლის პროდუქციამაც 8.000 კოლოფიდან (1922 წ.) 71.000 კოლოფამდე მიაღწია (1928 წელს)—ქუთაისის ოლქში არსებულ 3 სათესლე სადგურში. გარდა ამისა, ამჟამად 1 კოლოფ აბრეშუმის თესლზე საშუალოდ გამოდის 29 კილოგრამი პარკი, ხოლო „საქართველოს აბრეშუმი"-ს ცნობებით, სათესლე სადგურებმა თავიანთი მოქმედების რაიონებში (ნაცვლად 20 კილოგრამისა 1911 წელს და 10 კილოგრამისა 1919 წელს კერძო მეთესლეობის დროს) პარკის გამოსავალი ერთ კოლოფზე 48 კილოგრამამდე აიყვანეს.

მაინც ჩამორჩენილი ვართ

მაგრამ მიღწეული წარმატების მიუხედავად, ჩვენი აბრეშუმის მრეწველობა მაინც ჩამორჩება აბრეშუმის მრეწველობას ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში, სადაც 1 კოლოფ თესლზე პარკის უფრო მაღალი გამოსავალს ღებულობენ. 1924 წ. აბრეშუმის თესლის 25 გრამიან კოლოფზე პარკის მოსავალი შეადგენდა: იაპონიაში საშუალოდ 52,8 კილოგრამს; იტალიაში—47,5 კილოგრამს, საფრანგეთში—49,8 კილოგრამს, ბულგარეთში—37,0 კილოგრამს, კიპროსზე—47,5 კილოგრამს .რომ თვალსაჩინოდ დავახასიათოთ ჩვენი ჩამორჩენილობა ამ მხრივ, საკმაოა ითქვას, რომ მოსავლიანობა იტალიის ზოგიერთ ადგილას 1 კოლოფ თესლზე 80—90 კილოგრამს აღწევს.

დღემდე მეაბრეშუმეობა საქართველოში ატარებდა და ატარებს სოფლის მეურნეობის მხოლოდ დამხმარე დარგის ხასიათს. იაპონიისა და იტალიის მაგალითი მოწმობს, რომ სოფლის მეურნეობის ეს დარგი შეიძლება გადაიქცეს ერთ-ერთ ძირითად დარგად.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში მოიპოვება ყოველგვარი უპირატესობა კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობასთან შედარებით, ამიტომ ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა—დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მეაბრეშუმეთა სივრცის ზრდა

„საქართველოს აბრეშუმი"-ს მიერ შემუშავებული ახალი ვარიანტი ხუთწლიანი გეგმისა გულისხმობს, რომ ხუთწლედის დამლევისათვის მეაბრეშუმეობაში ჩაბმულ მეურნეობათა რიცხვი აყვანილ იქნას 161.000-მდე, ხოლო ათწლედის დამლევისათვის 330.000-მდე (მეურნეობათა საერთო რიცხვის 75 პროც.).

ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც ემყარებოდნენ დასავლეთ საქართველოში ჩაის კულტურის მაქსიმალური განვითარებისა და აღმოსავლეთ საქართველოში მებაღეობისა და სხვა ტეხნიკური კულტურების განვითარების საჭიროებას, „საქართველოს აბრეშუმი"-ს ასეთ ვარაუდს შეუსრულებლად სთვლიდნენ. ასეა თუ არა ნამდვილად? ამჟამად მეაბრეშუმეობაში ჩაბმულ მეურნეობათა რიცხვი 103.000-ს აღწევს. როგორც ვხედავთ, ხუთწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულია არც თუ ძალიან დიდი ზრდა—დაახლოებით 56 პროცენტი, მიტადრე თუ მხედველობაში მივიღებთ სოფლის მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას.

რომ ასეთი ზრდა შესაძლებელია, ამას მოწმობს იმავე იაპონიის მაგალითი. იქ თითქოს შემდგომი გაფართოების ყველა საშუალება ამოწურულია, მაგრამ პარკის საერთო მოსავლის ზრდასთან ერთად, განუწყვეტლივ იზრდება მეაბრეშუმეობაში ჩაბმულ მეურნეობათა რიცხვი. „მეაბრეშუმეობაში ჩაბმულ მეურნეობათა რიცხვი 1928 წელს უდრის 2.154.420-ს, ეს რიცხვი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 61.000 მეურნეობით, ხოლო 1926 წელთან შედარებით—103.000 მეურნეობით" (ბიხოვსკი, „გეგმიანი მეურნეობა" № 9).

ეს თვალსაჩინო და საგულისხმო მაგალითია. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვენ ყველა შესაძლებლობა არ გამოგვიყენებია და ტეხნიკური კულტურების განვითარების პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს და კიდევაც უნდა მიმდინარეობდეს მეაბრეშუმეობის განვითარებასთან ერთად. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მანქანიზაცია, მეაბრეშუმეობის მსხვილი მეურნეობის ფორმა, კვების მექანიზაცია და პლანტაციების სისტემა—ყველა ამ ელემენტებმა ხელი უნდა შეუწყონ „საქართველოს აბრეშუმი"-ს წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებას.

მეაბრეშუმეობის მექანიზაცია

ხუთწლიანი გეგმის ახალი ვარიანტით, „საქართველოს აბრეშუმი" სავსებით სწორად მთავარ ყურადღებას აქცევს მსხვილი მექანიზაციაქმნილი შენობების მოწყობას, სადაც ჭიის გამოკვება მექანიკური წესით იწარმოებს. ჯერ-ჯერობით გეგმა ითვალისწინებს 10 ასეთი სადგურის მოწყობას, მაგრამ თუ ექსპლოატაციის პირველმა წელიწადმა დადებითი შედეგი გამოიღო, ასეთი შენობების მოწყობის პრაქტიკა უფრო ჩქარი ტემპით განვითარდება.

ასეთი ჭიის გამოსაკვები მექანიზაციაქმნილი შენობები მოეწყობა როგორც არსებულ საბჭოთა მეურნეობებში, ისე მეაბრეშუმეობის სპეციალურ მეურნეობებში, რომლებშიაც გაშენდება თუთის ხის სპეციალური პლანტაციები, ახეთი პლანტაციები უნდა გაშენდეს დაახლოებით 14.000 ჰექტარის ფართობზე.

მსხვილ მექანიზაციაქმნილ პუნქტში გამოკვებილი იქნება 1.000 კოლოფი თესლი. გამოკვება იწარმოებს 6 თვე და ამავე დროს განვითარდება დამხმარე კულტურები: საკვები ბალახების თესვა, მერძევეობის საქმე და სხვ., რაც „საქართველოს აბრეშუმი"-ს ანგარიშით, მოგვცემს 92.560 მანეთ შემოსავალს, ხოლო ხარჯი იქნება 43.000 მანეთი.

თუთის პლანტაციები

„საქართველოს აბრეშუმი"-ს განზრახული აქვს 1930 წლიდან შეუდგეს პლანტაციების გაშენებას იმ ანგარიშით, რომ თუთის ბუჩქის პლანტაციებმა ფოთლის პირველი მოსავალი მოგვცენ 1931 წლის გაზაფხულზე, რაც სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ამავე დროს დაიწყება მაღალძირიანი თუთის ხეების დარგვა, სულ ხუთწლედის განმავლობაში დარგული იქნება არა ნაკლებ 35 მილიონი ნერგისა, უმთავრესად ბუნებრივ საზღვრებზე, დაუმუშავებელ მიწებზე, შარაგზებისა და რკინის გზების გასწვრივ. რომ გეგმის ამ ნაწილის შესრულება შესაძლებელია, ის იქიდან სჩანს, რომ ორი წლის განმავლობაში სანერგეების ქსელის მინიმალური რაოდენობის დროს გლეხობას დაურიგდა—800.00 ორწლიანი ნერგი.

ყველაზე ხელსაყრელია თუთის ბუჩქის პლანტაციების გაშენება, რადგან თუთის ბუჩქი ფოთოლს იძლევა მეორე წელს, მაღალძირიანი ნერგი კი მხოლოდ მეხუთე წელს.

რათა წარმოდგენა ვიქონიოთ საკვების მარაგზე 5 წლის განმავლობაში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად საქართველოში აღრიცხულია 6.688 ათასი თუთის ხე, აქედან გამოყენებულია 80 პროცენტი. „საქართველოს აბრეშუმი"-ს მიერ გათვალისწინებულია თუთის ხის გასხვლის რაციონალიზაცია, მისი ჯიშის გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებანი, რაც მოსავლიანობას გაადიდებს 18 კილოგრამამდე. ეს კი მოგვცემს დამატებით 25.000 ტონა ფოთოლს, რითაც შესაძლებელი იქნება 30.000 კოლოფის თესლის გამოკვება.

„საქართველოს აბრეშუმი" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჭიის სამჯერ გამოკვების საკითხს. მთელ რიგ ქვეყნებში უკვე შემოღებულია ასეთი პრაქტიკა, ამასთანავე აღნიშნულია, რომ გაზაფხულის გამოკვება უდიდეს მოსავალს იძლევა.

განსაზოგადოებული სექტორი

განსაზოგადოებული სექტორის — საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების წილი ხუთწლედის დამლევისათვის აყვანილი იქნება თუთის ხის ახალი პლანტაციების გაშენებაში 85 პროცენტამდე, ჭიის გამოკვებაში—60 პროცენტამდე. პარკის საერთო მოსავალი გათვალისწინებულია 11.120 ტონამდე (469 პროცენტი 1928—29 წელთან შედარებით).

მსხვილ კოლმეურნეობებში—150 მსხვილ კოლმეურნეობაში მაინც გათვალისწინებულია ხუთი წლის განმავლობაში მოეწყოს ჭიის გამოკვება მსხვილი მასშტაბით (133 კოლოფის), წვრილ კოლმეურნეობებში კი—20 კოლოფის.

ფინანსიური უზრუნველყოფა

ასეთ დიდ მუშაობას ფინანსების სათანადო მიწოდებაც ესაჭიროება. შუა აზიაში დეკანები თუთის ბუჩქის პლანტაციის ერთ ჰექტარზე ღებულობენ 200 მანეთს ერთდროულ სესხს, რაც გასტუმრებულ უდა იქნას 4 წლ. განმავლობაში. „საქართველოს აბრეშუმი"-ს გეგმა ითვალისწინებს ფინანსების მიწოდებას უმთავრესად საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის და ჰექტარზე საჭირო თანხას განსაზღვრავს 720 მანეთით. მაღლამდგომი ორგანოების წინადადებით ეს თანხა შემცირებულ უნდა იქნას აუცილებელ დონემდე, მაგრამ იმ პირობით, რომ ფინანსების მიწოდებაში მოხდეს გამიჯვნა ინდივიდუალურ მეურნეობებსა და განსაზოგადოებულ სექტორს შორის, ვინაიდან ამ უკანასკნელს ესაჭიროება ფინანსების ბევრად უფრო გაძლიერებული მიწოდება. ინდივიდუალურ სექტორში გათვალისწინებულია ფინანსების უფრო გაძლიერებული მიწოდება ღარიბი გლეხებისათვის.

ასეთი გეგმა აბრეშუმის მომპოვებელი მრეწველობისა, რომელმაც ნედლეულით უნდა უზრუნველყოს ჩვენი და საკავშირო აბრეშუმის დამმუშავებელი მრეწველობა.

ნედლეულის გადამუშავება

სანედლეულო ბაზის განვითარება იწვევს აბრეშუმის დამმუშავებელ საწარმოთა სათანადო განვითარებას.

5 წლის განმავლობაში განზრახულია აგებულ იქნას 105 მექანიკური პარკსახმობი, თვითეული 100 ათასი კილოგრამ პარკის გამტარუნარიანობით, 6 აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკა 576 გობით, 1 ძაფსაგრეხი ფაბრიკა 28.000 თითისტარით, 1 საფეიქრო ფაბრიკა 700 დაზგით და საქსოვი ფაბრიკა წინდის საქსოვი მანქანის 40 კომპლექტით.

საერთო პროდუქცია ხუთწლედის დამლევისათვის სათანადო წლის საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების მიხედვით გათვალისწინებულია 40 მილიონი მანეთის რაოდენობით, 1928—29 წლის 7.360 ათასი მანეთის ნაცვლად.

იმ მიზნით, რომ მეაბრეშუმენი უზრუნველყოფილ იქნან თესლით, განზრახულია 6 ახალი სათესლე სადგურის აგება, გარდა იმ 3 სადგურისა, რომლებიც ქუთაისის ოლქში არსებობს, და 1 სადგურისა, რომელიც კახეთში შენდება.

ტეხნიკური კადრები

თვითეულ მსხვილ მექანიზაციაქმნილ ჭიის გამომკვებ სადგურში, რომელიც 1.000 კოლოფ ჭიას გამოიყვანს, იმუშავებს 24 მუშა და 5 კაცი ტეხნიკური პერსონალი.

აგროკულტურული ხაზით საჭირო იქნება 202 აგრონომი და 2.644 სხვა სპეციალობის მუშაკი.

აბრეშუმის დამმუშავებელი მრეწველობისათვის საჭირო იქნება 191 ინჟენერი და 540 ტეხნიკოსი, ხოლო მუშა-ხელი მთელი აბრეშუმის დამმუშავებელი მრეწველობისათვის ხუთწლედის დამლევს საჭირო იქნება 8.757 კაცი, ხუთწლიანი გეგმის ძველი ვარიანტით გათვალისწინებული 4.775 კაცის ნაცვლად.

რათა აბრეშუმის მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნას კადრებით, გათვალისწინებულია მეაბრეშუმეობის სპეციალური ინსტიტუტის დაარსება. გარდა ამისა, სოფლის ტეხნიკუმებში მეაბრეშუმეობის სწავლების შემოღებით, მეაბრეშუმეობის განხრის მქონე სპეციალური კურსებისა და სასწავლებლების მოწყობით განზრახულია მოხდეს მეაბრეშუმეობის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ასეთი გეგმებით, რომლებიც შემდეგში უფრო სწორად ჩამოყალიბებული იქნება, შედის „საქართველოს აბრეშუმი" ხუთწლედის დარჩენილ წლებში. გეგმა მაქსიმალურია და ყველა ორგანიზაციებმა დიდი ენერგია და ყურადღება უნდა გამოიჩინონ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

გ—ლი.

კაპიტალური მშენებლობა მეაბრეშუმეობაში

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის მრეწველობა საქართველოში ფართე კაპიტალური მშენებლობით ხასიათდება. აშენდა და შენდება ახალი აბრეშუმის ქარხნები და საგრენაჟო სადგურები, ფართოვდება ფარდულ-ღუმელების ქსელი, ეწყობა თუთის ხის სანერგეები და სხვ. ახალ მშენებლობასთან ერთად სწარმოებს არსებულ საწარმოთა და სამრეწველო დაწესებულებათა კაპიტალური შეკეთება და გაფართოება.

1925—26 საოპერაციო წლიდან დაწყებული მიმდინარე 1929—30 წლამდე აღნიშნულ მშენებლობაზე დახარჯულია დაახლოებით 4.472.000 მან. ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: 1. საგრენაჟო სადგურების აგება და მოწყობა—405,000 მანეთი, 2. ფარდულ-ღუმელების ქსელის გაფართოება და პარკის საწყობის აგება 415.000 მანეთი, 3. ახალი მექანიკური სახმობების შექმნა და დადგმა 70.000 მანეთი, 4. საინკუბაციო კამერების მოწყობა 20.000 მანეთი, 5. მეთუთეობა და აგროკულტურული მუშაობა 647.000 მანეთი, 6. აბრეშუმის ძაფსალებ, საგრეხ-საქსოვ ქარხნების აგება და გაფართოება 2.915.000 მანეთი.

ამ თანხების დაბანდებამ შემდეგი თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. 1. შეიქმნა [illegible]ბრივი სახელმწიფო საგრენაჟო წარმოება და ჩვენს მეაბრეშუმეობას დღეს უკვე აღარ ესაჭიროება თესლის შემოტანა უცხოეთიდან. ტრესტის სამი საგრენაჟო სადგური, მოწყობილი ახალი ტეხნიკურ საფუძველზე, აწვდის მეაბრეშუმეებს საჭირო რაოდენობით სრულიად საღს და ცელულიარული წესით დამზადებულ თესლს. 2. სათანადოთ მოწესრიგდა პარკის გამოხმობის საქმე. 1925 წლამდე ნედლი პარკის თითქმის მთელი მოსავლის გამოხრჩოლვა სწარმოებდა უბრალო ღუმელებში, მისი გამოხმობა კი—ბუნებრივი წესით—ფარდულებში, თითქმის 4—5 თვის განმავლობაში, რაც იწვევდა ზედმეტ ხარჯების შტატის შენახვის და თანხების გაჩერების სახით. 1926 წლიდან „საქართველოს აბრეშუმი"-ს მიერ მოწყობილ იქნა 11 მექანიკური სახმობი ათ ადგილას. თვითეული მათგანი ერთი დღის განმავლობაში ახმობს 1.440 კილოგრამ პარკს 3. შემოღებულ იქნა აბრეშუმის ჭიის ხელოვნური გაცოცხლება—ინკუბაცია, რამაც საგრძნობლად ასწია მოსავლიანობა ერთ კოლოფ თესლზე. 1929 წელს გაცოცხლებულ იქნა ტრესტის სპეციალურ საინკუბაციო კამერებში 45.000 კოლოფი თესლი, ე. ი. მთელი დარიგებულ თესლის 50 პროც. მეტი. 4. მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა თუთის ხის საერთო წარმოების გაფართოების საქმეს. 1928 წლამდე საქართველოში იყო მოწყობილი მხოლოდ 3 სანერგე 5 ჰექტარის ფართობით. ამჟამად მოწყობილია 42 სანერგე—181 ჰექტარის ფართობით, სიდანაც ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში დარიგებულია 800.000 ორწლიანი ნერგი. 5. მოეწყო პარკის ადგილობრივად გადამუშავება; 1925—26 წლამდე მეაბრეშუმეობას ჩვენში მხოლოდ მომპოებითი წარმოების ხასიათი ქონდა. პარკი გაქონდათ უცხოეთში და იქ სწარმოებდა მისი გადამუშავება ძაფად. დღეს ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია: საქართველოში ამჟამად არსებობს 5 აბრეშუმის ძაფსალები ქარხანა, მოწყობილი უახლეს ტეხნიკურ საფუძველზე.

ამ ქარხნებმა 1928—29 წელს გამოიმუშავეს 153.000 კილოგრამი გრეჟა, ღირებული დაახლოვებით 7.700.000 მანეთი. აბრეშუმის ძაფსალებ მრეწველობასთან ერთად ვითარდება აბრეშუმის ძაფ-საგრეხი და აბრეშუმის საქსოვი მრეწველობაც (ერთი საგრეხი ქარხანა ოზურგეთში—2680 თითის ტარით და ორი საქსოვი ქარხანა თბილისში). აბრეშუმის მრეწველობა 1925—26 წლამდე თითქმის არ არსებობდა, დღეს კი ეს მრეწველობა იმდენად განვითარებულია, რომ მისი საერთო პროდუქცია 26-27 წ. უცვლელ ფასებში უდრის თითქმის ათ მილიონ მან.

ასეთია ის შედეგები რომელიც ჩვენ მივიღეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში გეგმიანი მუშაობით და 4.472.000 მანეთის დახარჯვით კაპიტალურ მშენებლობაზე.

დღეს საქართველოს მეაბრეშუმეობამ თითქმის უკვე გადააჭარბა ომის წინადროინდელ ნორმებს და შევიდა განვითარების ახალ ფაზაში. მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაჭრას: 1. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სისტემაში მეაბრეშუმეობის ხვედრითი წონის გადიდება. 2. საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის საფუძველზე მეაბრეშუმეობაში სოციალისტური სექტორის გაფართოება. 3. აბრეშუმის ჭიის ჯიშების სელექციის და რაციონალური კვების ნიადაგზე პარკის ხარისხის გაუმჯობესება, 4. აბრეშუმის მრეწველობის ყველა დარგის მაქსიმალურად განვითარება.

ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა მოგვარდეს საკვები ფონდის საკითხი, იქნას მიღებული სათანადო ზომები მეაბრეშუმეობის გასავრცელებლად ახალ რაიონებში, აშენდეს ახალი საგრენაჟო სადგურები, მოეწყოს მეაბრეშუმეობის სპეციალური საბჭოთა მეურნეობები აბრეშუმის ჭიის კვების მექანიზაციის საფუძველზე. გაცხოველდეს მუშაობა მეაბრეშუმეობის კოლექტივიზაციის ხაზით და აშენდეს ახალი ძაფ-სალები, ძაფ-საგრეხი და საქსოვი ქარხნები.

„საქართველოს აბრეშუმმა" დაამუშავა და დასამტკიცებლად წარადგინა თავისი საქმიანობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით კაპიტალური მშენებლობა მეაბრეშუმეობის ხაზით გათვალისწინებულია 46.484.000 მანეთის რაოდენობით. ცალკე დარგების მიხედვით ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: 1. მეთუთეობაზე—13.784.000 მანეთი, გეგმა ითვალისწინებს 419 ჰექტარი ახალი სანერგეების მოწყობას, 13.672 ჰექტარი თუთის პლანტაციების მოშენებას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში და 46.000.000 ძირი ნერგის დარიგებას მეაბრეშუმეებზე. 2. საგრენაჟო წარმოებაზე—1.845,000 მანეთი, გათვალისწინებულია 6 ახალი საგრენაჟო სადგურის აგება: გურჯაანში, გალში (აფხაზეთი), ზესტაფონში, ზუგდიდში, გორის და თბილისის ოლქებში. 3. საბჭოთა და კოლმეურნეობის ხაზით—19.260.000 მან. უნდა მოეწყოს 84 საბჭოთა მეურნეობა, რომელთაგან ნაწილი იქნება წმინდა მეაბრეშუმეობის, ნაწილი კი კომბინატები. საბჭოთა მეურნეობებში ჭიის გამოკვება იწარმოებს მექანიკური წესით და ამავე დროს სისტემატიურად ექვსი თვის განმავლობაში. საჭირო ბინების მოსაწყობად კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია 1.360.000 მან. 4. პარკის დამზადების ხაზით—2.220,000 მან., გეგმით ნაგულისხმევია პარკის მოსავლის დამზადების სრული მექანიზაცია; არსებულ 11 მექანიკურ სახმობს უნდა დაემატოს 94 მექანიკური სახმობი, 5. კაპიტალური დაბანდებანი მეაბრეშუმეობაში—3.597.000 მან., აღნიშნული თანხა დახარჯული იქნება აგრო - კულტურულ მუშაობაზე, სხვადასხვა მასალების შეძენაზე და საინკუბაციო კამერების და ინკუბატორების მოწყობაზე. აბრეშუმის ჭიის თესლის ხელოვნურად გაცოცხლება (ინკუბაცია) არის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება, რომელიც მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს. სამი წლის განმავლობაში წარმოებული მუშაობის შედეგებმა სრულიად ნათელყო, რომ თესლის ინკუბაცია ჩვენში ფართედ უნდა იქნას წარმოებული. ხუთწლედის ბოლოს განზრახულია დასარიგებელი თესლის მთელი რაოდენობის ინკუბაცია. 5. კაპიტალური ხარჯები აგროპერსონალის მომზადებაზე—2.000.000 მან. განზრახულია ორი სპეციალური მეაბრეშუმეობის ტეხნიკუმების მოწყობა ქუთაისში და თბილისში და 3 არსებული ათწლედის რეორგანიზაცია სპეციალურ ტეხნიკუმებად მეაბრეშუმეობის განხრით. 6. საცდელ-კვლევითი ხაზით მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის დაარსება—1.765,000 მან., 7. კაპიტალური დაბანდებანი ინვენტარის შესაძენად—1.963,000 მან.

კაპიტალური მშენებლობა აბრეშუმის მრეწველობის ხაზით გათვალისწინებულია ხუთი წლის განმავლობაში—17.954.000 მან.

ეს თანხა აბრეშუმის მრეწველობის ცალკე დარგებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: 1. აბრეშუმის ძაფ-სალები წარმოება — 7.849.000 მ. გეგმით განზრახულია 6 ახალი ძაფ-სალები ქარხნის აშენება: ზუგდიდში 144 აუზით, სენაკში 144 აუზით, აფხაზეთში 96 აუზით, აჭარისტანში 48 აუზით, გორში 72 აუზით და შორაპანში —72 აუზით. გარდა ამისა, გათვალისწინებულია თელავის ქარხნის გაფართოება 144 აუზამდე, სამტრედიის ქარხნის რეკონსტრუქცია (ძველი 52 აუზის შეცვლა 60 ახალი აუზით) და 52 აუზის დადგმა ქუთაისში და ოზურგეთში დომფალის დასამუშავებლად; სულ დადგმული იქნება 728 ახალი აუზი. ხუთი წლის თავზე საქართველოში იქნება 11 ძაფ-სალები ქარხანა, რომლებშიაც მოთავსებული იქნება 1.264 აუზი. 2. აბრეშუმის ძაფ-საგრეხ მრეწველობის ხაზით—1.284.000 მ. გეგმა ითვალისწინებს ერთი ახალი ძაფ-საგრეხი ქარხნის აგებას ქ. ქუთაისში— 28.000 ჩერიათი, და ოზურგეთის ქარხნის გაფართოებას 5.360 ჩერიამდე. ხუთი წლის ბოლოს საქართველოში იქნება ორი ძაფ-საგრეხი ქარხანა —34.000 ჩერიით. 3. აბრეშუმის საქსოვი მრეწველობის ხაზით — 6.659.000 მ. გარდა თბილისის ახალი ქარხნისა განზრახულია კიდევ ერთი დიდი ახალი საქსოვი ქარხნის აშენება, ქ. ქუთაისში— 700 დაზგით. ხუთი წლის ბოლოს საქართველოში იქნება ორი დიდი საქსოვი ქარხანა —1.000 დაზგით. 4. აბრეშუმის სატრიკოტაჟო წარმოების ხაზით— 2.262.000 მ. გათვალისწინებულია ერთი სატრიკოტაჟო ქარხნის აგება საჩულქე მანქანების 40 კომპლექტით.

ქუთაისის საგრენაჟო სადგურის შენობა

სულ აბრეშუმის მრეწველობის და მეაბრეშუმეობის ხაზით კაპიტალური ხარჯების საერთო ჯამი ხუთი წლის განმავლობაში უდრის —64.391.000 მ.

კაპიტალურ მშენებლობის აღნიშნული გეგმის განხორციელება შემდეგ ნაყოფს მოგვცემს: 1. თუთის ფოთლის საერთო მარაგი გადიდდება ხუთი წლის განმავლობაში—94.000 ტონიდან 201.100 ტონამდე, რაც მოგვცემს საშუალებას დავარიგოთ 1933 წელს 214.600 კოლოფი თესლი. 2. საგრენაჟო სადგურის მიერ დამზადებული იქნება ხუთი წლის ბოლოს 330.000 კოლოფი თესლი. 3. ნედლი პარკის საერთო მოსავალი გაიზრდება 2.228.000 კილოგრამიდან — 10.471.000 კილოგრამამდე. ნედლი პარკის დამზადება კი— 1.938.000 კილოგრამიდან —9.718.000 კილოგრამამდე. 4. იქნება მოწყობილი 84 მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც მოგვცემს 2.705.000 კილოგ. პარკს. 5. აბრეშუმის ქარხნების მიერ გამომუშავებული იქნება ხუთი წლის თავზე ნატურალურ ერთეულებში: ა) 482.000 კილოგრამი გრეჟა, ბ) 185.000 კილ. დაგრეხილი ძაფი, გ) 3.600,000 მეტრი ქსოვილი, დ) 216.000 დაგრეხილი აბრეშუმის ძაფი. 6. საერთო პროდუქციის ფულადი ღირებულება (გასაყიდ ფასებში) ხუთი წლის განმავლობაში უდრის 110.000.000 მან. 7. წმინდა მოგება ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს —19.429,.00 მან. 8. ჩაბმული იქნება მრეწველობაში ხუთი წლის ბოლოს 8.757 მუდმივი მუშა.

აღნიშნული მაჩვენებლები გვიჩვენებენ, თუ რა დოვლათის შექმნა შეუძლია მეაბრეშუმეობას და აბრეშუმის მრეწველობის განვითარებას ჩვენი ქვეყნისათვის.

ვ. მანჯგალაძე.

სააბრეშუმო მრეწველობის განსავითარებლად ხუთი წლის განმავლობაში აგებული იქნება: 105 მექანიკური პარკსახმობი, თვითეული 100 ათასი კილოგრამ პარკის გამტარუნარიანობით, აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკა — 576 გობით, 1 ძაფსაგრეხი ფაბრიკა 28.000 თითისტარით, 1 საფეიქრო ფაბრიკა 700 დაზგით და ერთი საქსოვი ფაბრიკა—წინდების საქსოვი მანქანების 40 კომპლექტით. მუშა ხელის რაოდენობა აბრეშუმის დამმუშავებელ მრეწველობაში ხუთწლედის დასასრულისათვის გაიზრდება 8.757 კაცამდე.

ხუთწლედის დამლევისათვის მეაბრეშუმეობაში ჩაბმულ მეურნეობათა რიცხვი, ახლანდელ 103.000-ს ნაცვლად, აყვანილ უნდა იქნას 161.000-მდე, ხოლო ათწლედის დასასრულისათვის — 303.000-მდე (მეურნეობათა საერთო რიცხვის 75 %).

განსაზოგადოებულ სექტორის (საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი) წილი მეაბრეშუმეობაში ხუთწლედის დამლევისათვის აყვანილი იქნება: პარკის საერთო მოსავალში—11.120 ტონამდე (გადიდდება 469 % 1928-29 წ. შედარებით), თუთის ახალი პლანტაციების გაშენებაში—85 პროცენტამდე, ჭიის გამოკვებაში—60 პროცენტამდე.

კაპიტალურ მშენებლობაზე მეაბრეშუმეობის ხაზით 1925-26 წლიდან 1929-30 წლამდე დახარჯულია — 4.472.000 მანეთი, ხოლო ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 46.434.000 მან. დაბანდება.

აბრეშუმის საერთო პროდუქციის ღირებულება ხუთწლედის დამლევისათვის მიაღწევს 40 მილიონ მანეთს 1928-29 წ. 7.360 ათას მან. მაგივრად, ხოლო მთელი ხუთი წლის განმავლობაში ის შეადგენს 110 მილიონ მანეთს.

მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხები ამიერ კავკასიაში

თურქესტანის შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში ამიერ-კავკასია თავისი კლიმატიური პირობებით საუკეთესო რაიონს წარმოადგენს მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. ამას გარდა, აქ მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელს უწყობს მიწის სივიწროვე; ცნობილია, რომ მეაბრეშუმეობა განსაკუთრებით ფართედ ვრცელდება ისეთ ქვეყნებში, სადაც მიწის სიმცირეს აქვს ადგილი.

გავაძლიეროთ განსაზოგადოებული სექტორი

აღსანიშნავია, რომ მეაბრეშუმეობა უფრო ფართედ ვითარდება ღარიბ მეურნეობაში, ვინემ შეძლებულ მეურნეობაში. ამის მიზეზი შემდეგია: 1) წვრილ მეურნეობაში უფრო მეტი მოიპოვება თავისუფალი მუშა-ხელი, კერძოთ ქალები და ბავშვები, მაშინ, როცა მსხვილ მეურნეობაში ისინი ადვილად პოულობენ გამოყენებას მეურნეობის სხვა დარგებში; 2) აბრეშუმი ყველაზე ნაადრევ მოსავალს იძლევა, მისი პროდუქტის (პარკის) რეალიზაცია ხდება მაის-ივნისში, როცა გლეხური მეურნეობის არცერთი სხვა მოსავალი არ არის მოწეული და როცა ღარიბი გლეხობა, რომელსაც არ შეუძლია განვლილ წლიდან დაგროვილი მარაგი ამ დრომდე მოიტანოს, განსაკუთრებულ გაჭირვებას განიცდის. სომხეთის მიწადმოქმედების სახკომის მიერ 1926 წ. ერთ-ერთ მაზრაში ჩატარებულმა ეკონომიურ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მეაბრეშუმეთა საერთო რიცხვიდან შეადგენდნენ: კულაკები—0 პროც., შეძლებული გლეხები —20 პროც., საშუალონი —35 პროც., ღარიბნი—45 პროც.

მოსავლიანობის მხრით კი ღარიბ გლეხის მეაბრეშუმეობა ძალიან ჩამორჩება შეძლებულ გლეხობისას, ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეობისათვის შესაფერ შენობას და მოწყობილობას, აგრეთვე მეურნეობის საერთო მატერიალურ მდგომარეობას. იგივე აღწერა აღნიშნავს, რომ აბრეშუმის პარკის საერთო მოსავალი შემდეგნაირად იყო განაწილებული გლეხობის სხვადასხვა ფენებს შორის.

მეაბრეშუმეთა საერთო რიცხვიდან— შეძლებული გლეხები— 20 პროც., საშუალო — 35 პროც., საშუალოზე ნაკლები შეძლების — 20 პროც., ღარიბი გლეხები— 25 პროც.

პარკის მოსავლის საერთო რაოდენობიდან— შეძლებული გლეხები—32 პროც., საშუალო გლეხები —42 პროც., საშუალოზე ნაკლები შეძლების—16 პროც., ღარიბი გლეხები — 10 პროც.

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, ყველაზე დიდ მოსავალს იძლევა შეძლებული გლეხის ოჯახი, ხოლო ყველაზე უმცირესს —ღარიბი ოჯახი; ღარიბ ოჯახთა 25 პროც. იძლევა მოსავლის მხოლოდ 10 პროცენტს, ანუ ოთხჯერ ნაკლებს, ვინემ შეძლებული გლეხის ოჯახი.

აქედან ცხადია, რომ **მეაბრეშუმეობის განვითარების უმთავრეს პირობას წარმოადგენს დაქსაქსულ წვრილი მეურნეობიდან მსხვილ მეურნეობაზე გადასვლა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის საფუძველზე**, რომ მით მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს კულტურულ მეაბრეშუმეობას, ნაცვლად პრიმიტიულ დაქსაქსულ და წვრილი მეურნეობისა.

მეაბრეშუმეობის ჩამორჩენილობის მიზეზები

იმპერიალისტური ომისა და შემდგომ მენშევიკ-დაშნაკ - მუსავატელების ბატონობის დროს არსებულმა არახელსაყრელმა პირობებმა ამიერ- კავკასიაში მძიმე ლახვარი ჩასცეს მეაბრეშუმეობის საქმეს და აბრეშუმის პარკის მოსავალი მინიმუმამდე დაეცა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომი წლებიდან იწყება მეაბრეშუმეობის აღდგენის პერიოდი, მაგრამ ომის წინადროინდელ მდგომარეობისათვის ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია ამ დარგში. 1928-29 წ. აბრეშ. ნედლი პარკის მოსავალი მთელ ა.-კავკ. უდრიდა 4.825 ტონას ნაცვლად 6.098 ტონისა 1913 წელში.

მეაბრეშუმეობის აღდგენის ტემპი ერთნაირი არ არის ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში, სომხეთში პარკის მოსავალმა ცოტათი გადააჭარბა ომის წინადროინდელს, აზერბეიჯანში საგრძნობლად ჩამორჩა, ხოლო საქართველოში ის მიუახლოვდა ომის წინადროინდელ მოსავალს. სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის მიერ მიმდინარე წელში ჩატარებულმა გამოკვლევამ ნათელყო, რომ აზერბეიჯანში მეაბრეშუმეობა დიდად ჩამორჩა საკვები მასალის (თუთის ფოთლის) არსებულ ბაზას. თუთის ხეების დიდი რაოდენობა გამოუყენებელია მეაბრეშუმეობის საგრძნობი შემცირების გამო, იმ დროს, როცა საქართველოში თუთის მთელი მარაგი გამოყენებულია და მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება შეუძლებელია თუთის ხის ახალი პლანტაციების გაუშენებლად.

ამნაირად, საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების დარგში დაკვრითი ამოცანას წარმოადგენს პირველ რიგში **საკვები მასალის ბაზის გაძლიერება**.

რა იწვევს მეაბრეშუმეობის შედარებით ახე ნელი ტემპით განვითარებას? ზოგიერთები ამ მოვლენას იმით ხსნიან, რომ თითქოს მეაბრეშუმეობა არარენტაბელურია გლეხის მეურნეობისათვის, რომ არსებული ფასები პარკზე ვერ უნაზღაურებს გ.ეხს იმ შრომის ფასს, რომელსაც ის ანდომებს აბრეშუმის პარკის მოყვანასო. ეს აზრი შემცდარად უნდა ჩაითვალოს. ტემპის შენელების მიზეზი არის არა ფასების სიმცირე, არამედ თვით მეაბრეშუმეობის **პრიმიტიულობა და არარაციონალურად წარმოება**, რასაც შედეგად მოსდევს ძალიან მცირე მოსავალი. 1928—29 წ. პარკის მოსავალი უდრიდა საშუალოდ ერთ კოლოფ. თესლზე: სომხეთში—52 კილოგრ. (3 ფ. 10 გირ.), აზერბეიჯანში—29,8 კ. (1 ფ. 34 გირ.), საქართველოში— 26 კ. (1 ფ. 15 გ.), საშუალოდ ა.-კავკ. 28,3 კილ. (1 ფ. 30 გირ.).

კულტურულ მეაბრეშუმეობის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს მოსავლის ასეთი მცირე დონე. იქ ერთ კოლოფზე პარკის მოსავალი აღიწევს საშუალოდ 60 კილ. (3. ფ. 30 გირ.) ზევით. რომ ასეთ მოსავალს იძლეოდეს აბრეშუმის ჭია ჩვენშიც, ცხადია, მაშინ აღარ ექნებოდა ადგილი ჩივილს დაბალი ფასების შესახებ, ვინაიდან არსებული ფასები სრულიად ხელსაყრელი შეიქნებოდა მეაბრეშუმე გლეხებისათვის და უკანასკნელნი უფრო ფართედ მოჰკიდებდნენ ხელს აბრეშუმის მოყვანას.

როგორც ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, პარკის მოსავლის მხრივ ყველაზე წინ სდგას ამიერ- კავკასიის რესპუბლიკებს შორის სომხეთი, სადაც საშუალო მოსავალი ერთ კოლოფზე უდრის 3 ფუთს და 10 გირვანქას, და კიდევაც ემჩნევა უკანასკნელ წლებში იქ მეაბრეშუმეობას შედარებით უფრო ჩქარი ტემპით განვითარების ტენდენცია.

ა.-კ. საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა

საბჭოთა კავშირი და კერძოდ ამიერ- კავკასიის სახელმწიფო საგეგმო და მრეწველობის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ამ უკანასკნელ წელში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეს. ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, დაინტერესებულ ორგანიზაციების მონაწილეობით, უკვე შეადგინა მეაბრეშუმეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობას. ეს გეგმა ითვალისწინებს როგორც თუთის ხის პლანტაციების გაშენების, ისე აბრეშუმის პარკის მოსავლის სწრაფი ტემპით განვითარებას. გეგმის ძირითადი მაჩვენებლები, განვლილ (1928—29) წელთან შედარებით, ასეთია:

1928—29 წ.—თუთის ფოთლის საერთო მოსავალი— 416.700 ტ. აბრეშუმის თესლის გამოყვანა —170.500 კოლ., პარკის საშუალო მოსავალი ერთ კოლოფ თესლზე 28,3 კილ. პარკის საერთო მოსავალი—4.825 ტონა.

1932—33 წ. (ხუთწლედის უკანასკ. წელი), —თუთის ფოთლის საერთო მოსავალი — 779.794 ტ., აბრეშუმის თესლის გამოყვანა — 589.000 კოლ., პარკის საშუალო მოსავალი ერთ კოლოფ თესლზე 49,7 კილოგრ. —პარკის საერთო მოსავალი —29,260 ტონა.

ერთი შეხედვით, ასეთი სწრაფი ტემპი შეიძლება მიუღწეველად ეჩვენოს ვინმეს, ვინაიდან გათვალისწინებულია პარკის საერთო მოსავლის ზრდა 506 პროცენტით. მაგრამ თუ დაწვრილებით განვიხილავთ დასახულ ღონისძიებებს, დავრწმუნდებით, რომ გეგმა ადვილი განსახორციელებელია. უმთავრესი ზომები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გეგმის განხორციელება, შემდეგში გამოიხატება:

ღონისძიებანი მეაბრეშუმეობის განსავითარებლად

მეაბრეშუმეთა რიცხვის გადიდება. 1928—29 წ. მეაბრეშუმეობას მისდევდა ა.-კავ. სულ 195.000 ოჯახი (საქართველოში —102.000, აზერბეიჯანში— 89.000 და სომხეთში 4.000) ხუთწლედის უკანასკნელ წელს (1932—33 წ.) ჩაბმული უნდა იქნას მეაბრეშუმეობაში 370.000 ოჯახი (საქართველოში—150.000, აზერბეიჯანში —200,000 და სომხეთში — 20.000).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამჟამად სრულიად არ მისდევენ მეაბრეშუმეობას მთელ რიგ ისეთ რაიონებში, სადაც პირობები დიდად უწყობენ ხელს აბრეშუმის მოყვანას, დავრწმუნდებით, რომ ადვილი მისაღწევია დასახული ტემპი. მაგ., საქართველოში 102.000 მეაბრეშუმე მეურნეობიდან 92,000, მოდის დასავლეთ საქართველოზე და და მხოლოდ 10.000 აღმოსავლეთ საქართველოზე, მაშინ, როცა აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატიური პირობები უფრო უწყობენ ხელს მეაბრეშუმეობას, და ერთ დროს უფრო განვითარებულიც იყო აქ მეაბრეშუმეობა, ვინემ დასავლეთ საქართველოში

თესლის ინკუბაცია. პარკის მოსავლიანობის დაბალი დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამჟამად უნდა ვეძიოთ იმაში, რომ თესლის გამოყვანა უმეტეს შემთხვევაში ხდება პრიმიტიული წესით, რის გამო დამტკიცებულია, რომ საშუალო თესლის 15 პროც. გამოუხვლელი რჩება და იკარგება. გარდა ამისა, ცუდი გამოყვანის გამო ბევრი ჭია იღუპება გამოსვლის შემდეგ, კვების პროცესში

გეგმით გათვალისწინებულია საინკუბაციო კამერების მოწყობა იმ ანგარიშით, რომ ხუთწლედის უკანასკნელ წელს დარიგებული თესლის მთელი რაოდენობა გამოყვანილ იქნას ამ კამერებში და თესლის ნაცვლად ჭიები დაურიგდეს მეაბრეშუმეებს. თესლის ინკუბაციის ცდა ფართედ მოახდინა „საქართველოს აბრეშუმმა" ჯერ კიდევ გასულ წელს და ამ ცდამ ძალიან კარგი შედეგები გამოიღო, — მოსავლიანობა საგრძნობლად გადიდდა.

ინსტრუქტაჟის ქსელის გაშლა, რომლის მიზანია სათანადო ცოდნა ჩანერგოს მეაბრეშუმეთა შორის და შეასწავლოს მათ აბრეშუმის ჭიის კვებისა და მოვლის რაციონალური ხერხები, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ჭიის დაავადება და სიკვდილიანობა რომ მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის პარკი იქნას მოწეული.

კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, რომ წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობების ნაცვლად უნდა შეიქნას მსხვილი მეურნეობა, რომელიც მეაბრეშუმეობას კულტურულ ნიადაგზე დააყენებს და სამრეწველო ხასიათს მისცემს, რასაც აუცილებლად უდიდესი შედეგები მოჰყვება მოსავლიანობის დონის აწევის საქმეში.

საკვები ბაზა. განზრახულია თუთის ხის ახალი პლანტაციების გაშენება და არსებულ ხეების გაჯანსაღება, რომ აბრეშუმის ჭია იკვებებოდეს საღი ფოთლით. კვების ჰიგიენასაც აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობისათვის.

აი უმთავრესი ღონისძიებები, რომელთაც ისახავს მეაბრეშუმეობის ხუთწლიანი გეგმა და რომელთა განხორციელებაც უზრუნველჰყოფს მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში დასახულ ტემპის სავსებით მიღწევას.

მაგრამ საგეგმო კომისიის მიერ შედგენილ გეგმას, ჩემის აზრით, აქვს რამდენიმე ნაკლი.

მეტი ყურადღება საბჭოთა მეურნეობებს

საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხში დიდი ყურადღების ღირსი იყო „საქართველოს აბრეშუმი"-ს მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში 84 მსხვილი საბჭოთა მეურნეობის მოწყობას, მექანიზაციაქმნილი შენობებით, სადაც ჭიების გამოკვება მოხდება მექანიკური წესით, კონვეიერის სისტემით; ჭიის გამოყვანა სისტემატიურად ხდება; როცა ერთი წყება ჭიებისა მეორე ხასაკში გადადის, ამ დროს გამოჩეკავენ ახალი წყება, მას შემდგომი მოჰყვება და ასე განუწყვეტლივ, იმ ანგარიშით, რომ ბოლო წყება დაასრულებს უკანასკნელ ხასაკს ოქტომბრის პირველ დეკადაში, როცა სეზონი გაივლის თუთის ფოთლის ბუნებრივ მოსავალს. ამგვარად, გამოყენებული იქნება წლის მთელი სეზონი, 20 აპრილიდან 10 ოქტომბრამდე. ამ წესით ერთ საბჭოთა მეურნეობას შეუძლია ერთი სეზონის განმავლობაში გამოკვებოს 1.000 კოლოფი თესლიდან გამოსავალი ჭიები. ეს სისტემა შეიმუშავა იტალიელმა ინჟენერმა იფიორუციმ, და მან კარგი შედეგი გამოიღო. ამ წესით ერთი კოლოფი თესლის მოყვანას უნდება საბოლოოდ 4,5—5 სამუშაო დღე, მაშინ, როცა ინდივიდუალურ მეურნეობაში ერთი კოლოფი ჭიის მთლად უნდება არა ნაკლებ 25 სრული სამუშაო დღისა. ცხადია, რომ შრომის ასეთი ეკონომია უაღრესად დიდ შედეგს გამოიღებს აბრეშუმის პარკის თვითღირებულების შემცირების საქმეში, მით უმეტეს, რომ კვების ჰიგიენის გაუმჯობესება, ზოგიერთ ტემპერატურის დაცვის შესაძლებლობა, ხელოვნური ვენტილიაცია და სხვა ხელსაყრელი პირობები საგრძნობლად გაადიდებენ მოსავლიანობას.

საგეგმო კომისიის მუშაკები ამ საქმეში მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენენ, მექანიზაციაქმნილ მეურნეობის მოწყობას ექსპერიმენტს უწოდებენ. ვინაიდან ის ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ნაცადი, და მიმდინარე ხუთწლედში ითვალისწინებენ მთელ ამიერ-კავკასიაში მხოლოდ 10 ასეთი მეურნეობის მოწყობას (აქედან საქართველოში 7), მიუხედავად იმისა, რომ მეაბრეშუმეობის მსხვილ მეურნეობის მოწყობის მნიშვნელობა მათ კარგად ესმით.

მეაბრეშუმეობის ნამდვილ კოლმეურნეობებისათვის

სახ. საგეგმო კომისიის გეგმა დიდ ყურადღებას აქცევს განსაზოგადოებულ სექტორს და მის ხვედრითი წონას, აბრეშუმის პარკის საერთო მოსავალში ითვალისწინებს საშუალოდ ამიერ-კავკასიაში 52 პროც., კერძოდ საქართველოში კი 64 პროც., რა გზით ფიქრობს საგეგმო კომისია ამ შედეგის მიღწევას? სიმძიმის მთავარი ცენტრი მას გადააქვს კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთა ხვედრითი წონა უნდა უდრიდეს, გეგმის მიხედვით, ხუთწლედის ბოლოს 50 პროც. საშუალოდ, ხოლო კერძოდ საქართველოში 60 პროც.

არსებითად ეს შეხედულება სწორი და პრინციპიალურად სრულიად მისაღები იქნებოდა, რომ კოლექტიურ მეურნეობებს მართლაც გააჩნდეთ რეალური საშუალება ასეთი დიდი ხვედრითი წონის დაკავებისათვის მეაბრეშუმეობაში პირველსავე ხუთწლედში, რომ ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ სათანადო კოლექტიურ შენობებითა და ინვენტარით. გეგმა კი ითვალისწინებს მიმდინარე ხუთწლედში მხოლოდ 325 სპეციალურ შენობის აგებას კოლმეურნეობებისათვის, 133 კოლოფისათვის თითოს, სულ კი კოლექტიურ შენობებში შესაძლებელი იქნება 29.250 კოლოფი თესლიდან გამოყვანილ ჭიების გამოკვება, რაც შეადგენს გაცემულ თესლის საერთო რაოდენობის მხოლოდ 5 პროც. რა წესით მოხდება დანარჩენი 45 პროცენტის მოყვანა? აი ეს არის უმთავრესი საკითხი, რომელიც საკმაოდ ვერ აქვს დამუშავებული საგეგმო კომისიას, ის ფიქრობს, რომ შესაძლებელია კოლექტიურ მეურნეობებს დაურიგდეს თესლი, თითო ოჯახზე 2 კოლოფის ანგარიშით, როგორც საკვები ბაზა (თუთის ხეები), ისე პარკის მოსავალი კოლექტიურად იქნება გაერთიანებული, ხოლო ჭიის კვება გადატანილი იქნება კოლექტივში შემავალ წევრთა ინდივიდუალურ ოჯახებში.

საგეგმო კომისიამ, ალბად, მხედველობიდან გამოუშვა ის გარემოება, რომ კოლექტიურმა მეურნეობებმა უნდა გაერთიანონ ღარიბი და საშუალო გლეხობა, რომელნიც მოკლებული არიან ფართო და კარგად მოწყობილ შენობებს. ზემოდ მოყვანილი მაგალითი ღარიბი მეურნეობაში პარკის მოსავლის სიმცირის შესახებ ნათლად ამტკიცებს, რომ იმ დროს, როცა ღარიბი გლეხობა გაცილებით უფრო ეტანება მეაბრეშუმეობას, მისი ხვედრითი წონა საერთო მოსავალში ძალიან მცირეა. ამის მიზეზი უმთავრესად ბინების უქონლობაა. ჩვენში ღარიბი და თვით საშუალო გლეხიც კი ვერ შესძლებს საშუალოდ ორი კოლოფი თესლის მოვლას ბინების სივიწროვის გამო, და სახელმწიფო საგეგმო კომისია აქ გადაჭარბებულ ოპტიმიზმს იჩენს.

ამავე დროს საინტერესოა საკითხის მეორე მხარეც: კოლექტიურ მეურნეობის პრინციპებთან რამდენად შესათავსებელია ასეთი წესით მეაბრეშუმეობის წარმოება, როცა კოლექტიური ჭიები სინამდვილეში დაქსაქსული იქნება ინდივიდუალურ ოჯახებში, რამდენიმე კილომეტრის რადიუსზე, როცა ერთი ოჯახი მოკლებულია საშუალებას მჭიდრო კავშირი გააბას სხვა ოჯახებთან და მეთვალყურეობა გაუწიოს აბრეშუმის მოყვანის მიმდინარეობას. რა თქმა უნდა, ყოველი ოჯახი ერთნაირად ვერ მოუვლის ჭიებს და ვერც ერთნაირ შედეგს მიიღებს; მოსავალი ზოგან კარგი იქნება, ზოგან საშუალო, ან ცუდი, ხოლო შესაძლებელია ზოგან სრულიად დაიღუპოს ის, ცუდი მოვლისა და არახელსაყრელ საბინაო პირობების გამო. როგორ შეხვდავს ამ მოვლენას კოლმეურნეობის წევრთა ის ნაწილი, რომელმაც კარგი მოსავალი მიიღო? რამდენადაც მოსავალი საერთო იქნება, ცხადია, უკანასკნელი დიდად უკმაყოფილო დარჩება, როცა მის მიერ მოყვანილ მოსავალს გაუყოფენ და მას გაცილებით ნაკლები ხვედრი შეხვდება, ვინემ თვითონ მოიყვანა. მე არ ვეხები აქ პრინციპიალურ მხარეს,—პრინციპიალურად ეს იქნება სამართლიანიც იყოს, მაგრამ გლეხში მესაკუთრეობის ფსიქოლოგია ჯერ კიდევ მძლავრია და კოლექტივიზმის პრინციპები ჯერ-ჯერობით სუსტად განვითარებული. ამით ასეთ უკმაყოფილებას უსათუოდ ექნება ადგილი, გაჩნდება შინაგანი უთანხმოება და უსიამოვნება კოლექტივებში რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მთელი კოლექტივის დაშლა და მით დიდი ზიანი მიაყენოს კოლმეურნეობათა განვითარების საქმეს.

ამის გამო მიუღებელია ასეთ პრინციპებზე აგებული კოლექტიური მეაბრეშუმეობა. კოლექტივში გაერთიანებული უნდა იქნას შრომის ყოველი პროცესი. აბრეშუმის მოვლა უნდა ხდებოდეს საერთო შენობებში, რომ მით განმტკიცებულ იქნას სოლიდარული პასუხისმგებლობა, შრომის თანაბარი განაწილება და საერთოდ მოწეულ მოსავლის სამართლიანად განაწილება. მაშინ ადგილი აღარ ექნება რაიმე გაუგებრობას, თვით მსხვილი მეურნეობაც უკეთეს შედეგს გამოიღებს და კოლექტივის წევრები დარწმუნდებიან მსხვილი სამეურნეო მეაბრეშუმეობის ჭეშმარიტ უპირატესობაში.ეს კი დიდ სარგებლობას მოუტანს მეაბრეშუმეობას, აგრეთვე ხელს შეუწყობს კოლექტივიზაციის იდეის გავრცელებას და კოლმეურნეობათა მშენებლობას.

აქედან: 1) მეაბრეშუმეობა განვითარებული უნდა იქნას ნამდვილად კოლექტიურ პრინციპებზე, ისე, რომ ყოველი მეაბრეშუმე კოლექტივი უზრუნველყოფილ იქნას კოლექტიური შენობებით და ინვენტარით. 2) ვინაიდან ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობები მატერიალურად სუსტი იქნებიან და ვერ შესძლებენ საკუთარ ბინების აგებას, მათ დახმარება უნდა გაეწიოს გრძელვადიანი სესხის სახით კაპიტალური ხარჯების მთელი რაოდენობის ფარგლებში. საგეგმო კომისია ითვალისწინებს ამ.-კავკასიაში 326 მსხვილი შენობის აგებას ამ საფუძველზე, მაგრამ, როგორც ვსთქვით ეს საკმარისი არ იქნება. ამიტომ, გარდა ამ 325 კაპიტალურ შენობისა, უნდა აგებულ იქნას მთელი რიგი არაკაპიტალური შენობები—„ტილიმბარი" (ყაზარმისებური გრძელი შენობა ჩალისაგან აგებული, ან შესაძლებელია დაწნული და თიხით შელესილი), თვითეული 10 კოლოფისათვის,სანამ კოლმეურნეობანი მ ნიერდებოდნენ და შესძლებდნენ კაპიტა შენობების აგებას. ასეთი წვრილი შენო ერთის მხრივ უფრო მისაღებია ჯერ-ჯერ იმიტომაც, რომ ჩვენს სოფლებში ოჯახ დაქსაქსულობის გამო ძნელი გახდება მ ერთ ცენტრში მოზიდვა სამუშაოდ. ამავ უმჯობესია მსხვილმა კოლმეურნეობებმა სახლეობას დაუახლოვონ ეს არაკაპიტალ შენობები, დიდი სოფლის სხვადასხვა კუთ ებში, სანამ საბოლოოდ არ გადაიჭრება კ მეურნეობის წევრთა რაციონალურად და ლების საკითხი. 3) ვინაიდან ძნელი იქ კოლმეურნეობათა რეალური ხვედრითი ნის აყვანა 50 პროცენტამდე ამ პირველ ხ წლედში და, გარდა ამისა, რადგან მსხვილ ქანიზაციაქმნილ მეურნეობას ბევრი უპირა სობა აქვს წვრილი და საშუალო მეურნეო თან შედარებით, უმთავრესი ყურადღება მიექცეს საბჭოთა მეურნეობების მოწყ და აგებულ იქნას მსხვილი მექანიზაციაქ ლი მეურნეობანი იმ ანგარიშით, რომ ხვედრითი წონა ხუთწლედის უკანასკ წელს უდრიდეს არა ნაკლებ 20—25 ცენტს, აბრეშუმის პარკის საერთო მოსავა

თუთის პლანტაციები

კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში გეგმის მიხედვით გაშენებული უნდა იქნას და ტანიანი ბუჩქოვანი თუთის ხეები და მხ მცირედი რაოდენობით მაღალტანიანი ხე მართალია, ბუჩქოვან პლანტაციებს ის უპ ტესობა აქვს, რომ ის მოსავალს იძლევა გ ნების მეორე წლიდანვე და ფოთლის მოსა საც გაცილებით უფრო მეტს იძლევა, მა მას უარყოფითი მხარეებიც აქვს. უარყოფ მხარეებს შემდეგში გამოიხატება: 1) ბუჩ ნი ხეებით გაშენებული პლანტაცია შეუ ბელია გამოყენებულ იქნას სხვა რამიმე კულ ტურისათვის, იმ დროს, როცა მაღალტანიან თუთის ხის პლანტაცია ადვილად შეიძ 75 პროც. იქნას გამოყენებული სხვა ლტურებისათვისაც, განსაკუთრებით სახ ნედ, იაპონური ლობიოსა, ნათესებისა სხვ. საჭიროებისათვის. ამ გარემოებას დი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის უ რესად საქართველოს და სომხეთის სინამ ლეში, სადაც მიწის დიდი სივიწროვეა მიზანშეწონილი არ იქნება თუთის ხის სპეციალური მიწების გამოყოფა და მათი ლიად გამორიცხვა მეურნეობის სხვა დარ დან. 2) დაბალტანიანი ბუჩქოვანი თუთ ადვილად მიიზიდავს მტვერს, ტალახს და ლექს, განსაკუთრებით დაბლობ ა ლებზე და ისეთ ადგილას, დაც უხვად მოდის ატმოსფერ ნალექები. ამის გამო ბუჩქებიდან მოკრ ფოთოლი არ იქნება ხელსაყრელი აბრ ჭიისათვის, მაშინ როცა მაღალტანიან ფოთოლი უფრო სუფთად შეინახება და ნალექებს შეუძლია ჭიის დაავადების გა ვევა, 3) მაღალტანიანი თუთის ხე გაცი უფრო გამძლეა, უფრო ხანგრძლივი სამსახ შეუძლია, ადვილი დასაცავია პირუტყვ ნაც და ამგვარად ის უფრო მტკიცე ბაზას რმოადგენს მეაბრეშუმეობის განვითარე სათვის.

ამის გამო მაღალტანიან თუთის ხეს აუ ლებლად უპირატესობა უნდა მიენიჭოს, უ თავრესად ისეთ ადგილებში, სადაც უ მწვავედ სდგას მიწის სიმცირის საკითხი, აგრეთვე დაბლობ და ჭაობიან ადგილ ამასთან დაბალტანიანი ბუჩქების გაშენება პირველ უნდა იქნას ცნობილი პირველ წელში განსაზღვრული რაოდენობით, ანგარიშით, რომ მან მახლობელ წლებში ავსოს თუთის ფოთლის ის დეფიციტი, რო ლიც მოსალოდნელია მიმდინარე ხუთწლე მეაბრეშუმეობის განვითარების გეგმის მ დვით. შემდეგ წლებისათვის კი უმთავრ საფუძველი უნდა ჩაეყაროს მაღალტანიან თის ხეებს და მით მტკიცე საკვები ბაზა შე ნას მეაბრეშუმეობისათვის.

ლ. თიკანაძე.

---

*) წერილის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ა.-კ. საგ. კომისიის ხუთწლიანი გეგმის კრიტიკას, მიდის საკითხის განხილვის წესით.

რედ.

ტეხნიკური კადრები მეაბრეშუმეობისათვის

მეაბრეშუმეობის განვითარება, მსხვილი და მექანიზაციაქმნილ წარმოებასთან დაკავშირებით, მთელი სიმწვავით აყენებს კადრების მომზადების საკითხს. ამ საკითხს „საქართველოს აბრეშუმი" ის თავითვე დიდ ყურადღებას აქცევდა და მის მოსაგვარებლად ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდა: აწყობდა სხვადასხვა სახის კურსებს, კონტრაქტაციაზე აყავდა ახალგაზრდობა, დახელოვნების მიზნით გზავნიდა მათ როგორც კავშირის სათანადო დაწესებულებებში, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, დახმარებას აძლევდა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრო-ფაკულტეტის მეაბრეშუმეობის კათედრას და სხვა.

განათლების და მიწსახკომის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით დამუშავებულია კადრების მომზადების ხუთწლიანი გეგმა. იმ ამოცანათა განსახორციელებლად, რომელთა გატარება დაკისრებული აქვს „საქართველოს აბრეშუმს" აგრო-კულტურულ, საგრენაჟო, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე პარკის დამზადების ხაზით, ეს გეგმა გულისხმობს შემდეგი კვალიფიციურ მუშაკთა მომზადებას:

აგრონომ.	ტეხნიკოს.	სხვ.	სულ
1929— 33	874	281	1188
1930— 96	1938	421	2455
1931—142	2214	427	2783
1932—190	2362	779	3331
1933—235	2797	1002	4034

ამის მიხედვით საჭირო იქნება მეაბრეშუმეობაში ახალი კადრების ჩაბმა შემდეგი რაოდენობით:

აგრონომ.	ტეხნიკოს.	სხვ.	სულ
1929—16	574	81	671
1930—63	1064	140	1267
1931—46	276	6	328
1932—48	148	352	548
1933—45	285	223	703

მაღალი კვალიფიკაციის კადრს ამზადებს საქ. სას. სამეურნეო ინსტიტუტი. მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების ახალ ფორმებსა და გზებთან დაკავშირებით საჭირო ხდება ამ დარგის სხვადასხვა საკითხების საფუძვლიანი მეცნიერული გაშუქება, რომ ამ გზით თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი შეცდომები და უახლოეს დროში მაქსიმალურ ეფექტს მივაღწიოთ. ამ მიზნით ინსტიტუტის ზოოტეხნიკურ ფაკულტეტთან უნდა გაიხსნას მეაბრეშუმეობის განყოფილება, რომელიც ამ დარგის სათანადო სპეციალიზაციას გაატარებს. აღნიშნული ღონისძიება მოითხოვს ზოოტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებულ მეაბრეშუმეობის კათედრის სათანადოდ მოწყობას და მეცნიერული ძალების უზრუნველყოფას. საჭირო იქნება აგრეთვე კათედრის ასპირანტების საბჭ. კავშ. და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებში სისტემატიურად მივლინება.

მეაბრეშუმეობისა და მეთუთეობის ტეხ კოსების კადრების მომზადება ნაგულისხ ეა შემდეგი წესით: მიმდინარე წელსვე უ მოეწყოს მეაბრეშუმეობის ორი სპეციალ ტეხნიკუმი—ტფილისში და ქუთაისში. ამასთ ერთად ამ წლიდანვე უნდა მოხდეს 3 ათწლ დის რეორგანიზაცია მეაბრეშუმეობის და გის განხრით.

სანამ აღნიშნული ხუთი სასწავლებელი მ გვცემდეს სათანადო კადრს, მეაბრეშუმე-ტ ნიკოსების მომზადება იწარმოებს სპეცია რი კურსების მოწყობის საშუალებით. აღნი ნულ კურსებზე მიიღებენ სასოფ.-სამეურ და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების კ სდამთავრებული პირები, რომელთა შეს უკვე გამორკვეულია, რომ ისინი თავია რაიონების სოფლის მეურნეობაში რჩებიან.

სეზონური მომუშავეების—ინკუბისტების და ინსტრუქტორების მომზადების მიზნით თვით ადგილებზე ეწყობა ცალკე კურსები.

ტრესტის მუდმივ მუშაკთა გადასამზადე ლად სისტემატიურად ორ წელიწადში ერ ხელ ეწყობა კურსები მეაბრეშუმეობის ინ ტიტუტთან.

მეაბრეშუმეობის სათანადო განვითარებ და მის მეცნიერულ-კვლევითი ლი საკითხების დამუშავება-გაშუქებისა, ა რეთვე სამეურნეო ორგანოებისათვის ფართ მომსახურების გაწევის მიზნით მიმდინარე წელსვე თბილისში არსდება კვლევითი-სამეცნიერო დაწესებულება—მეაბრეშუმეობის ინ სტიტუტი.

„საქართველოს აბრეშუმი" აგრეთვე ყურადღებას აქცევს ეკონომისტ-ორგან ტორების მომზადებას. ჩვენ მიზნად გვაქვს სახული, რომ სოც.-ეკ. ფაკ. სტუდ. ჩა ჩვენ საქმიანობაში და მომავალ სპეც. კებს მივსცეთ ხელში ჩვენი დარგის ორ ზაციული ხელმძღვანელობა. ამისათვის „ ართველოს აბრეშუმი" იყვანს კონტრაქტა აზე სტუდენტობას სოც. ეკ. ფაკულტეტი

საშუალო კვალიფიკაციის ტეხნიკოსთა სამზადებლად განზრახულია გაიხსნას ახლ მომავალში აბრეშუმის მრეწველობის სპე ალური ტეხნიკუმები. ტეხნიკუმები იქნ გახსნილი ისეთი რაოდენობით, რომ უ ველყოთ აბრეშუმის მრეწველობა საშ ტეხნიკოსებით სრული ასი პროცენტით. ტ ნიკუმები მოწყობილი იქნება სპეცია ქარხანა-სახელოსნოებით, სადაც მსმე გაივლიან განუწყვეტელ პრაქტიკას. პი ხანებში განზრახულია ჩამოვიყვანოთ რალურ რაიონიდან და ნაწილობრივ, უც ეთიდან რამდენიმე უმაღლესი კვალიფიკაცი სპეციალისტი.

სპეციალური ტეხნიკუმი უკვე გახ ლია თბილისში ერთი—სპეციალურად მეაბრ შუმეობის მრეწველობისათვის.

ა.

ქუთაისის აბრეშუმის ფაბრიკა

გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიის წინ

წითელი არმია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფრონტზე

თბილისის გარნიზონი სოფლად გზავნის წითელარმიელთა ბრიგადას

ბრიგადა იმუშავებს აბაშის რაიონში

გაზაფხულის თესვისათვის საქართველოში მოეწყობა ცხენების 9 კოლონა და ხარების 33 კოლონა

წითელი არმია ეხმარება სოფელს

სდგება წითელარმიელთა ბრიგადა

პარტიისა და ხელისუფლების მოწოდებამ გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარების შესახებ ფართო გამოძახილი ჰპოვა წითელ ყაზარმაშიაც. არ დარჩენილა წითელი ჯარის არც ერთი ნაწილი, რომელიც დაწვრილებით არ გაეცნობოდეს გაზაფხულის თესვის გეგმას და ამ კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად შემუშავებულ ღონისძიებებს.

ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია სასოფლო-სამეურნეო წრეები, სადაც წითელარმიელები დაწვრილებით ეცნობიან სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საკითხებს და იძენენ საჭირო ცოდნას. ამასთანავე წითელი მებრძოლები აქტიურად ეხმარებიან სოფელს გაზაფხულის თესვის ჩატარებაში. ეს დახმარება გამოიხატება წერილების გზავნაში სოფლად. წითელარმიელები წერილების საშუალებით აცნობენ სოფელს თესვის გეგმას, აძლევენ ახსნა-განმარტებას შეღავათების, თესლეულის ფონდის, წითელი ბეღლების მოწყობის, აგრო-რწმუნებულთა გამოყოფის და სხვ. შესახებ.

ამჟამად სდგება წითელარმიელთა ბრიგადა, რომელიც გაემგზავრება სოფლად და იქ ჩაატარებს პრაქტიკულ მუშაობას თესვის ირგვლივ.

წითელარმიელთა ბრიგადა სდგება გაზეთ „წითელი არმიელი"-ს თაოსნობით. ბრიგადაში იქნება 30 კაცი— თბილისში მდგომ ყველა ნაწილების წარმომადგენლები. წინასწარი სამზადისი ბრიგადის შესადგენად უკვე დამთავრდა. ნაწილებმა გამოჰყვეს ზეინკლები, მჭედლები, დურგლები, რომლებიც სოფლად შეაკეთებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს.

წითელარმიელთა ბრიგადა იმუშავებს აბაშის რაიონში.

ბრიგადა გაემგზავრება თბილისიდან 14 იანვარს და დაჰყოფს აბაშის რაიონში 1 თებერვლამდე. ბრიგადა სოფლებში ჩაატარებს მუშაობას კოლექტივიზაციის ირგვლივ და დაეხმარება გლეხობას კოლექტივების ჩამოყალიბებაში.

წითელარმიელთა ბრიგადას თან მიაქვს საველე სტამბა ყოველდღიური გაზეთის გამოსაცემად.

წითელი მებრძოლები — კოლექტივისტები

№ ქართ. მსრ. ლეგიონის სამხედრო ვ. გ—ძე იტყობინება: „ჩვენი ლეგიონის მეორე ასეულის საერთო კრებაზე დასმული იყო საკითხი იმ ამხანაგების კოლექტივებში ჩაბმის შესახებ, რომლებიც მიმდინარე წელს ათავებენ სამხედრო სამსახურს. ამ საკითხს კრების მთელი შემადგენლობა აღფრთოვანებით შეხვდა და აქვე მოხდა კოლექტივებში შემსვლელთა სიების შედგენა. კოლექტივებში შესვლა მოისურვა ასეულის მთელმა შემადგენლობამ.

ამავე კრებაზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ ჩამოყალიბდეს კოლექტიური მეურნეობის საფუძვლების შემსწავლელი წრე, რომელიც მოამზადებს კოლექტივებისათვის საჭირო კადრებს.

წითელი ყაზარმა ასწავლის მშრომელებს იარაღის ხმარებას და ამავე დროს ამზადებს მუშაკებს, რომლებიც დაუბრუნდებიან რა სოფელს, შესძლებენ იმუშაონ სოფლის გარდასაქმნელად სოციალისტურ საფუძვლებზე.

ამჟამად მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ შვებული წითელარმიელების სახით მისცეს სოფელს საუკეთესო კოლექტივისტები, აღჭურვილნი სათანადო ცოდნით და გამოცდილებით.

ყველა ნაწილებში ჩამოყალიბებულია წრეები, სადაც წითელი მებრძოლები ეცნობიან კოლექტიური მეურნეობების მოწყობის საკითხებს, საქმის წარმოებას კოლექტივებში, ეცნობიან აგრეთვე პარტიის დადგენილებებს კოლექტივიზაციის შესახებ, სწავლობენ ტრაქტორების და სხვა მანქანების გამოყენებას, აწყობენ ეკსკურსიებს არსებულ კოლექტივებში და სხვა.

ყველა ასეულის ლენინის კუთხეებში და კლუბებში მოწყობილია სპეციალური „კოლექტივიზაციის კუთხეები", სადაც დაგროვილია მასალა და ლიტერატურა კოლექტივიზაციის შესახებ.

წელს მთელი მუშურ-გლეხური წითელი არმია მისცემს სოფელს 20.000 კოლმეურნეს. მომავალ წელში ეს რიცხვი გაიზრდება 100.000-მდე.

ამ რიცხვიდან მიმდინარე წლის შემოდგომაზე ქართული ჯარი მისცემს სოფელს 2.510 საუკეთესოდ მომზადებულ აქტიურ მუშაკს. აქედან კოლმეურნეები—2.300, მებაღეები—25, ტრაქტორისტები—100, ინსტრუქტორები—85.

მუშა-მოხალისეების შერჩევა დამთავრდა

„26"-ის სახ. ქარხნის მუშები, რომლებიც მიდიან სოფლად სამუშაოდ

გუშინ მუშაობა დაამთავრა საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა საუკეთესო, გამობრძმედილი მუშების შერჩევა იმ მოხალისე მუშებიდან, რომლებმაც სოფლად წასვლის სურვილი განაცხადეს.

კომისიას უნდა შეერჩია სულ 200 მუშა, მაგრამ ვინაიდან მოხალისეთა რიცხვი ძალზე დიდი იყო (600 მეტი კაცი), ამიტომ კომისიამ შესაძლებლად სცნო აღნიშნული რიცხვის 300-დე გადიდება; აქედან 200 კაცი ჩაირიცხება ძირითად კადრში, 100 კი სათადარიგო ნაწილში.

მოხალისეებიდან უმთავრესად შერჩეული არიან ისეთი სპეციალობის მუშები, რომლებსაც მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ სოფლად.

—:—

გაზაფხულის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად სულ იგზავნება 450 მუშა. აქედან 200 კაცი თბილისიდან, 200 გზავნიან საოლქო და სამაზრო პროფორგანიზაციები, ხოლო 50 კაცი ჩამოვა ბაქოდან.

პირველ ხანებში განზრახული იყო ყველა ამ მუშების დაყოფა 45 ბრიგადად (10 კაცი თითო ბრიგადაში), მაგრამ იმ მიზნით, რათა ქალაქის მუშებმა რაც შეიძლება მეტი სოფლების ღარიბ და საშუალო გლეხობას გაუწიონ დახმარება, გადაწყდა ბრიგადების რიცხვი გადიდებული იქნეს 90-დე (თითო ბრიგადაში შევა ხუთი კაცი). ბრიგადის წევრებად გამოყოფილი იქნებიან ზეინკალი, მჭედელი, დურგალი, აგრონომი და ხელმძღვანელი.

—:—

მუშათა ბრიგადების წევრთათვის გახსნილია სპეციალური მოკლევადიანი კურსები, რომელზედაც ისინი შეისწავლიან მომავალ მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თბილისელ მუშების გარდა კურსებზე გაივლიან პროვინციიდან ჩამოსული მუშებიც. ასე, მაგალითად, ქუთაისიდან ჩამოვა 34 მუშა, რომლებიც გამოყოფილი არიან ქუთაისის და სამტრედიის დეპოს და ჭიათურის და ტყიბულის მაღაროს მუშების მიერ (მათ შორის ხუთი ქალია).

მეცადინეობა კურსებზე გაგრძელდება 25 იანვრამდე. აღნიშნულ რიცხვიდან პირველ თებერვლამდე იწარმოებს ბრიგადების დაგზავნა ადგილებზე.

მუშა-საქონლის კოლონები

მუშა-საქონლის რაციონალურად გამოყენების მიზნით გაზაფხულის თესვისათვის ახალქალაქში, ახალციხეში, გორის ოლქში, კახეთში, თბილისის ოლქში, ქუთაისის ოლქში, სიღნაღში, ზუგდიდში, ოზურგეთში, სვანეთში, აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში მოეწყობა მუშა-საქონლის კოლონები.

კოლონები მოეწყობა კოლექტიურ მეურნეობებთან.

სულ მოწყობილი იქნება ცხენების 9 კოლონა და ხარების 33 კოლონა ცხენების თითოეულ კოლონაში იქნება 30—40 ცხენი, ხოლო ხარების კოლონაში 20—30 უღელი ხარი.

კოლონებისათვის ცხენებისა და ხარების შესაძენად გადადებულია 280.000 მანეთი.

ამ თანხით შეძენილი იქნება 320 ცხენი და 765 უღელი ხარი.

მუშათა ბრიგადები

სას.-სამ. კრედიტის სისტემის დასახმარებლად

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობას. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მოსახლეობის სახსრების მობილიზაციისა და გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებების გატარებისათვის ფინანსების მიწოდების საქმეში. ასეთ ღონისძიებებს ეკუთვნის ვადაგადაცილებულ სესხების აკრეფა, ანაბარების მოზიდვა და სხვ.

იმ მიზნით, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემას რეალური დახმარება გაეწიოს ადგილობრივ, ა.-კ. პროფსაბჭომ აუცილებლად სცნო შექმნილი იქნეს მუშათა ბრიგადები, რომლებშიაც შევლენ როგორც მუშები, ისე მოანგარიშეები.

ამ მიზნით აზერბეიჯანის პროფსაბჭომ უკვე გამოჰყო 4 მუშა და 5 მოანგარიშე, სომხეთის პროფსაბჭომ 3 მუშა და 3 მოანგარიშე, ხოლო საქართველოს პროფსაბჭოს განზრახული აქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის დასახმარებლად გამოჰყოს 20 კაცი.

მუშათა ბრიგადები გადაიგზავნება რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების განკარგულებაში, საიდანაც მიიღებენ სათანადო დავალებას.

ბრიგადები სოფლად იგზავნება 1—2 თვის ვადით.

სარემონტო სახელოსნო გორში

ქ. გორში საბჭ. მეურნეობების ტრესტთან მოეწყო სას.-სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო. სახელოსნოსთვის აგებული იქნა ახალი შენობა და დადგმულია სრულიად ახალი დაზგები. სახელოსნოს აქვს როგორც მარტივი, ისე რთული იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილები. ამჟამად შორეულ სოფლებიდან მოაქვთ ტრაქტორები შესაკეთებლად, მაგრამ ცუდი გზების და არახელსაყრელ ამინდის გამო ტრაქტორები გზაში უფრო მეტად ფუჭდება.

კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნეობათა თავის დროზე დასახმარებლად, სახელოსნოს აქვს მოძრავი სახელოსნოები ავტომანქანებზე გამართული, რომელთაც აგრეთვე ცუდი გზების გამო უჭირთ რაიონებში გასვლა.

სახელოსნომ მოიწვია გამოცდილი მუშები მონტიორებად და შემკეთებლებად.

სახელოსნოს აგება დაჯდა 20 ათასი მანეთი. მის აღმშენებლობას ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ინჟენერი ამხ. მარქაროვი.

ქ. მ.

სამზადისი ადგილებზე

კახეთი

გურჯაანი, 10 იანვარი. საოლქო თათბირმა რაიაგრონომების, საუბნო აგრონომების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლების და რაი-აღმასკომების თავმჯდომარეების მონაწილეობით განიხილა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა. მოწონებული იქნა გეგმის მთავარი საფუძვლები—ნათესების სივრცის გადიდება 35 პროცენტით, მოსავლიანობის—11 პროცენტით და კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვის აყვანა 4000-დან 19.000-დე, რაც უდრის მეურნეობათა საერთო რიცხვის 35 პროცენტს. ოლქის აგრონომებმა სურვილი განაცხადეს მთელი საგაზაფხულო პერიოდის განმავლობაში იმუშაონ განუწყვეტლივ, დასასვენებელ დღეებშიაც.

თანდილაშვილი.

აჭარისტანში

ბათომი, 10 იანვარი. აჭარისტანში გაზაფხულის თესვისათვის მზადება სუსტად მიმდინარეობს. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ 6 იანვრამდე არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა. დღემდე ახსნა-განმარტებითი მუშაობა ადგილებზე არ სწარმოებდა.

აჭარისტანის მიწსახკომის გეგმა დაკავშირებული არ არის ოლქის რეალურ შესაძლებლობასთან; მისი განხორციელება ნავარაუდევია არა საკუთარი სახსრებით, არამედ იმ სახსრებით, რომელთა მიღების იმედიც ცენტრიდან აქვთ.

მხოლოდ საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის წინადადების შემდეგ იწყო გამოცოცხლება მოსამზადებელმა და ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ; ორგანიზაციები შეუდგნენ საოლქო კომიტეტის დირექტივების დამუშავებას. (ადს).

სათესლე ხორბალი

მიწათმოქმედების კომისარიატის რეორგანიზაცია *)

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდი მოითხოვს საბჭოთა აპარატის რადიკალურად გარდაქმნას. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი, რომელიც დაავადებულია როგორც მუშაობის სისტემის უვარგისობით, ისე აპარატის სტრუქტურის რთული აგებულობით. ამის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ, რომ მიწსახკომის დებულება არ ითვალისწინებს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა, მაგალითად, კონტრაქტაცია, გაკვრით (ერთი სიტყვით) ეხება კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეს და სხვა. თვით აპარატის განყოფილებების უმეტესობას არ მოეპოვება დებულება, არაა მათ შორის განაწილებული ფუნქციები, ამ ნიადაგზე ადგილი აქვს პარალელიზმს და ფუნქციების არევას. ასეთივე მდგომარეობაშია პასუხისმგებელ თანამშრომელთა შორის უფლება-მოვალეობის განაწილების საქმეც. სტრუქტურის სირთულე იმდენად დიდია და არანორმალური, რომ ქაღალდები კანცელარიიდან შემსრულებლამდე გაივლიან ხოლმე დაახლოვებით 15 ინსტანციას. ამას უნდება ზოგჯერ 3—4 დღე და მეტიც.

მიწსახკომის ცენტრალური აპარატი არ უწევს საჭირო ზედამხედველობას და ხელმძღვანელობას ადგილობრივ მიწადმოქმედების ორგანოებს. არ უწარმოებია მას აგრეთვე არც ერთი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება-ორგანიზაციის მუშაობის დაწვრილებით გამოკვლევა, მათი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. მიწსახკომი ამ მხრივ კმაყოფილდებოდა შემთხვევითი ხასიათის მასალებით და ცნობებით. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო დარგში მომუშავე ქვემდგომი ორგანოებიც არ უწევდნენ ანგარიშს მიწსახკომს და ხშირად დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ნაკლის ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, რომ ესეც საკმარისი არ იყოს.

ამგვარად, საჭიროა მიწსახკომის აპარატის რადიკალური რეორგანიზაცია. მიწსახკომი უნდა გადაიქცეს ორგანიზატორის და ხელმძღვანელის როლში. ოპერატიული წარმოებითი ხასიათის ფუნქციები-კი უნდა დაევალოს სათანადო ორგანოებს, როგორიცაა, მაგალითად, „კოლმეურნცენტრი", „მებამბეობის კომიტეტი", სას.-სამ. კოოპერაცია და სხვა.

ზოგიერთი ოპერატიულ-წარმოებითი ხასიათის ფუნქციები ჯერ კიდევ უნდა დარჩეს მიწსახკომს, ხოლო თანდათანობით ისინი უნდა გადაეცეს ოპერატიული ხასიათის ორგანიზაციებს. ჯერ-ჯერობით კი მიწსახკომის უშუალო მოვალეობა უნდა შეადგენდეს საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა ცენტრალიზაციაქმნილი ხელმძღვანელობა, კადრების მომზადება, გადამზადების საქმე, მიწადმოწყობა, ტყის მოწყობა, სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების ექსპლოატაცია (დაგეგმვა და ხელშეკრულებანი), საქონლის ეპიზოოტიასთან და მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლა. დანარჩენი ოპერატიულ ხასიათის ფუნქციები კი, როგორიცაა, მაგალითად, ტყის გაშენება, კოლმეურნეობათა მიწადმოწყობა და სხვა, უნდა დაევალოს ადგილობრივი მიწადმოქმედების და სას.-სამეურნეო ხასიათის ორგანოებს. მიწსახკომი თავის მხრივ უნდა უწევდეს მათ საჭირო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ამ ამოცანების ჯეროვნად შესრულების მიზნით.

მუშაობის ასეთი განაწილება გაათავისუფლებს მიწსახკომის აპარატს წვრილმან მუშაობიდან. მაგალითად, სახელმწიფო მნიშვნელობის სატყეოებიდან წვრილმან რაოდენობით ხე-ტყის გაცემა თამამად შეუძლიათ აწარმოონ მთლიან გეგმის ფარგლებში ადგილობრივ სატყეო მმართველებს. მეცხენეობის და ცხენსაშენის საქმე შეიძლება უფრო მიზანშეწონილად მოგვარდეს, თუ მოწყობილი იქნება მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მუშაობაში აგრეთვე ჩაბმული იქნებიან სას. სამეურნეო კოოპერაცია და კოლმეურნეობანი.

ასევე შეიძლება მოგვარდეს მოსახალშენე მეურნეობების გამოკვლევის და მათი ახალ ადგილებზე დასახლების საქმეც, თუ ეს დაევალება ოლქების აღმასკომებს და კოლმეურნეობების ცენტრს, ხოლო ამ საკითხისადმი საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა დარჩება მიწსახკომს.

საქ. მიწსახკომის უფლება-მოვალეობების, მუშაობის სისტემის და სტრუქტურა—შტატის შემუშავებისას უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ამიერ-კავკ. მიწსახკომის დაარსება.

რაც შეეხება მიწსახკომის ცენტრალურ აპარატის მუშაობის შინა სისტემას და ტეხნიკას, იგი მთლიანად აგებული უნდა იქნას აპარატის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის და დავალებათა შესრულების დეცენტრალიზაციის საფუძვლებზე. პასუხისმგებელ შემსრულებელს და უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა და ორგანოთა შორის არავითარი ზედმეტი საფეხური არ უნდა იყოს. პასუხისმგებელ შემსრულებლის უშუალო კავშირი თავის ხელმძღვანელთან (განყოფილების გამგე, კოლეგიის წევრი) გაამარტივებს საქმის შესრულებას და გააადვილებს შემსრულებელთა კვალიფიკაციის გამოაშკარავებას.

თუ გავითვალისწინებთ მუშაობის მასშტაბს საქართველოში, ვფიქრობთ, რომ მიწსახკომის ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში უნდა შევიდეს შემდეგი ძირითადი განყოფილებები: 1) საგეგმო, 2) საცდელ-სამეცნიერო, 3) ტერიტორიის ორგანიზაციის (მიწადმოწყობის, ახალშენების და მელიორაციის ჯგუფებით), 4) განსაზოგადოების ანუ რეკონსტრუქციის (აგროდახმარების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სას. სამეურნეო კოოპერაციის, ინდუსტრიალიზაციის და მექანიზაციის ჯგუფებით), 5) სას.-სამეურნეო განათლების, 6) მესაქონლეობის, ვეტერინარიის და საძოვართა, 7) მემცენარეობის (ტეხნიკ. კულტურები და სხვ.), 8) სატყეო, 9) რაცხვიერო და 10) საქმეთა მმართველობა. მთელი ამ აპარატის შტატი უნდა განისაზღვრებოდეს დაახლოებით 113 კაცით. შედარების მიზნით აქვე აღვნიშნავთ, რომ ისეთი დიდი ოლქების მიწად მოქმედების ორგანოების შტატი, როგორიცაა მაგალითად, ჩრდილოეთ-კავკასიის ოლქი, შესდგება დაახლოებით 210 კაცისაგან. არსებულ ფაქტიურ შტატთან შედარებით დასახული შტატი (113 კაცი) მოგვცემს საერთო ეკონომიას დაახლოებით 100 ათას მანეთამდე, რაც მოხმარდება იმავე მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის საქმეს.

ვ. გვიჩია.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რედ.

წარმოებების შეფობა საბჭ. აპარატზე

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანამ შეფობა აიღო რკ. გზ. სამმართველოზე

გუშინ საღამოს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის მუშების და ამიერ-კავკ. რკ. გზების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული საზეიმო კრება. საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების შესახებ მოკლე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. დევდარიანი.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. პრეობრაჟენსკიმ, თავშავაძემ, დოლიძემ, ივანოვმა, ვაშაკიძემ, კალინინმა და სხვ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ წარმოებათა შეფობას საბჭოთა დაწესებულებებზე შეუძლია უდიდესი სარგებლობის მოტანა სოციალისტური მშენებლობისათვის. შეფობის საშუალებით შესაძლებელია საბჭოთა აპარატის გამარტივება და გამუშურება და მისი დაახლოება მშრომელთა ფართო მასებთან. ამხანაგები გამოსთქვამდნენ სრულ იმედს, რომ შეფები და საშეფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი დიდ დახმარებას აღმოუჩენენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს.

კამათის დამთავრების შემდეგ ამხ. სტალინის სახ. ქარხანამ გამოაცხადა შეფობა ამიერ-კავკ. რკ. გზ. სამმართველოს აპარატზე. მოხდა საზეიმო ხელის მოწერა ხელშეკრულებაზე ერთის მხრით სტალინის სახ. ქარხნის და მეორეს მხრით, ამიერ-კავკ. რკ. გზ. სამმართველოს წარმომადგენელთა მიერ.

ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხანა ვალდებულია გამოჰყოს მუშათა ბრიგადა 120 კაცის შემადგენლობით რკ. გზ. სამმართველოს გამოსაკვლევად და მისი წმენდის ჩასატარებლად. მუშათა ბრიგადების საშუალებით ქარხანა ყოველმხრივ დაეხმარება რკ. გზის სამმართველოს აპარატს პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების შესრულებაში საბჭოთა აპარატის გამარტივებისა და გაიაფების შესახებ. ქარხანა მთელი ასი პროცენტით უზრუნველჰყოფს აპარატს დაწინაურებული მუშებით, აღკვეთავს სამუშაო საათების უმიზეზოთ გაცდენის შემთხვევებს, ჩაატარებს გაძლიერებულ ბრძოლას სიმულიანტობის წინააღმდეგ, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას 20 პროცენტით, აწევს შრომის ნაყოფიერებას 30 პროცენტით და სხვ.

თავის მხრივ რკ. გზის სამმართველოს თანამშრომლები პირობას იძლევიან, რომ ისინი ყოველგვარ ზომებს მიიღებენ აპარატში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, აღმოფხვრიან სამუშაო საათების უმიზეზოთ გაცდენის შემთხვევებს, გამუშურებენ აპარატს, 10 საადმინისტრაციო ადგილზე წამოსწევენ ქარხნის მუშებს. შეასწავლიან დაწინაურებულ მუშებს აპარატში მუშაობას მათი ინდივიდუალური მიმაგრების საშუალებით პასუხისმგებელ ამხანაგებზე, გაგზავნიან ქარხანაში დაბალ სამუშაოზე 5 პ.-მგ. ამხანაგს და 3 ინჟენერ-ტეხნიკოსს.

ქარხნის მუშები პირობას სდებენ, რომ ისინი ერთი წლის განმავლობაში გაატარებენ მთლიან კოლექტივიზაციას ქვემო-ქალის რაიონში. სამმართველოს თანამშრომლები კი აღნიშნულ რაიონს კოლექტივიზაციის საქმეში დაეხმარებიან ტეხნიკური ძალებით.

ხელშეკრულება ძალაში შედის ა.-წ. 10 იანვრიდან 1931 წლის 1 იანვრამდე.

ახალგაზრდობის სამხედრო მომზადება სუსტად მიმდინარეობს

ყოველწლიურად, წითელ ჯარში გაწვევის დროს, ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელსაც აქვს შეღავათები ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოსახდელათ გადაირიცხება მოქალაქეთა იმ კატეგორიაში, რომლებიც სამსახურს გადიან ჯარის გარეშე სწავლების წესით.

1929 წლამდე ამ ახალგაზრდების მომზადებას აწარმოებდა სამხედრო უწყება. 1929 წლიდან კი საკავშირო სამხედრო რევოლუციონერ საბჭოს დადგენილებით მოქალაქეთა მომზადება ჯარის გარეშე სწავლების წესით დაევალა ავიაქიმის რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს.

საქ. ავიაქიმი უკვე შეუდგა მეცადინეობას 1904 და 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდებთან. მეცადინეობას აწარმოებენ საკადრო ნაწილების და თადარიგის მეთაურები იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია სამხედრო უწყების მიერ.

იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მეცადინეობა ახალგაზრდებთან, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საქ. ტერიტორიალურ სამმართველოში შემდეგი აცნობეს:

მეცადინეობა 1903 და 1904 წელში დაბადებულ ახალგაზრდებთან, რომლებიც ვალდებულნი არიან სამხედრო სამსახური მოიხადონ ჯარის გარეშე სწავლების წესით, საქართველოში სუსტად მიმდინარეობს. ამის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ წარმოება-დაწესებულებები არ ღებულობენ არავითარ ზომებს, რომ მეცადინეობის დროს გაანთავისუფლონ ის სამხედრო ვალდებულნი, რომლებიც მათთან მუშაობენ.

დღევანდლამდე არც ერთ წარმოება-დაწესებულებას არ უზრუნვია იმაზე, რომ სამხედრო ვალდებულთათვის შეექმნათ ხელსაყრელი პირობები მეცადინეობის წარმატებით ჩასატარებლად. პირიქით, მთელი რიგი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები გარდა იმისა, რომ არ ანთავისუფლებენ სამხედრო ვალდებულთ მეცადინეობის დროს, აჯარიმებენ მათ, უმცირებენ ხელფასს და, არის შემთხვევა, როდესაც ემუქრებიან სამსახურიდან მოხსნითაც.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. წარმოება-დაწესებულებებმა უნდა შეიგნონ, რომ ახალგაზრდობის მომზადება ჯარის გარეშე სწავლების წესით არის სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდა. წარმოება-დაწესებულებები ვალდებულნი არიან შეუქმნან მათთან მომუშავე ახალგაზრდებს სათანადო პირობები სწავლებისათვის და მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა მომზადება წარმატებით იქნას ჩატარებული.

ფართო გზა დამკვრელ ბრიგადებს

დამკვრელმა ფაბრიკა-ქარხნებმა საქმით უნდა გაამართლონ სახელწოდება

ბორჯომის სატკეჩე ქარხნის ადმინისტრაცია ხელს უშლის დამკვრელი ბრიგადების მუშაობას

დამკვრელი ქარხნები

დამკვრელ ბრიგადების მოძრაობა ფართოდ გაიშალა. ამჟამად არ არის თითქმის არც ერთი წარმოება, სადაც არ იყოს ჩამოყალიბებული რამოდენიმე დამკვრელი ბრიგადა. მაღალი ტემპებისათვის ბრძოლაში აქტიურად ებმება მუშების საგრძნობი რიცხვი. ყველგან ხდება მასების მობილიზაცია იმისათვის, რომ ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში შესრულდეს. ეს ლოზუნგი უკვე პრაქტიკულ საკითხად გადაიქცა. ამ ბოლო დროს მუშები აყენებენ საკითხს გეგმის არა 4 წელში შესრულების შესახებ, არამედ 3 ნახ. წელში. ბაქოს ნავთის წარმოების მუშებმა უფრო მოკლე ვადა დაისახეს. მუშების ის ენტუზიაზმი, რომელსაც ახლა აქვს ადგილი, უზრუნველყოფს ასეთ ღონისძიებების განხორციელებას.

დამკვრელი ბრიგადები გაიზარდენ უკვე დამკვრელ ქარხნებამდე. მთელი რიგი წარმოებები გადაიქცნენ დამკვრელ ქარხნებად. ეს იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ დამკვრელი ტემპით მუშაობაში ჩაბმული იქნება მთელი მუშათა მასა, რაც მოგვცემს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის კიდევ უფრო დაჩქარებას.

„26"-ის სახ. ქარხნის დამკვრელი ბრიგადა, რომელმაც 7 პროც. შეამცირა თვითღირებულება.

როგორი უნდა იყოს დამკვრელი ქარხანა? შეიძლება თუ არა წარმოების დამკვრელად გამოცხადება მარტო სურვილის გამოთქმით, მუშათა კრების დადგენილებით? ეს საკითხები ბევრისათვის გაურკვეველია და ამიტომ ადგილი აქვს დამკვრელი ქარხნების სახელწოდების დაკნინებას. ხშირად დამკვრელად ისეთ წარმოებებს აცხადებენ, რომლებიც ჯერ კიდევ როგორც წარმოებითი, ისე საზოგადოებრივი (მასიური) მუშაობის ტემპით მეტად ჩამორჩებიან.

მაგალითად, სხვა ქარხნებთან ერთად დამკვრელ წარმოებათ გამოიცხადეს თავი ქუთაისის აბრეშუმის ქარხანამ, ქუთაისის მაუდის ქარხანამ, თბილისის ანძთა მშენებელმა ქარხანამ („მაჩტოსტროი") და სხვა. საზოგადოებრივი და წარმოებითი მუშაობის ტემპით ეს ქარხნები ჯერ არ შეიძლება ჩაირიცხონ დამკვრელთა რიცხვში. მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ სხვებისათვის მისაბაძი იყვნენ.

წარმოებამ, თუ მას სურს დამკვრელი გახდეს, მან ეს უნდა დაიმსახუროს, ჯერ გახდეს ყველასათვის სამაგალითო და ამის შემდეგ აქვს მას უფლება თავისთავი გამოაცხადოს დამკვრელად. წარმოებამ ჯერ უნდა უჩვენოს სხვა წარმოებებს საუკეთესო მაგალითი საწარმოო პროგრამების შესრულების, თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სოციალისტურ შეჯიბრების ფართოდ გაშლის, მუშების საწარმოო აქტივობის გაძლიერების და სხვ. მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა ამა თუ იმ ქარხანას უფლება დამკვრელის სახელწოდების ტარებისა.

ის წარმოება, რომელიც ვერ ასრულებს საწარმოო პროგრამას, არ შეიძლება იქნეს დამკვრელი წარმოება. წარმოება, სადაც თვითღირებულების შემცირება არ ტარდება გეგმაზე ზევით დასახულ რაოდენობით, არ არის დამკვრელი წარმოება. იქ, სადაც სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ არ არის გაშლილი (ცალკე ცვლებს, საამქროებს, ბრიგადებს, ჯგუფებს და ცალკე მუშებს შორის), სადაც დამკვრელ ბრიგადების რიცხვი ცოტაა, ასეთი წარმოება არ შეიძლება დამკვრელად ჩავთვალოთ.

დამკვრელი წარმოება უნდა იყოს მაგალითი სხვადასხვა რაციონალურ ღონისძიებათა გატარებაში, ტეხნიკის გაუმჯობესების დარგში, საწარმოო პროცესების გამარტივებაში და სხ. დამკვრელ წარმოებაში არ უნდა იყოს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი მუშა. დამკვრელ წარმოებაში ყველა მუშები დამკვრელი ტემპით უნდა მუშაობდეს. არ უნდა ქონდეს ადგილი წარმოებისადმი წაგლეჯის თვალსაზრისით მიდგომას. დამკვრელ წარმოებიდან მუშების საერთო კრების გადაწყვეტილებით უნდა განდევნილ იქნან ისეთი პირები, რომლებიც სოციალისტურ მშენებლობის და ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპების საკითხებში მერყეობას იჩენენ, ვინც სოციალისტურ შეჯიბრებას ეწინააღმდეგება ან ხელს უშლის, ვისაც კლასიური მტრების გავლენის ქვეშ უვლია და სხვა.

დამკვრელ წარმოებაში ყოველ მუშას ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს შესწავლილი ხუთწლიანი გეგმა, რომ თვითეული მათგანი და ყველა ერთად ამ გეგმის განხორციელების ნამდვილი შეგნებული მებრძოლი გახდეს. დამკვრელ წარმოებაში წლიური საკონტროლო ციფრების და საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა უთუოდ უნდა ხდებოდეს მუშების აქტიური მონაწილეობით. თვითეულმა მუშამ უნდა იცოდეს ის კონკრეტული ამოცანები, რომელიც ამ წარმოების და მის ცალკე საამქროების წინაშე არის დასახული.

დამკვრელ ქარხანაში მუშაობის აქტივობა მაქსიმალურად უნდა იქნეს განვითარებული. საწარმოო თათბირები სამაგალითოდ უნდა მუშაობდნენ, ადგილი არ უნდა ქონდეს მუშათა საქმიან წინადადებათა განხორციელების გაჭიანურებას. გამომგონებლობისათვის უნდა შექმნილი იქნეს უაღრესად ხელსაყრელი პირობები და გამომგონებელთა რიცხვი თანდათანობით უნდა იზრდებოდეს.

დამკვრელ ქარხანაში უნდა იქნეს წარმოებული გადამწყვეტი ბრძოლა სამუშაო დღის მაქსიმალურად დატვირთვისათვის, მანქის შემცირებისათვის, წარმოების სხვადასხვა ნარჩენების გამოყენებისათვის და სხვ.

დამკვრელ ქარხანაში საზოგადოებრივი (მასიური) მუშაობა ისე უნდა იქნეს დაყენებული, რომ ქარხანა გახდეს მაგალითი სხვებისათვის ჩვენს წინაშე სხვადასხვა მნიშვნელოვან ახალ საკითხების დამუშავებაში და გატარებაში (მაგალითად, განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა, ერთმმართველობის განხორციელება). დამკვრელი წარმოების საქარხნო ორგანიზაციების (პარტიული უჯრედი, საქარხნო კომიტეტი) მუშაობა უნდა იქნეს დაყენებული საუკეთესოთ. ისინი არ უნდა უცდიდნენ „ცირკულიარებს" ზევიდან. უნდა იჩენდნენ ინიციატივას და ნამდვილად უნდა წარმოადგენდნენ მასების ორგანიზატორებს.

აი, ის აუცილებელი პირობები, რომელიც უფლებას მისცემს ამა თუ იმ წარმოების მუშებს თავის ქარხანა დამკვრელად გამოაცხადოს. სადაც ეს პირობები არ შესრულდება, იქ დამკვრელის სახელწოდების მიკუთვნება დაუშვებელია.

დამკვრელი ქარხანა—ნამდვილი მოწინავე, საჩვენებელი და ყველასათვის მაგალითის მიმცემი წარმოება.

ს. გ.

საქმით დავამტკიცეთ

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის ამწყობთა საამქროს მუშათა ერთმა ჯგუფმა (მექვაბეებმა), ამხ. მასო ბარბაქაძის ხელმძღვანელობით, პირველ დეკემბრიდან გამოაცხადა თავისი თავი დამკვრელ ბრიგადათ. ბრიგადამ თავისი სახელწოდება გაამართლა: პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 10 პროცენტით, სრულიად მოსპო სამუშაოს გაცდენა, ზესადარი, შეკეთების დრო 6 დღიდან დაიყვანა 5 დღემდე და საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ამგვარად დამკვრელმა ბრიგადამ საქმით უკვე დაამტკიცა თავისი დამკვრელობა.

ჯგუფის ხელმძღვანელი მ. ბარბაქაძე.

დამკვრელი საამქროები

(მეხუთე სტამბა)

მუშათა დამკვრელი ბრიგადების ჩამოყალიბებამ პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბაში მასიური ხასიათი მიიღო. სტამბის თითქმის ყველა საამქროებში შედგენილია დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ შრომის ნაყოფიერების ასაწევად, თვითღირებულების შესამცირებლად, უხარისხო პროდუქციის გამოშვების მოსასპობად და საერთოდ წარმოების გასაჯანსაღებლად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სტამბის ზოგიერთ საამქროში, შედარებით წინანდელთან, შრომის ნაყოფიერება 50 პროც. გაიზარდა და პროდუქციის თვითღირებულებაც საგრძნობლად შემცირდა.

მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან საქციდენტო, სალინოტიპო და ასოთამწყობი განყოფილებების მუშებმა მთელი საამქროები გამოაცხადეს დამკვრელებად. საქციდენტო განყოფილების მუშები პირობას იძლევიან, რომ თუ 1929-30 წლის სამრეწველო საფინანსო გეგმით მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულია 9.708.000 ასოს აწყობა, აწყობენ 10.678.000 ასოს, ე. ი. აწყობილი იქნება 10 პროც. მეტი გეგმასთან შედარებით. შემცირებული იქნება თვითღირებულება 96,5 კაპ-დან (ათასი ასო) 91,5 კაპიკამდე. გასულ წელს საქციდენტო განყოფილებაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი იყო 13 დღე, წელს სამუშაოს უმიზეზოთ გაცდენას ადგილი არ ექნება.

სალინოტიპო განყოფილებაში, სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების თანახმად, საფინანსო სამრეწველო გეგმით სამ უკანასკნელ კვარტალში გათვალისწინებულია 125.552.000 ნიშნის აწყობა. აიწყობა 138.073.000 ნიშანი, ე. ი. შრომის ნაყოფიერება გაიზრდება ათი პროც., თვითღირებულება შემცირდება 5 პროცენტით, გაუმჯობესდება მანქანების მოვლა-პატრონობა და სხვ.

ასოთ ჩამომსხმელი განყოფილების მუშები ღებულობენ თავიანთ თავზე შრომის ნაყოფიერების გაზრდას 20 პროც. (სამრეწველო-საფინანსო გეგმაში კი გათვალისწინებულია 10 პროც.) თვითღირებულების შემცირება საფინანსო-სამრეწველო გეგმით გათვალისწინებულია 10 პროც. მუშები ღებულობენ თავიანთ თავზე თვითღირებულება შეამცირონ 15 პროცენტით. და ამასთანავე გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, მოსპობენ სამუშაო საათების უმიზეზოთ გაცდენას და სხ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეხუთე სტამბის დამკვრელი საამქროები გაამართლებენ „დამკვრელი"-ს სახელწოდებას.

სტამბელი.

ბრიგადების მუშაობას ხელს არ უწყობენ

(ბორჯომის სატკეჩე ქარხანა)

ბორჯომის სატკეჩე ქარხნის მუშები აქტიურად არიან ჩაბმული წარმოების რაციონალიზაციის საქმეში. ინდივიდუალური შეჯიბრებაც ქარხანაში ფართოდ გაიშალა. ჩამოყალიბებულია მუშათა დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ წარმოების გასაუმჯობესებლად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მუშათა თვითმოქმედების ასეთ გაძლიერებას წარმოების რაციონალიზაციაში ქარხნის ადმინისტრაცია არ აქცევს შესაფერ ყურადღებას.

როგორც დამკვრელ ბრიგადის, ისე ქარხნის სხვა მუშებსაც აუარებელი განცხადებები შეაქვთ წარმოების რაციონალიზაციის შესახებ. ამ განცხადებების და წინადადებების ცხოვრ. გატარება დიდათ გააუმჯობესებდა წარმოებას, მაგრამ ადმინისტრაცია არამც თუ ცდილობს მუშათა წინადადებების თავის დროზე განხორციელებას, არამედ თვეობით და ხშირად მეტი დროითაც უყურადღებოთ ყრია მუშათა საქმიანი განცხადებები ადმინისტრაციის მაგიდის უჯრედებში. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს მუშათა შემოქმედებითი უნარიანობის გაძლიერებას.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, რომ შეუძლებელი იქნება სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლა და დამკვრელი ბრიგადების ნაყოფიერი მუშაობა.

ბორჯომის სატკეჩე ქარხნის ადმინისტრაციამ უნდა შეიგნოს, რომ მუშათა წინადადებების განხორციელება აუცილებელი პირობაა მუშათა შემოქმედების გაძლიერებისა და სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლისა.

სტალინის სახელობის ქარხნის კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადა სამუშაოზე.

—:—

მუშათა წინადადებების განხორციელებით ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს დამკვრელი ბრიგადების ნაყოფიერ მუშაობას.

ბორჯომელი.

შევამცირებთ თვითღირებულებას 15 პროც.

(ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა)

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთ. ქარხნის სადურგლო საამქროს გაფართოებულმა საწარმოო თათბირმა განიხილა სოც. შეჯიბრების ხელშეკრულება სადურგლო, საბორბლო-სახარატო, სახელოსნო და საბარგო ვაგონების საამქროებთან. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ორივე მხარემ მთელი ასი პროცენტით უნდა შეასრულონ საწარმოო გეგმა და ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება. ამ მიზნით სადურგლო საამქროს პირველ დამკვრელ ბრიგადიდან ამხ. ლუკა მელნიკოვმა და ისაკა ათაბეგაშვილმა, სოც. შეჯიბრებაში გამოიწვიეს: გერასიმე ჭიპინაძე, ეკლიზბარი ჭიჭინაძე, მესტვირიშვილი და რ. კვანტალიანის ბრიგადები. თვითღირებულების 15 პროც. შემცირებაში.

სადურგლო საამქრომ შეჯიბრებაში გამოიწვია აგრეთვე ამ. კავკასიის რკინის გზის სამასალე განყოფილება, რათა მან თავის დროზე მიაწოდოს ნედლი მასალა და საერთოდ უზრუნველჰყოს წარმოება ნედლი მასალით.

ლანტკურელი.

დამკვრელი ბრიგადა მილიციაში

სოციალისტური შეჯიბრების პირველი პერიოდი, თბილისის წითელ მილიციის მე-3 და მე-4 სამ. რაიონებს შორის, უკვე დამთავრდა. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა მე-4 სამილიციო რაიონი. შეჯიბრების შედეგების [illegible] შემდეგ მესამე სამილიციო რაიონის თანამშრომლებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ხელმეორედ გამოიწვიეს მეოთხე სამ. რაიონის თანამშრომლებმ, რომელთანაც უკვე დასდეს ახალი ხელშეკრულება სამი თვის ვადით. ორივე სამილიციო რაიონმა გამოჰყო დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც თავიანთი მუშაობით მაგალითის მიმცემნი უნდა სხვა თანამშრომლებისათვის.

ახალი ხელშეკრულების ძალით, რაიონის საქმიანობა გაუმჯობესებული იქნეს 100 პროცენტით. სასტიკი ბრძოლა და გამოცხადდეს სიმთვრალეს, საგუშაგოების მიტოვებას, საგუშაგოზე ძილს, უხეშ რობას და სხვ.

იმედია ორივე რაიონი გამოიჩენენ მეტ უნარიანობას და რაიონის მუშაობას აყენებენ სათანადო სიმაღლეზე.

კ. დანელია

დავიცვათ „ლ'იუმანიტე"

ბურჟუაზიის თავდასხმისაგან



FONDATEUR JEAN JAURÈS
30 CENTIMES
l'Humanité
ORGANE CENTRAL DU PARTI COMMUNISTE (S.F.I.C.)
ABONNEMENTS

შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ გაზ. „კომუნისტი"-ს შემდეგ მუშა-კორესპონდენტებს: ვასო ბარბაქაძეს, ნესტორ ჯავახიძეს (მთ. სახელოსნო), ვანო ხებრიალაშვილს, შაქრო ნავთლუღელს, ნიკო ასლამაზიშვილს, ვასო თევდორაშვილს (დეპო), გიგო ხერხეშვილს, ვანო მთვრალაშვილს (კოლ. ქარხანა), ივანე ჯავახიშვილს (რად. გაზეთი), ალექსანდრე ჩხეიძეს (მთ. სახელოსნო), სილიბისტრო ახალაძეს (რკ. გზ. სტ. გან.), გ. შინატებელს (ტრამვაი), ვალიკო ლალიაშვილს (ქუთაისი), დათიკო გვილავას (ქუთაისი), კოსტა ღვალაძეს (ჭიათურა), ტიგრან გოზალოვს (ხაშური), მეგავანაძეს (სად. ხაშური), გრიგოლ შავიშვილს (ბათომი), ბაგრატ ურინაიშვილს (სენაკი), სილიბისტრო გოგიბერიძეს (მოძრ. დარგი, თბილისი), სოლომონ დოლიძეს (რკ. გზ. დეპო), შალვა ვარიეშვილს (ა.-კ. მუშგლეხინი), ვანო ბალიაშვილს (რკ. გზ. სავაგონო ცეხი), სიო ხიდირთაველს (თბ. საქ. სადგური), შაქრო მამუკაშვილს (უნივერსიტეტი), შაქრო ტალიკაძეს (ქეჩის ქარხანა).

ნიკო იტრიევი.

ამხ. ალ. ბედიაშვილის გამოწვევით გაზეთ „ლიუმანიტე"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ამხ. ათანასე რუხაძეს, ვ. ლეჟავას, ტ. ჭანტურიას, ს. მეზვრიშვილს, დ. შიოშვილს, სოლ. გულისაშვილს, ექ. კარუხაშვილს, მიხა გრატიაშვილს, შ. რუხაძეს, ალ. მენაბდეს, ზ. ბათიაშვილს, ნ. ფირახიშვილს, ერასტი გულისაშვილს, მ. მჭედლიძეს, ი. ფიქრიშვილს და გ. მეზვრიშვილს.

ივ. დრეიძე.

გაზეთ „ლიუმანიტე"-ს დაცვის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს თბილისიდან: პაპასშვილი გიგო, ხუნწარია ვასილი, ნავთლუღელი შაქრო, კერესელიძე აკაკი, კარსანიძე სერგო. გორიდან: ქუთათელაძე ნიკოლოზ, ჭუმბურიძე. აჭარისტანიდან: გვარელ ოღლი სეით, ახობაძე, ეკუფ.

ნიკოლოზ ჯიბლაძე.

ამხ. ალ. ბედიაშვილის გამოწვევით „ლიუმანიტე"-ს დასახმარებლათ შემომაქვს ხუთი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: განსახკომიდან: სამ. ნუცუბიძეს, ვახ. ფანცულაიას და გ. მელიქიძეს, გაზეთ „ახ. კომ." რედაქციიდან: ამხ. აკ. მახათაძეს, ვ. მიქაძეს და ალ. თაბუკაშვილს. რკინისგზის მე-10 შრ. სკოლიდან: ვ. ბორჯაძეს, ირ. მშვილიძეს, შ. ნუცუბიძეს, ც. ჭყონიას, პ. ლეჟავას, ან. გვაძარიას და თ. რამიშვილს. სახ. უნ-დან: გ. ჭელიძეს, ვლ. აბუსერიძეს, გ. პერტაიას, გ. სხულუხიას და ი. ბაჯაძეს. მესამე კერიდან: ეთერი რაზიკაშვილს, ს. ბერიძეს, ნ. მეჭვაბიშვილს, გიორგაძეს (ლენრაიკომი), დ. ხვიჩიას, გ. ჯაკობიას და ლ. ძიძიგურს.

აკ. ქაროსანიძე.

საწარმოო პროგრამები უნდა შესრულდეს

(საუბარი ს. მ. უ. ს. კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. კევცოვთან)

მრეწველობის ზოგიერთ დარგებში საწარმოო პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით ს. მ. უ. საბჭომ გამოჰყო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს პრაქტიკულათ უხელმძღვანელოს მრეწველობის დარგში შენიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. კომისიის მიერ დღემდე ჩატარებული მუშაობის შესახებ ამხ. ი. კევცოვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საწარმოო პროგრამების შესასრულებლათ საჭიროა გვქონდეს პროდუქციის საქარხნო და კომერციული თვითღირებულების, შრომის ნაყოფიერების და სხვ. ნათელი სურათი. მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც ჩამორჩნენ საწარმოო პროგრამებს შესრულების მხრივ, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს არ მოეპოვებოდა არავითარი მასალები პროდუქციის თვითღირებულების შესახებ. ეს მასალები კი საჭიროა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობს საწარმოო პროგრამების შესრულების საქმე—ან რამდენად ჩამორჩება წარმოება ამ მხრივ.

ჩვენს კომისიას დავალებული აქვს, რომ მიიღოს ყოველგვარი ზომები საწარმოო პროგრამების სრული 100 პროცენტით შესასრულებლათ. ამ მიზნით კომისიამ მოიწვია ყველა ტრესტების მმართველებისა და ბუხჰალტერების თათბირი, რომელზედაც გადაწყდა, რომ თვითეულმა ტრესტმა ყოველთვიურათ წარმოადგინოს ცნობები პროდუქციის თვითღირებულების შესახებ. ასეთი ცნობების მიღების შემდეგ, ჩვენ უკვე გვეცოდინება, თუ რა აბრკოლებს კონკრეტულათ საწარმოო პროგრამების შესრულებას და ან რა საკითხი უნდა იქნეს მოგვარებული პირველ რიგში.

მეორეს მხრივ მიღებული გვაქვს ორგანიზაციული ხასიათის ზომებიც იმისათვის, რომ მრეწველობის ჩამორჩენილი დარგები რაც შეიძლება მოკლე ხანში დაწინაურდნენ საწარმოო პროგრამების შესრულების საქმეში. ამ მიზნით—აფხაზეთში, აჭარისტანში, ქუთაისში, ტყიბულში, ჭიათურაში, გორში, ბორჯომში და სხვ. იგზავნებიან სპეციალისტთა კომისიები, რომლებსაც დავალებული აქვთ ადგილებზე გამოარკვიონ მდგომარეობა და შეიმუშაონ საჭირო ღონისძიებები შენიშნული დეფექტების გამოსასწორებლათ.

კომისიამ მიიღო წინასწარი ცნობები ზოგიერთი ტრესტების მიერ საწარმოო პროგრამების შესრულების შესახებ მიმდინარე წლის 1-ლი კვარტალისათვის. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ბევრმა ტრესტმა ვერ შესძლო საწარმოო პროგრამის შესრულება. თამბაქოს ტრესტმა, მაგალითად გეგმა ვერ შეასრულა 10 პროცენტით, რაც უსათუოდ დიდ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს.

ყოველმა ტრესტმა, ყოველმა ფაბრიკა-ქარხანამ და თვითეულმა მუშამ დღეს თავის ლოზუნგათ უნდა გაიხადოს—საწარმოო პროგრამის შესრულება სრული 100 პროცენტით. მე ვფიქრობ, რომ მეორე კვარტალის განმავლობაში ჩვენი მრეწველობა შესძლებს ნაკლოვანებების გამოსწორებას და აპრილისათვის დაფარავს იმ დანაკლისს, რომელიც მათ აქვთ პირველ კვარტალში საწარმოო პროგრამების შეუსრულებლობის გამო.

ზარები კულტურული და სამეურნეო მშენებლობისათვის

თბ. მშრომელთა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება

გუშინ, ამხ. მ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაადგინა: თბილისის პროლეტარიატის და მშრომელ მოსახლეობის მოთხოვნილების თანახმად, ეკლესიებიდან ჩამოიხსნას ზარები და გადაეცეს ლითონის მრეწველობას.

ზარების ღირებულებიდან შემოსული თანხები, პრეზიდიუმის დადგენილებით, მოხმარდება თბილისში ზოოლოგიურ და კულტურულ დასვენების ბაღების მოწყობას.

ოლქში ჩამოხსნილი ზარების გაყიდვით შემოსული თანხები მოხმარდება სასკოლო მშენებლობას და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ადმინისტრატიულ განყოფილებას დაევალა ჩაატაროს ზარების აღრიცხვა.

მშრომელ ეზიდების საქალაქო კონფერენცია

გუშინ საღამოს „ავტოკლუბის" დარბაზში გაიხსნა თბილისში მცხოვრებ მშრომელ ეზიდების მე-2 საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ცხაკაიამ, რომელიც კონფერენციას მიესალმა საქ. მთავრობის სახელით.

თავის შესავალ სიტყვაში ამხ. ცხაკაიამ დაახასიათა სოციალისტური მშენებლობის და კულტურული რევოლუციის მიღწევები და აღნიშნა, რომ მშენებლობის წარმატებას ებრძვის როგორც ნეპმანი, კულაკი და ყოველგვარი კონტრ-რევოლუციონური ელემენტი, ისე განსაკუთრებით ჩვენში ჯერ კიდევ დარჩენილი ძველი დროის დახავსებული ადათ-ჩვეულებები, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერია კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნულ უმცირესობათა შორის.

საჭიროა სასტიკი ბრძოლა ამ ადათ-ჩვეულებების წინააღმდეგ.

შემდეგ არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი 13 კაცის და საქმიანი პრეზიდიუმი 23 კაცის შემადგენლობით.

პირველად კონფერენციამ მოისმინა იუსტიციის სახკომისარიატის წარმომადგენლის ამხ. პავლიაშვილის მოხსენება: „კანონი ქორწინების შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კანონმდებლობაში ქორწინების შესახებ საგანგებოთ დაცულია ქალის სრულუფლებიანობა, მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ დარჩენილია ადათ-ჩვეულებები, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კანონებს და სჩაგრავენ ქალებს. ასეთი ადათ-ჩვეულებებია: ქალის მოტაცება, „ყალიმი"—(ქალის ყიდვა) და მცირეწლოვან ქალების გათხოვება.

ყველა ეს ადათები, გარდა იმისა, რომ უფლებრივათ სჩაგრავენ ქალებს, უარყოფით გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ მშვიდობიანობაზე და ამ ხალხის მატერიალურ მდგომარეობაზე. ხშირია შემთხვევა, რომ ხსენებულ ბოროტმოქმედებათა ჩამდენი დაუსჯელი რჩება, ვინაიდან ბოროტმოქმედების შესახებ ცნობა არ მიდის ხელისუფლებამდე. ხსენებულ ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრა შესაძლო იქნება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კანონმდებლობის განხორციელებას ხელს შეუწყობს მშრომელი მასა. ამასთანავე საჭიროა კულტურული მუშაობის გაძლიერება.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

12 იანვარს, საღ. 6 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში
(რუსთაველის პრ. № 21)
ამიერ-კავკასიის და საქ. მუშგლეხინი იწვევენ
სპეციალისტთა აქტივის ფართო თათბირს
თათბირზე მიწვეულნი არიან სპეციალისტები—ინჟენერები, ტეხნიკოსები, აგრონომები, მეტყევეები, ეკონომისტები, ექიმები და აგრეთვე საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების სექციისა და ბიუროს წარმომადგენლები,
თათბირის დღის წესრიგი:
1. ამხ. ა. ნაზარეთიანის მოხსენება: სპეციალისტების მონაწილეობა მუშგლეხინის მუშაობაში
2) ამხ. ივანოვ-კავკასკის მოხსენება: ა.-კავკასიისა და საქართ. მუშგლეხინის მუშაობის გეგმა 1929—30 წლისათვის.
3) ორგანიზაციული საკითხები.
ნ. 49 3—2

ქრონიკა

სას.-სამ. გადასახადის აკრეფა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სას.-სამ. გადასახადის განყოფილების ცნობით, 1 იანვრისათვის მთელ საქართველოში სას.-სამ. გადასახადი აკრეფილი იყო 2.494.098 მანეთის რაოდენობით. აქედან ახალქალაქის მაზრაში აკრეფილი იყო 145.207 მან., ახალციხის მაზრაში— 99.424 მანეთი, გორის ოლქში— 204.611 მან., კახეთში— 742.798 მან., თბილისის ოლქში— 612.140 მან., ზუგდიდის მაზრაში— 99.443 მან., ქუთაისის ოლქში— 333.610 მანეთი, ოზურგეთის მაზრაში— 24.954. მან., სენაკის მაზრაში— 47.356 მანეთი, აჭარისტანში —24.043 მანეთი, აფხაზეთში— 94.732 მანეთი და სამხრეთ-ოსეთში — 63.780 მანეთი. მთელი აკრეფილი თანხიდან მიმდინარე წლის გადასახადი შეადგენს 2.473.159 მან., ნარჩენები 6.980 მან. და საურავი—13.959 მან. ინდივიდუალურ წესით დაბეგრილთა გადასახადი აკრეფილია 1.187.177 მანეთის რაოდენობით.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან

გორის ოლქში წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის წარმატებით ჩატარების მიზნით, დაარსდა წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი შტაბი.

გორის 10 წლედების უფროსი ჯგუფების მოსწავლეებმა თავიანთი თაოსნობით გახსნეს 4 ლიკპუნქტი, სადაც უცოდინარებს თვითონვე ასწავლიან წერა-კითხვას.

მოგებათა გაცემა

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მე-5 ტირაჟის მოგებათა გაცემა სახ. ბანკის თბ. კანტორამ დაიწყო 29 დეკემბერს. 10 იანვრამდე სახ. ბანკის კანტორის მიერ განაღდებულია 730 მოგება—გაცემულია 58.700 მანეთი. სხვათა შორის სახ. ბანკის თბილისის კანტორას წარუდგინეს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პროცენტიანი გამოშვების ობლიგაცია სერია—39.951, № 17, რომელსაც ამ სესხის მე-4 ტირაჟში (თბილისში) ხვდა 5.000 მანეთიანი მოგება.

თავდაცვა-ავიაქიმის მე-4 ლატარია

სახ. ბანკის თბილისის კანტორა შეუდგა თავდაცვა-ავიაქიმის მე-4 ლატარიის ბილეთების რეალიზაციას.

პროლეტარიატის და კლასთა ბრძოლის მუზეუმი

მარქს-ენგელსის ინსტიტუტი თბილისში აწყობს პროლეტარიატის და კლასთა ბრძოლის მუზეუმს. მუზეუმისათვის შესაფერი შენობის გამონახვა თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას.

საბავშო ბაღების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

მარიამ ორახელაშვილის სახელობის საბავშო ბაღის დამხმარე საბჭომ ბაღების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადადო 50 მანეთი და გამოიწვია პირველ, მე-2, 3, 4 და მე-5 საბავშო ბაღების დამხმარე საბჭოები.

თბ. ალმასკომში

◆ ავჭალის წყალსადენში სისუფთავის დასაცავად და წყლის გასაწმენდათ ალმასკომმა გადადო 31.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ კადრების მომზადებასთან დაკავშირებით საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში დამატებით მიღებული იქნება 300 ახალგაზრდა მუშა.

◆ დამცველთა კოლეგიის წევრთა წრეზე დაიწყება კვირას, 12 იანვარს, საღამოს 6 საათზე, იუსტ. სახ. კომისარიატის შენობაში.

◆ სახელმწიფო გამოცდები საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაიწყება 1930 წლის პირველ თებერვლიდან. განცხადებების მიღების უკანასკნელი ვადა არის 25 თებერვალი.

◆ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში შაბათს, 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის შენობაში, შესდგება სხდომა, რომელზედაც წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებები: პ. გ. აკრიტას—აღმოსავლეთ საქართველოს ბირინები, (ისტორ.-გეოგრ. და ეთნოგრ. მიმოხილვა). დ. კარბელაშვილი—საქართველოს ტოპონიმიკა, „მოამბის" სარედაქციო კოლეგიის ორგანიზაცია.

ხელოვნების ქრონიკა

ნინო ალექსი-მესხიშვილის კონცერტი

ახლო ხანში თბილისში გაიმართება მსახიობი-ქალის ნინო ალექსი-მესხიშვილის კონცერტი. გასულ ზაფხულამდე ნინო ალექსი-მესხიშვილი მუშაობდა რუსთაველის თეატრში. უკანასკნელ ხანებში მან ხელი მიჰყო საესტრადო მუშაობას. განვლილ შემოდგომაზე მისივე ინიციატივით მომღერალთა კოლექტივმა მოაწყო საკონცერტო მოგზაურობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, სადაც იმართებოდა კონცერტები თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში.

ნინო ალექსი-მესხიშვილი წარმატებით გამოდიოდა თბილისის მუშათა კლუბებში.

დ. ლ.

მომხმარებელთა სურსათ-სანოვაგით მომარაგების პერსპექტივები

(მუშკოოპის წარმომადგენლის მოხსენება)

თბილისის მშრომელი მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების შესახებ, საქ. კ. პ. (ბ) „26"-ის კომუნარის რაიკომის პლენუმზე ვრცელი მოხსენება გააკეთა მუშკოოპის წარმომადგენელმა ამხ. აფტისოვმა.

მომხსენებელი შეეხო მუშკოოპის ორგანიზაციის მუშაობის საერთო მდგომარეობას, დაწვრილებით შეჩერდა თბილისის მომხმარებელთა სურსათ-სანოვაგით მომარაგების პერსპექტივებზე და აღნიშნა, რომ მუშკოოპის წევრთა მოთხოვნილება კართოფილზე წლიურად უდრის 360 ათას ფუთს. გასულ წელს მუშკოოპმა გაანაწილა სულ 120 ათასი ფუთი, მიმდინარე წლისათვის გეგმით გათვალისწინებულია 500 ათას ფუთზე მეტი კართოფილის დამზადება, დღეს-დღეობით უკვე შეძენილია 300 ათასი ფუთი და განაწილებულია 200 ათასი ფუთი. იმედია, რომ კართოფილის დამზადება-მიწოდების გეგმა მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელებული იქნება.

გასულ წელს მუშკოოპმა გაანაწილა 15 ათასი ფუთი კომბოსტო. წელს გეგმით განზრახულია 30 ათასი ფუთის შეძენა. დღემდე უკვე გაანაწილეთ 20 ათასი ფუთი. ხახვის შეძენა განზრახულია 40 ათასი ფუთის რაოდენობით. ზამთრის ხილი გასულ წელს რეალიზაციაქმნილი იყო მუშკოოპის მიერ 20 ათასი ფუთის რაოდენობით (ვაშლი, მსხალი და სხვ.). მიმდინარე წლის გეგმით განზრახულია 50.000 ფუთის შეძენა, უკვე მიღებულია და განაწილებული 35.000 ფუთი ხილი. ხილზე მოთხოვნილება დიდია. რაც შეეხება რძით მომარაგებას, მოთხოვნილებასა და მიწოდების მხრივ არსებობს უდიდესი განსხვავება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წელს წარსულთან შედარებით გაცილებით მეტ რძეს ვაწვდით მოსახლეობას. რძის მიწოდების პერსპექტივები არა სასურველ მდგომარეობაშია, რამაც გვაიძულა შემოგვეღო რძეზე ტალონების სისტემა. თუშური ყველით მომარაგების საქმეც არ არის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. სათანადო ორგანიზაციები ჩვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებების შესრულებაზე უარს აცხადებენ. ხელშეკრულება დადებულია 40 ვაგონ ყველის შესაძენად, მაგრამ ამ ხელშეკრულების შესრულებას საფრთხე მოელის. გეგმით გათვალისწინებული გვქონდა 84 ვაგონის ბრინჯის შეძენა, ჯერ-ჯერობით კი მიღებული გვაქვს მხოლოდ 6 ვაგონი. განზრახული იყო შაქრის 800 გრამის მაგიერ სულზე 1200 გრამის გაცემა, მაგრამ ვერ მოხერხდა. შაქრის არსებული ნორმა სტაბილიზაციურ მდგომარეობაში დარჩება. სარეცხი საპონი თვითეულ წიგნაკზე თვეში გაიცემა ერთი ნაჭერი. დასავლეთ საქართველოში მოუსავლიანობამ დიდათ შეუშალა ხელი გეგმით გათვალისწინებულ ლობიოს შეძენას. ამ წელს მოსახლეობის ხორცით დაკმაყოფილების მხრივაც არახელსაყრელი მდგომარეობას ექნება ადგილი. ამიერიდან ფიზიკურ მუშებზე გაიცემა სულზე 150 გრამი ხორცი, დანარჩენებზე 100 გრამი დღეში; ხორცის გაცემა იწარმოებს კვირაში ხუთ დღეს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოსული მუშები აღნიშნავდნენ, რომ სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმეში მუშკოოპს ბევრ რამეში მიუძღვის ბრალი. ნავთზე, რომელიც ბლომად მოგვეპოვება, გადმოზიდვის მოუწესრიგებლობის გამო, ხშირად სავაჭროების წინ რიგები იქმნება. ასევე ითქმის შეშაზე და სხვა.

კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმმა მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი მოხსენების ირგვლივ, რომელთა განხორციელება დაევალა მუშკოოპის გამგეობას.

რა ხდება სატრანსპორტო კოოპერაციის სავაჭროებში

6 იანვრიდან ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა მუშათა დროებითმა საკონტროლო კომისიამ, რომელიც იკვლევდა „ზაკტპოს" მუშაობას თბილისის ფარგლებში.

კომისიის მუშაობიდან ჩანს, რომ ჩვენი კოოპერატივი ჯერ კიდევ ვერ არის უზრუნველყოფილი სათანადო კადრით. თითქმის არ არის არც ერთი მაღაზია, ხორცის გასაიდი წონები და სხვა, რომ კომისიის წევრებს არ ჰქონდეთ შედგენილი აქტი ამა თუ იმ დეფექტის შესახებ.

სავაჭროებში ადგილი აქვს ხორცის გაყიდვას უცხო პირებზე. (სადგურის ქუჩაზე) ნახევარ და ერთ ფუთობით. საქონლის გადამალვას (საბაღოს ქუჩა), ერთ სავაჭროში გადამალული იყო 7 კილო საპონი, ფქვილი, შაქარი, ფართალი და სხვა. ზოგიერთ მაღაზიის გამგეები და შიგ მომუშავე პარტიული ამხანაგი, იმასაც კი ვერ ამჩნევენ, რომ მათ სარდაფში ათას ფუთობით კართოფილი ფუჭდება (დიდუბე).

ძალიან ამბები ხდება იქ, სადაც ყოველდღიურად ტრიალებენ გამგეობის, სარევიზიო კომისიის და სადუქნო კომისიის წევრები. რაღა იქნება ხაზებზე, სადაც გამგეობის წევრები წელიწადში ორჯერაც ვერ ხედებიან. აქედან შეიძლება ითქვას, რომ „ზაკტპო"-ს სავაჭროების თანამშრომელთა 80 პროცენტი არა სასურველი პირები არიან. ამიტომ სრულიად დროულია და მიზანშეწონილი დადგენილება ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციისა იმის შესახებ, რომ რკინის გზის სატრან. კოოპერატივის აპარატის წმენდა უნდა ჩატარდეს ამ ახლო ხანში. რაც მალე მოგვარდება ეს საქმე, მით უფრო მალე შეეძლება ჩვენი კოოპერატივის გაჯანსაღება.

შ. ზარბაძე.

უთავო მუშაობის ნაყოფი

ხიდისთავის ნავთსაქაჩავ სადგურში წყალი ამოვიდა

გორი, 10 იანვარი (საკუთ. კორ.). ხიდისთავში ნავთსაქაჩავ სადგურის მშენებლობის დაწყებამდე მუშები უმტკიცებდნენ „ზნავთმშენის" ადგილობრივ სამშენებლო კომისიას, რომ სადგურის შენება იმ ადგილზე, სადაც ამას ინჟინრები ფიქრობდნენ, შეუძლებელი იყო, მაგრამ სამშენებლო კომისიამ თავისი გაიტანა და შეუდგა სადგურის აშენებას ჭაობიან ადგილზე. სადგური მზათ უნდა ყოფილიყო გასული წლის ივნისში, მაგრამ ჯერაც არაა დამთავრებული და, რაც აშენებულია, ისიც გაფუჭდა. სამანქანო განყოფილებაში რკინა-ბეტონით გაკეთებულ იატაკში წყალმა ამოხეთქა. მანქანები წყლითაა დაფარული. ამის გამო სადგური ვერ იქნა გაშვებული. როგორც ირკვევა, სადგურის შეკეთება მოითხოვს რამდენიმე ათი-ათას მანეთს.

მუშები მოითხოვენ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას.

ქ. მ.

აფხაზეთი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

თამბაქოს ჩაბარება

წარსულ თვეში დაიწყო თამბაქოს ჩაბარება. გლეხობა აბარებს ახალ მოსავალს. ამ ჩაბარების მსვლელობაზეა დამოკიდებული საფერმენტაციო ქარხნის დროზე დატვირთვა და დამზადებული ნედლეულის გაგზავნა თამბაქოს ქარხნებში.

თამბაქოს მიღებას აწარმოებს „ზაკგოსტორგ"-ი და „ტაბაკსირიო"-ს კანტორა.

ტამიშის რაიონში „ზაკგოსტორგ"-მა ერთი თვის განმავლობაში სულ ჩაიბარა 100 ბარდანა (კიპი) თამბაქო, ხოლო „ტაბაკსირიომ" იმავე ხნის განმავლობაში და იმდენივე შტატით ჩაიბარა 7.000 ბარდანა.

ასეთივე სურათი გვაქვს სხვა რაიონებშიც.

ამავე დროს პარალელური მუშაობა ზრდის ხარჯებს, იწვევს მთელ რიგ გაუგებრობას, უსარგებლო მიწერ-მოწერას და სხვა.

სხვათა შორის, ამ პარალელიზმისა და შეუთანხმებლობის გამო საწყობში უამრავად აწყვია 12.000 ფუთი თამბაქო.

როგორც მცოდნე პირები ამბობენ, მთელი საექსპორტო თამბაქოს დამზადება რომ „ტაბაკსირიო"-ს ღონიერი და მოქნილი აპარატის ხელთ ყოფილიყო, დამზადების გეგმა იმდენად შესრულდებოდა, რომ შეუსრულებლად დარჩენილი ნაწილის დაფარვა შესაძლებელი იქნებოდა თამბაქოს არასეზონური ფერმენტაციით.

რა გაიზიდა საზღვარგარეთ

წარსული წლის ოქტომბერში და ნოემბერში აფხაზეთიდან გატანილ იქნა საზღვარგარეთ 90.000 მანეთის ხე-ტყე, 640.000 მანეთის თამბაქო და სანიმუშო მანდარინი (გერმანიაში).

დეკემბერში და იანვარში გატანილ იქნება 30.000 მანეთის თამბაქო გერმანიაში და ერთ მილიონ მანეთზე მეტის—ამერიკაში.

იანვრის დამლევიდან დაიწყება ხე-ტყის მასალის გატანა კოდორის ახალი ქარხნიდან თვეში 150.000 მანეთის რაოდენობით.

მუშები ანხორციელებენ მთლიან კოლექტივიზაციას

კოდორმშენის მუშათა საზოგადო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ ვსარგებლობთ ლოზუნგით, რომ „ყოველი სოციალისტური საწარმოს ირგვლივ უნდა იყოს სოციალისტური გარემო" და ვკისრულობთ შეფობას სოფელ ვარჩეზე და არზაუბაზე, რომლებიც კოდორის ქარხანას ეკვრიან; ვისახავთ მიზნად, რომ ეს ორი სოფელი 1930 წლის მაისამდე გადავიყვანოთ მთლიან კოლექტივიზაციაზე.

ამასთან ერთად, კოდორის ქარხანა კისრულობს ჩაატაროს დაკვრითი წესით საშეფო მუშაობა. მოეწყო ნებაყოფლობითი მუშათა ბრიგადა, რომელმაც უნდა გააერთიანოს მთელი ძალები და საშუალო აქტივი და შეუდგეს პრაქტიკულ მუშაობას კოლექტიური მეურნეობის შექმნის ირგვლივ.

გამოყოფილია სამი მოწინავე მუშა კოლექტივებში მუდმივ სამუშაოდ.

„კოდორმშენის" მუშები იწვევენ—წაბაძონ მათ მაგალითს ტყვარჩელმშენის, გაგრის ხე-ტყის ქარხანა № 1, ავეჯის ფაბრიკის და ყველა იმ საწარმოთა მუშებმა, რომლებიც სოფლების მახლობლად იმყოფებიან.

ამ დადგენილებას ხელს აწერს 120 მუშა.

ამ დადგენილებას შეუერთდნენ „კოდორმშენის" ინჟინერ-ტექნიკური ძალებიც. ეს უკანასკნელნი აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი თავიანთი ძალა და ცოდნა მოახმარონ იმას, რომ რაიონში განხორციელდეს მთლიანი კოლექტივიზაცია. ისინი კისრულობენ შეასწავლონ გლეხებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხმარება და მოამზადონ ტრაქტორისტების საჭირო კადრი. გამართონ სარემონტო სახელოსნო და, პირველ რიგში, ააგონ ელექტრონის წისქვილი.

კოდორმშენის რამდენიმე აფხაზმა და მეგრელმა მუშამ შეიტანეს განცხადება, რომ ისინი თავიანთ მიწას და ინვენტარს გადასცემენ ახლად შექმნილ კოლექტიურ მეურნეობებს.

ნ. შეჟბა.

სასამართლო

ვინ ჩაყლაპა 2.500 მანეთი?

სახელმწიფო ბანკის დუშეთის სააგენტო ფაქტიურად ორი კაცის ხელში იყო. ერთი გახლდათ სააგენტოს გამგე ქრისტეფორე ჩაველიძე თეთრუაშვილი, მეორე კი—მოლარე ხოფრომ ზედგინიძე.

ბანკის სააგენტოს ოპერაციის წესი ასეთი იყო: ყოველი თვის დასაწყისში გამგეს და მოლარეს უნდა შეემოწმებია შენახული ფული, ფასიანი ქაღალდები და შეედარებიათ სათანადო საბუთებთან.

საკუჭნაო დაკეტილი იყო რკინის ორი კარით, რომელთაც გარედან ჰქონდა ორი ლუქის ბეჭედი; ერთი მოლარის, მეორე—თვით გამგის.

ფულების და ფასიანი ქაღალდების შესანახი ყუთი იკეტებოდა სამი სხვადასხვა კლიტებით. საკუჭნაოს ერთი კარის გასაღები ჩაბარებული ჰქონდა გამგეს, ხოლო მეორე კარის და ყუთის სამივე გასაღები ჰქონდა მოლარეს.

როგორც ხედავთ, ცალ-ცალკე ვერც გამგე და ვერც მოლარე საკუჭნაოში ვერ შევიდოდა. სიფრთხილე იქამდე აღწევდა, რომ ერთმანეთისაც კი არ ეხდობოდნენ. ერთ კარს ერთი გააღებდა, მეორე—მეორეს უნდა გაეღო. სამუშაოს გათავების შემდეგ ფულებს ითვლიდნენ ერთად, ერთადვე ალაგებდნენ ყუთში, ყუთსაც ერთად ლუქავდნენ, ერთი სიტყვით, იჩენდნენ უსასტიკეს სიფრთხილეს.

მაგრამ ერთ დღეს, სახელდობრ გ. წ. 1 ოქტომბერს საკუჭნაოში აღარ აღმოჩნდა წინა დღით შენახული 2.500 მანეთი.

ვინ გაქურდა, ვინ ჩაყლაპა? არავინ იცის.

მოლარე ზედგინიძე ლაპარაკობს, რომ ეს მოწყობილია გამგის მიერ, რადგან ის მუდამ ცდილობდა მის მოხსნას სამსახურიდან.

გამგის თუ დავუჯერებთ, ფულს მოლარე გაიტანდა, რადგან მისი სამსახურის დღეები მაინც დათვლილი იყო. მას, როგორც ძველ ბიუროკრატ მოხელეს მაინც გავაგდებდით წმენდის დროსო. მანაც „მარაგი გაიკეთა უმუშევრობის დროისათვის".

ბევრი იმტვრია თავი გამომძიებელმა, ბევრი იმტვრიეს თავის მოსამართლემ და სახალხო მსაჯულებმა სასამართლოში, მაგრამ ყოვლად შეუძლებელი გახდა იმის გამორკვევა, თუ ვინ ჩაყლაპა 2.500 მანეთი.

დუშეთის უბნის სახალხო სასამართლომ ორთავეს დააკისრა დაკარგული, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, გაფლანგული ფულის ანაზღაურება და გარდა ამისა, მიუსაჯა თითოს 1 წლით და 6 თვით პატიმრობა.

ცილისწამებისათვის

მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლომ გაასამართლა მოქ. ალექსანდრე ჯიხვიშვილი და აიკანუშ კარაპეტიანი, რომელთაც კერძო ინტერესით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს მოქ. სოლომონ ხიზინაშვილის წინააღმდეგ. ჯიხვიშვილმა და კარაპეტიანმა ხიზინაშვილს მოუგონეს, მცირეწლოვან ბავშვის გახრწნის ცდა. სასამართლოში გამორკვეულ იქნა, რომ ხიზინაშვილი ცილის წამების მსხვერპლი გახდა. ხიზინაშვილი გამართლებულ იქნა, ხოლო პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ჯიხვიშვილი და კარაპეტიანცი.

ცილისწამებისათვის მათ მიესაჯათ სამ-სამი თვით პატიმრობა, რაც შეეცვალათ პირობით—3 წლის ვადით.

ზერ.

ყაჩაღების გასამართლება

ზუგდიდი, 9 იანვარი. (საკ. კორ.). 2 იანვარს უზენაეს სასამართლოს სესიამ ქალაქ ზუგდიდში დაიწყო დავით ჩუხუას, თეოფანე სიჭინავას, გერმანე ახალაიას, მაქარ არახამიას, პატო ჩუხუას, პარმენ კაკუტიას, ბესა ჩუხუას, ისაკ კემულარიას, ესტატე ჩუხუას და სხვების საქმის გარჩევა. ხსენებულმა პირებმა 1928 წელს შეადგინეს შეიარაღებული ბანდა და გაძარცვის მიზნით სისტემატიურად თავს ესხმოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. 1928 წლის ზაფხულში მათ მოახდინეს 8 შეიარაღებული თავდასხმა. მათ აწიოკებული ჰყავდათ მთელი მაზრის მოსახლეობა. ბანდიტები დაპატიმრებულ იქნენ ზუგდიდის მაზრის მილიციის მიერ.

მთელ რიგ მოწმეთა ჩვენებით დადასტურდა, რომ იონა კემულარია და ესტატე ჩუხუა ხელმძღვანელობდნენ ამ შეიარაღებულ ბანდას. **რის გამო მათ, როგორც გამოუსწორებელ ბანდიტებს, მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.** პარმენ კაკუტიას, ბესა ჩუხუას მიესაჯათ ათ-ათი წლით, დანარჩენებს კი—შვიდ-შვიდი წლით პატიმრობა სასტიკი იზოლაციით.

მსჯავრდადებულებმა სასჯელის შეცვლა ითხოვეს საქართველოს ცაკის წინაშე.

შვიდ იანვარს დაიწყო ჩხოროწყუს თემის მცხოვრებ ხერიოფა წურწუმიას საქმის გარჩევა. მან ბანდიტური თავდასხმის დროს მოჰკლა კომკავშირის აქტიური წევრი ამხ. მიხეილ ხეწელია. სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხანაგი ბოცვაძე.

ქოდუა.

შემთხვევები

ყაჩაღების თავდასხმა

ლაგოდეხის რაიონში, სოფ. გურგენიანის უღელტეხილზე 5 იანვარს, დღის 4 საათზე, ლაგოდეხის ბაზრიდან მიმავალ მგზავრებს თავს დაესხნენ ყაჩაღები და გაძარცვეს 65 კაცი; მათ შორის ორი მასწავლებელი ქალი, ერთი მათგანი, კომკავშირელი ქალი დაჭრილია ხელში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

დაპატიმრებულია მცირეწლოვანი: ისაკ არონის ძე გორონოვი და ივანე ნიკოლოზის ძე ჩერნოვი, რომლებიც ეწეოდნენ ქურდობას.

მკვლელობა

გრიგოლ უზურიანს (მცხ. გოგოლის ქუჩა № 49) წმენდის დროს გაუვარდა რევოლვერი. ტყვია მოხვდა მის მამას—ლეონ უზურიანს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

აღმოჩენილია ნაქურდალი სხვადასხვა ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში.

დაპატიმრება ბოროტმოქმედების ადგილზე

გაქურდეს მიხეილ მაჭავარიანის ბინა (თავისუფლების ქუჩა № 4), საიდანაც წაიღეს 300 მანეთის ნივთები. ქურდი დააპატიმრეს ბოროტმოქმედების ადგილზე, ნაქურდალი ნივთებით. იგი აღმოჩნდა ეორა ყაზარის ძე ოსტაპოვი.

ქურდობა

გაქურდეს სონა იაკობაშვილის ბინა (ერმიაძის ქუჩა № 41), საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—ილია წიქარიძის ბინიდან (ნაკრასოვის ქ. № 9) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

პატიმრების გაქცევა

კედლის გამონგრევის საშუალებით თბილისის სისხლის სამართლის მილიციის საპატიმროდან გაიპარნენ: ტომასკარი, იოსებ მარტიროსოვი და ი. აკოფოვი.

შეპყრობა

ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ლომიძის ბინის გაქურდვისათვის დააპატიმრეს ივანე დავითის ძე კოსტანიანი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1929 წ. დეკემბრის 30.

1930 წ. უქმე, არა სამუშაო და დასვენების განსაკუთრებულ დღეების შესახებ

შრომის კანონთა კოდექსის 111,112 და 113 მუხ. და სსრ კავშირის სცს 1929 წ. სექტემბრის 24-ს თარიღით „იმ საწარმოებსა და დაწესებულებებში, რომლებიც გადადიან განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე, სამუშაო დროისა და დასვენების დროის შესახებ" გამოცემულ დადგენილების თანახმად,— საქართველოს სსრ შრომის სახკომისარიატი ადგენს:

I.

1. იმ საწარმო-დაწესებულებებში, სადაც შემოღებულია განუწყვეტელი საწარმოო კვირა,— აკრძალულია მუშაობის წარმოება შემდეგ რევოლუციონურ დღეებში:

ა) ოთხშაბათი—22 იანვარი—1905 წ. იანვრის, 9-ს და ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღე.

ბ) ხუთშაბათი 1 და პარასკევი 2 მაისი—ინტერნაციონალის დღეები;

გ) პარასკევი 7 და შაბათი— 8 ნოემბერი—ოქტომბრის რევოლუციის წლის თავის დღეები.

შენიშვნა 1: ამ მუხ. აღნიშნულ დღეებში მუშაობა სწარმოებს: ა) საწარმოებში, სადაც მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია საწარმოო-ტეხნიკური პირობების გამო; ბ) საწარმოო დაწესებულებებში, სადაც მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია საზოგადოებრივი ხასიათის მიზეზების გამო (საავადმყოფოები, ტელეფონის სადგურები, ტრამვაი, ელსადგურები, წყალსადენი და სხვ.) და გ) აუცილებელ სარემონტო სამუშაოთა წარმოებებში.

შენიშვნა 2: დანარჩენი რევოლუციონური შემთხვევების უქმობა სწარმოებს მუშა-მოსამსახურეთა მუშაობისაგან განუთავისუფლებლად.

შენიშვნა 3: რევოლუციონური უქმეები სამუშაო კვირის ანგარიშში არ ითვლება.

2. თვითეული მუშაკის ყოველკვირეულ დასვენების დღეთა რიცხვი ხუთდღიანი სამუშაო კვირაზე გადასულ საწარმოო-დაწესებულებებში უნდა იყოს არა ნაკლები 72-სა წელიწადში, იმ ყოველკვირეულ დასვენების დღეების ჩართვით, რომელიც ხვდება ზოგიერთ შვებულებას.

3. განუწყვეტელი ყოველკვირეული დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 39 საათზე ნაკლები.

ი) საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაკებისათვის, რომელნიც მუშაობენ ორ ან უფრო მეტ ცვლად, დასაშვებია ყოველკვირეული დასვენების დროის შეჯამებული აღრიცხვა, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე ოთხი სამუშაო კვირისათვის. ამ შემთხვევაში თვითეული ყოველკვირეული დასვენების ხანგრძლივობა შეიძლება დაწესებული იქნეს 39 საათზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არა ნაკლებ 24 საათისა და უნდა იყოს საშუალოთ სააღრიცხვო პერიოდისათვის არა ნაკლებ 39 საათისა.

4. აკრძალულია—მუშაკს არ მიენიჭოს განუწყვეტელ ყოველკვირეული დასვენება მისთვის დადგენილ დღეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მუშაკი მოწვეული იყო სამუშაოზე მისთვის დაწესებულ ყოველკვირეულ დასვენების დღეს აუცილებელ სამუშაოს შესასრულებლად, მას უნდა მიეცეს ყოველკვირეული დასვენების დღე უახლოეს ორი სამუშაო კვირის განმავლობაში.

არ დაიშვება ყოველკვირეული დასვენების დღის შეცვლა ფულადი კომპენსაციით.

მუშაობა რევოლუციონურ დღესასწაულებში, განსაზღვრული 1-ლი მუხლის 1-ლ შენიშვნით, ანაზღაურებული უნდა იქნეს:

ა) სამუშაო დროის მიხედვით ხელფასის გაცემისას—გაორკეცებულ სატარიფო განაკვეთის (ჯამაგირის) ოდენობით, დაწესებულ დანამატებით ნამუშევრის საზღაურის ჩართვით.

ბ) ნარდით ხელფასის გაცემისას ორკეცი სანარდო შეფასების მიხედვით.

შენიშვნა: მუშაკის თანხმობით ფულადი კომპენსაცია შეიძლება შეიცვალოს მისთვის სხვა გამოსასვლელი დღის მინიჭებით.

6. სამუშაო—ხანგრძლივობა რევოლუციონური დღეების და დასვენების ყოველკვირეული დღეების წინა დღეს გათანასწორებულია დანარჩენ დღეების სამუშაო დროის ხანგრძლივობასთან.

II.

7. იმ საწარმოო დაწესებულებებისათვის, სადაც განუწყვეტელი საწარმოო კვირა შემოღებული არ არის 1930 წ. გამოცხადდეს შემდეგი უქმე, არა სამუშაო და დასვენების განსაკუთრებული დღეები:

ა) უქმე დღეები

1. ოთხშაბათი 1-ლი იანვარი —ახალი წელი.
2. ოთხშაბათი —22 იანვარი —1905 წ. 9 იანვრის და ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღე.
3. სამშაბათი —25 თებერვალი— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე.
3. ოთხშაბათი—12 მარტი —თვითმპყრობელობის დამხობის დღე.
5. სამშაბათი —18 მარტი —პარიზის კომუნის დღე.
6. ხუთშაბათი 1-ლი და პარასკევი 2 მაისი—ინტერნაციონალის დღეები.
7. პარასკევი —7 და შაბათი 8 ნოემბერი—ოქტომბრის რევოლუციის წლის თავის დღეები.

ბ) არა სამუშაო დღე

8. შაბათი— 20 სექტემბერი — მიძღვნილი ბაქოს დაღუპულ 26 კომუნარის ხსოვნისადმი.

გ) დასვენების განსაკუთრებული დღეები

9. ორშაბათი 16 ივნისი.
10. ორშაბათი 14 ივლისი.
11. ორშაბათი 4 აგვისტო.
12. ორშაბათი 25 აგვისტო.

2. მე-2 თავის პირველ მუხლის „ა" პუნქტში ჩამოთვლილ დღეების წინა დღეებში სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს.

3. უქმე, არა სამუშაო და დასვენების განსაკუთრებულ დღეებში მუშაობა (ამა დადგენ. მე-2 თავის 1-ლი მუხ.) უნდა სწარმოებდეს ისეთ წარმოებებში, რომელთა შეჩერება არ შეიძლება მუშაობის წარმოების ხასიათის გამო.

4. თვიურად შრომის ხელფასის გაცემის დროს მუშა-მოსამსახურეებს არ გამოექვითებათ თვიურ გასამრჯელოდან ყოველკვირეული დასვენების (შრომ. კან. კოდ. 109 მუხ.) უქმე, არა სამუშაო და დასვენების განსაკუთრებული დღეების (ამა დადგ. მე-2 თავის 1-ლი მუხ.) ხელფასი. აგრეთვე არ გამოექვითებათ ყოველკვირეულ დასვენების და უქმეების წინა დღეების ორი შეღავათიანი საათისათვის.

5 ხელფასის დღიურად გაცემისას ყოველკვირეული დასვენების და უქმე დღეების (ამა დადგენ. მე-2 თავის 1-ლი მუხ. პ. „ა") წინა დღეებში შემოკლებულ სამუშაო დღისათვის მომუშავეთ ეძლევა სრული დღიური ხელფასი და არაფერი დაიქვითება შეღავათიან ორი საათისათვის.

6. დასვენების ყოველკვირეულ დღეების და უქმეების (ამა დადგ. მე-2 თავის 1-ლ მუხ. პ. „ა") წინა დღის შეღავათიან საათებისათვის ხელფასის გაცემის და ანგარიშის გასწორების წესი ნარდათ მომუშავე ან საათობრივ ხელფასის მიმღებ მუშებისათვის შეტანილი უნდა იქნეს კოლექტიურ, ან შრომის ხელშეკრულებაში.

იმ შემთხვევაში, როცა ეს დამატება შესულია ნარდ შეფასებაში, ან სატარიფო განაკვეთში, ამის შესახებ მოხსენებული უნდა იქნეს კოლექტიურ ან შრომის ხელშეკრულებაში.

7. ყოველკვირეულ დასვენების, უქმე, არა სამუშაო და დასვენების განსაკუთრებულ დღეებში შესრულებულ სამუშაოს (შრომ. კან. კ. 109 მუხ. და ამა დადგენილების მე-2 თავის 1-ლი მუხ.) ჯილდოს რაოდენობა არ შეიძლება იყოს ნორმალური გასამრჯელოს ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები, ყოველკვირეულ დასვენების და უქმე დღეების (შრომ. კან. კოდ. 109 მუხ. და ამა დადგ. მე-2 თავის 1-ლ მუხ. პ. „ა") წინა დღის შეღავათიან საათებში მუშაობისათვის ჯილდო გაცემული უნდა იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე ნორმალურ ჯილდოს ერთ ნახევრის რაოდენობით.

8. ჯილდო გაიცემა ნორმალურ რაოდენობით, როცა ყოველკვირეული დასვენების, ან უქმე დღის ნაცვლად მუშებს ეძლევათ 42 საათი დასვენება იმავე კვირის სხვა დღეს, ან უკეთუ არა სამუშაო დღის, ან დასვენების განსაკუთრებულ დღის ნაცვლად მათ ეძლევათ სხვა გასასვლელი დღე.

შეღავათიან საათებში მუშაობისათვის დამატებით ჯილდოს ნაცვლად დასვენების საათების მიცემა კვირის სხვა დღეს, ყოველკვირეულ და უქმე დღის განუწყვეტლივ 42 საათის დასვენების განუწყვეტლობის დარღვევით არ დაიშვება.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის 1930 წ. იანვრის 1-დან.

საქ. შრომ. სახკომისარი **მჟარეულაშვილი.**
შრომ. დაც. გან. გამგე **სოსანაშვილი.**
შეთანხმებულია საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმთან: **ბ. მახაიძე.**

მეცნიერება და ტეხნიკა

საჰაერო მიმოსვლა ციმბირი-ალიასკა

ამოცანები, რომლებსაც „საბჭოთა ქვეყნის" გადაფრენა ისახავდა მიზნათ—საჰაერო მიმოსვლის დამყარება ციმბირსა და ალიასკას შუა—არც ისე შორს არის განხორციელებიდან.

მიმდინარე წლის ზაფხულზე სვენსონის ბეწვეულის კომპანიამ (ნიუ-იორკში) ხელშეკრულება დასდო საბჭოთა, „პუშტორგთან" საბჭოთა კავშირში ბეწვეულის შესყიდვაზე. სვენსონის კომპანიამ ბეწვეულის გადასაზიდად ციმბირის ნაპირებისაკენ გაგზავნა მოტორიანი ხომალდი „ნანუკ". „ნანუკ" დაიტვირთა 1 მილიონ გირვანქა სტერლინგის ბეწვეულით და როცა უკან ბრუნდებოდა, ყინულებში მოხვდა ნორდ-კაპის ნაპირებთან.

სვენსონის კომპანიამ მაშინ მიიწვია მფრინავები ეიელსონი და დორბანდტი, რომლებიც საცურაოებიან აეროპლანებით ნომიდან (ალასკა) გაფრინდნენ ნორდ-კაპისაკენ, რომლის ნაპირებთან, გარდა „ნანუკ"-ისა, იმყოფება ყინულებში ჩარჩენილი საბჭოთა გემი „სტავროპოლი". მფრინავებმა ორივე გემიდან ნომში გადაიყვანეს ექვსი კაცი და წაიღეს აგრეთვე ბეწვეულის დიდი ნაწილიც. მფრინავებს განზრახული ჰქონდათ ხუთ გზის გაკეთება დარჩენილი ხალხის გადასაყვანად და ბეწვეულის წასაღებად, მაგრამ მეორე გაფრენის დროს ორივე მფრინავი თოვლიანი გრიგალის გამო იძულებული შეიქნა დაშვებულიყვნენ ყინულებში—ეიელსონი—ნორდ-კაპის რაიონში, დორბანდტი კი—ტელერის რაიონში (ალასკა).

შენიშვნა: როგორც მკითხველებმა იციან, შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა და სამხედრო სამინისტრომ და აგრეთვე სენატორმა ბორამ სთხოვეს საბჭოთა მთავრობას დახმარების აღმოჩენა ამერიკელი მფრინავების მოძებნაში და მათ გადარჩენაში. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღო ზომები შეერთ. შტატების მთავრობის თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ელექტრო-ენერგია მდინარის შლამიდან

გერმანელი ინჟინრები ამჟამად ახდენენ მეტად საინტერესო ცდებს მდინარის შლამის გამოსაყენებლად ელექტრო-ენერგიის მიღების მიზნით. აღმოჩნდა, რომ მდინარეთა შლამი, რომელიც მდიდარია ორგანიული ნარჩენებით, საკმაოდ დიდი თბიერება აქვს. ცდების ობიექტს წარმოადგენს რეინის ერთ-ერთი შესართავის ფსკერიდან ამოღებული შლამი. შლამს აშრობენ, შემდეგ მისგან ამზადებენ ბრიკეტებს და სწვავენ ფეჩებში, რომლებიც ათბობენ უზარმაზარ ქვაბებს. ამ ქვაბების ორთქლით სარგებლობენ ელექტრო-დენის გენერატორების ასამუშავებლად. გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ მდინარების შლამის თბიერება მხოლოდ რამდენიმედ ნაკლებია, ვიდრე ტორფისა და ქვანახშირის. მისი თბიერება ტორფის და ქვანახშირის თბიერების 60 პროცენტს შეადგენს.

მდინარეების შლამის გამოყენებას ფართო მასშტაბით ორმაგი სარგებლობის მოტანა შეუძლია: გაიწმინდება მდინარეების ფსკერი და მიღებული იქნება იაფი ელექტრო-ენერგია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

12 იანვარს, დილის 11 საათზე, ამხ. ალ. ქუთიკაშვილთან (მე-10 ოთახი) დანიშნულია თათბირი „სამხედრო ნაწილებში კოლმეურნეობის მუშაკთა მომზადების საკითხებზე".

მოწვეულნი არიან სამხედრო მუშაკებს გარდა, ძამანაშვილი (კოლ. მეურნ. ცენტრ.), ქარახანიძე (კ. პ. ცეკა), გ. გაბუნია (მიწსახკომი), ხუგაკი (საქ. ჩაი), მთვარელიძე (განსახკომი), ხეჩეგიოვი (ოოიის პოლიტგანყ.), გიგინეიშვილი (საქ. მებამბ. კოოპ.), ვ. კანდელაკი (სას.-სამ. ინსტიტუტი). ზემოაღნიშნული ამხანაგების დასწრება დაუყოვნებლივ აუცილებელია.

—:—

შაბათს, საღამოს 7 საათზე, საქ. კომ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება გაფართოებული თათბირი პარტგანათლების შესახებ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული მიმდინარე პოლიტიკის წრეების ყველა ხელმძღვანელების და აგრეთვე მამასახლისების დასწრება სავალდებულოა.

—:—

ა. ლ. კ. კ. თბილისის საოლქო კომიტეტის მიმღები/კომისია აცხადებს, რომ დღეს, 11 იანვარს, საღ. 6 საათზე, შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. იმ ამხანაგების დასწრება, რომელთა საქმეები მიღებულია გასარჩევად სავალდებულოა.

—:—

დღეს, 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ს. ს. პ. ი. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა, დასწრება წევრ-კანდიდ. სავალდებულოა.

12 იანვარს, საღ. 6 საათზე, აგიტ. პროპ. მომუშავეების ცენტრალურ კაბინეტში შესდგება კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელის მუშაკთა სემინარული მუშაობა, ქართულ და რუსულ ენებზე.

——

სახ. პოლიტექ. ინსტიტუტის კ. პ. (ბ) ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ ა.-წ. 11, 12, 13 იანვარს იწარმოებს საამშენებლო ფაკულტეტის კ. პ. (ბ) წევრთა და კანდიდატთა ხელ-ახალი რეგისტრაცია. რეგისტრაცია იწარმოებს ბიურო-კოლექტივის ოთახში უჯრედის ტექნიკურ მდივანთან, საღ. 5 ს.—8 საათამდე.

—:—

დღეს, 11 იანვარს, სრულ 12 საათზე შესდგება სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის ორგთათბირი. სხდომაზე აუცილებლად უნდა დაესწრონ ცალკე უჯრედთა ბ.-ბი, მდივნები, აგიტპროპორგანიზატორები, აკადემ-ორგანიზატორები და ტექნიკური მდივნები.

——

ლენინის რაიონის სადელეგატო კრების მე-5 ქართული ჯგუფი სოც. შეჯიბრების გამო იწვევს ქალ. რაიონ. სად. კრების მე-6 ჯგუფს, რისთვისაც საჭიროა უკანასკნელმა გამოგზავნონ წარმომადგენლები ხელშეკრულების დასადებათ, სამშაბათს 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე რკინის გზის სამმართველოში, ოთახი № 214.

——

საქ. პროფსაბჭოს წევრებს 1921 წ. ამხ. მოწონელიძეს (ხაშურიდან) და გაბისკირიას (ფოთიდან) სთხოვენ შეიარონ საქართველოს პროფსაბჭოს საისტორიო განყოფილებაში.

სამუდამოთ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ანეტა, გულდამწვარი [illegible] სიძე იოსები პატარა ენვერით, ნათესავები: მიხადორი, დათიკო, ვერა, თამარა, და ლიუბა ქელბაქიანები, ძმა დავით ქაჯაია აუწყებენ ნათესავთ და [illegible], რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და საყვარელი

ანტონ (ანტოშკა) გიორგის-ძე
ქაჯაია

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, გოგოლის ქუჩა, № 50. დაკრძალვა კვირას, 3-ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 182

გულითადი მეგობრები პ. კაჭკაძე, მ. გორდელაძე, დ. აღლაძე, ბუჭულა, ლენა მგალობლიშვილები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 7 იანვარს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ანტონ გიორგის-ძე ქაჯაია

სამოქალაქო პანაშვიდი ბინაზე დღეს, საღამოს 6 საათზე, გოგოლის ქ. № 50, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, კვირას, 12 იანვარს, ნაშ. 3-ნახ. საათზე.

სენაკის მაზრის მ. გლ. და წ. არმ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ა/წ. 12 იანვარს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. სენაკში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მაზრაღმასკომის თავმჯდომარის ყოფ. მოადგილის, ძვირფას

ამხ. მამანტი მურზაყანის-ძე მიმინოშვილის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

დამწუხრებული შვილები: სიმონი, მარო ქმარშვილით: რძალი ბარბარე, ძმისწული: გრიგოლი, სიძეები: ვანო გეგელაშვილი და ალექსანდრე მეძღლიშვილი თავიანთ ცოლშვილით იუწყებიან მათთვის ძვირფასი

ხვთისო მამამთავრიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 12 იანვარს, 3 საათზე,—ბინიდან, 9 იანვრის ქ. № 6. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 177

ღრმად მწუხარებაში მყოფი: რძალი ელისაბედი ხოფერიასი, მაზლისშვილები ვლადიმერი და ანდრო ცოლშვილით, ხუხუ, კატუშა, ცაცუ, ელენე ქმარშვილით, თათუშა, გოგუცა და ბაბუცა იუწყებიან მათი საყვარელი აღმზრდელი ბიძის (ბიდუ)

მატო გაგუნიას ასული ხოფერიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 12 იანვარს, 1-ელ საათზე, სოფელ შხეფში. 174

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ილარიონ, მაზლი ამბაკო, მაზლის შვილები სანდრო და მარუსია აუწყებენ საზოგადოებას, რომ 9 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ოლღა ქიშვარდის ასული ჩიმოშიძე-კვაჭანტირიძისა

დაკრძალვა მოხდება სამშ., 14 იანვ., დღის 2 საათ., სოფ. ოქრო ქედში (გურია). ნ. 74

ღრმად დამწუხრებული მშობლები მარიამი და ვასილი ხომასურიძეები, დები: თამრო და ქეთო, დეიდა ლიზა, მამიდები: ფინა, ანნა და ლიზიკო; ბიძები კოლა და ვანო იუწყებიან

პატარა ციალას

გარდაცვალებას. გამოსვ. ბინიდან, კობის 9. 4 საათ, დაკრძალვა ვერის ახალ სას. 184

ღრმად დამწუხრებულნი პაპა ალექსანდრე, ძია ლადო თავის ცოლ-შვილით და დეიდა ელისაბედ გურგენიშვილები აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ და საყვარელ

პატარა ციალა ხომასურიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 11 იანვარს, დღის 4 საათ. საკუთარ ბინიდან—კობის ქუჩა № 19.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

შაბათს, 11 იანვარს, აბონემენტის გარეშე, დამს. მსახ. ე. მ. პოპოვას და ალექსანდრე პიროგოვის მონაწილეობით **ლაკმე**
მუდმივი შესასვლელი ბილეთები და კონტრამარკები ძალაში არ არის
კვირას, 12 იანვარს, მე-9 აბონ. მე-3 წარმ.
ფატმა მუხტაროვას და ნ. ნ. ოზეროვის მონაწ. **კარმენ**

ყველა სააბონ. წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი იყიდება ჩვეულებრივი წესით. თეატრის სალაროები ღიაა დღის 12-დან 2 საათამდე და საღამოს 4 ნახ.-დან 9 საათამდე. იმ აბონემენტების მფლობელნი, რომლებსაც მე 9 აბონემენტის მე-4 შესატანი არ გადაუხდიათ, არ იქნებიან დაშვებულნი წარმოდგენაზე.

ნ. 43

აპოლო — უცხოეთის საუკეთესო ფილმი **მეორე სიცოცხლე** [illegible] მონაწ.

სოლეი — მხატვრული კომედია **ლეიტენანტი რილეი** დუგლას მაკ-ლინ ს მონაწ.

პალასი — სეზონის საუკეთესო ფილმი **ძველი და ახალი**

მინიონი — დადგმა რეჟისორების ს. ეიზენშტეინის და ალექსანდროვის

არფასტო — I სეანსზე კულტფილმი **ავადმყოფი ნერვები**; II, III და IV სეანსებზე ლედი გამილტონი

დარბაზი — ო. ჟიზნევა მხატვრულ სურათში **უცხო ქალი**; სატირიკოს შაცკის და მომღერალ ო. ლოსევაიას გასტროლები

მალე—მეზღვაური ტალაი, ლიანდაგი გუგუნებს 0—7

„საქნავთმშენი"

შეუდგა მუშაობას

მისამართი, თბილისი, კომინტერნის ქ., № 6, მე-3 სართული

167 2—1

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სოც. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელ. [illegible] 8—94.
შაბათს, 11 იანვარს

დიდი სადებიუტო წარმოდგენა
ახლად ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით
I დებიუტი ტრიო ალტაისი ● I დებიუტი დუო დიკსი
აგრეთვე ამ წარმოდგენებში მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.
კვირას, 12 იანვარს დიდი წარმოდგენა დღისით
სპეციალურად შედგენილ პროგრამით ბავშვთა და მოზრდილთათვის.
დღის წარმოდგ. დასაწყ. 2 საათზე, ღამის წარმოდ. დასაწყ. საღ 8-ნახ. ს.
დირექცია.
ნ. 62

რუსთაველის თეატრი
შაბათი 11 იანვარი

ვ. ივანოვი
ანზორ
გად. შანშიაშვილის მიერ „ჯავშანი"
14—69 დან.
ნ. 71

ოზურგეთის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

მ. მაქსიმენიშვილი

ამით აცხადებს, რომ 15 იანვარს 930 წლისა, დღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება სილაურის თემში ვასილ გაბრიელის-ძე ეჯენიძის კუთვნილი ერთერთი საცხოვრებელი ოდა-სახლი. წაბლის ხის მასალით, ოთხი საცხოვრებელი ოთახით, დახურული კრამიტით, ერთი ნახევარი ნაწილი ეკატერინა თავდგირიძის და ანტონ ეჯენიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ოზურგეთის უბნის სახალხო სასამართლოსაგან სხვა და სხვა დროს გაცემული აღმასრულებელი ფურცლებისა № 682 716. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა დაიცვას საზ. სამ. საპრ. კოდექსის 311, 312 და 313 მუხლები. გასაყიდი ქონება შეფასებულია 90 მანეთად და ამ თანხიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. თუ რაიმე მიზეზის გამო აღნიშნულ რიცხვს საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, იმ შემთხვევაში მეორე საჯარო ვაჭრობის დღეთ დანიშნულია 23 იანვარი. 178

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- ქუთაისის მე-3 უბ. სახ. სასამ. აღმასრ. ფურცელი № 3337, გაცემული — შალიკო მამარდაშვილის სახელზე. ნ. 69
- ფეიქართა პროფკავშირის წიგნ. ლენა ჩიქოვანის სახელზე. ნ. 9
- ორი პურის წიგნ. (1-სულის და 3 სულის)—პლატონ მელიტონის-ძე კოჩქიას სახელზე. ნ. 69
- საბინაო დავთ.—კლემენტი მიხეილის-ძე გოლოვატის სახელზე. ნ. 69
- დამზღ. სალარ. წიგნ. № 5198 გიორგი ძოწენიძის სახელზე. ნ. 69
- ორი პურის წიგნ.—ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე ყრუაშვილის სახ. ნ. 69
- პურის წიგნ. № 15910 ნოე თავაძის სახელზე 176
- სამხ. სააღრიცხვო წიგნ. № 1403 კარლო სიჭინავას სახელზე. 179
- მუშკ. წიგნ. № 18913 ტერენტი პავლეს-ძე შაქათაძის სახელზე. 183
- პირად. მოწმ. ალექსანდრე გიორგის-ძე კარაპეტიანცის სახელზე. 181
- კავშ. წიგნ., საანგ. წიგნ. პირად. მოწმ. № 64 აბრამ სვანიშვილის სახელზე. 172
- პირად. მოწმ. სერგო სოლომონის-ძე არუთინოვის სახელზე. 175

თვითგანვითარებისთვის და საშემოდგ. გამოცდებისათ.

ვამზადებ
მოწაფეებს

7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. **უმაღლეს სასწავლებელში,** მე-9-რე ჯგუფ. შე ასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც. ნახვა და ჩაწერა 1-7 საათამდის მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს ყოფ. (ვორონცოვის მოედანი). პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5. იკითხეთ მასწავლებელი მ ქუდის სახელოსნოში, ან საპარიკმახეროში. 10 1 161

სიმინდის ბარდა
(საქონლის საკვები)
ყოველდღიურად იყიდება ქარხანა „[illegible]"-ში რიყის ქ. № 13.
ტელ. 21-65 2—1 159

მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს:
ათწლედის გასათავებლად, უნივერსიტეტისათვის, სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკულტეტისათვის და სხვ.
აქვე ვასწავლი
ლამაზ წერას
მოკლე დროში, (რუსულ და ქართ.) სდგება ახალი ჯგ. საბუღალტრო კურსებზედ შესასვლელად. მუშებს შეღავათი 30 პრ.—50 პრ-მდი ნახვა: დილის 10-12 და საღ. 4-6 ს ტფილისი, საიათნოვის ქ. № 12, (ყოფ. კათოლიკური) თავისუფლების ძეგლთან.
ქც. 4071 25—1

თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივი

მუშკოოპის გამგეობა

აუწყებს მუშკოოპის მეპაიეთ, რომ 11, 12 და 13 იანვარს

შეშა გაიცემა ქვემოდ ჩამოთვლილი ორდერებით:

1844 - 3378 - 942 - 874 - 1110 - 1578 - 360 - 472 - 1358 - 1977
1265 - 1376 - 718 - 876 - 798 - 1364 - 2435 - 1285 - 331 - 3239
716 - 1896 - 703 - 603 - 1124 - 1658 - 21 - 472 - 2107 - 2569
3433 - 1742 - 2508 - 731 - 1122 - 3450 - 1912 - 2508 - 2415
1677 - 1963 - 4215 - 1173 - 1531 - 626 - 1099 - 2081 - 4472
831 - 2436 - 764 - 3480 - 413 - 914 - 753 - 3240 - 2663 - 2203
3423 - 160 - 3290 - 1090 - 1139 - 1096 - 1360 - 817 - 195 - 2209
2120 - 224 - 1076 - 2126 - 2054 - 1108 - 1358 - 819 - 178 - 3372
3389 - 396 - 2012 - 2134 - 681 - 1963 - 670 - 821 - 1165 - 309
2634 - 372 - 548 - 179 - 640 - 475 - 1773 - 408 - 1827 - 3287
3543 - 1447 - 447 - 338 - 687 - 1094 - 1856 - 340 - 376 - 2412
235 - 2043 - 596 - 1057 - 3398 - 2534 - 3153 - 334 - 857 - 834
174 - 2105 - 1158 - 1138 - 609 - 465 - 1070 - 816 - 4632 - 562
3076 - 2881 - 1156 - 155 - 212 - 2672 - 368 - 767 - 4613 - 619
529 - 837 - 1164 - 178 - 3101 - 2391 - 3532 - 216 - 602 - 737
986 - 1949 - 587 - 329 - 3102 - 683 - 1380 - 767 - 2457 - 777
3214 - 758 - 2628 - 1326 - 749 - 685 - 2616 - 1028 - 2459 - 84
625 - 1208 - 2642 - 4784 - 913 - 460 - 2924 - 2906 - 2460 - 2672
2027 - 1169 - 418 - 1014 - 725 - 2104 - 210 - 2888 - 2458 - 1807
963 - 2138 - 333 - 1091 - 530 - 2592 - 938 - 409 - 3291 - 1803
1339 - 3190 - 252. 328 - 9 - 1094 - 3181 - 339 - 224 - 611 - 1058
2459 - 1181 - 592 - 548 - 3343 - 2078 - 652 844 - 1650 - 848
2457 - 606 - 902 - 370 - 697 - 3047 - 316 - 1069 - 1660 - 2023
2460 - 2720 - 1844 - 135 - 2406 - 2067 - 417 - 2535 - 1650 - 957
2458 - 1118 - 1659 - 772 - 525 - 641 - 3066 - 1117 - 2218 - 961
1070 - 2202 - 3465 - 546 - 3063 - 1463 - 3195 - 797 - 3387 - 1323
2720 - 1670 - 3466 - 1630 - 2651 - 415 - 3221 - 2685 - 3384
1320 - 561 - 410 - 2045 - 1073 - 163 - 222- 345 - 3553 - 754
2635 - 906 - 3181 - 264 - 1100 - 1476 - 2456 - 600 - 292 - 2720
1041 - 437 - 715 - 1364 - 3326 - 3028 - 666 - 621 - 2546 - 1234
1022 - 299 - 1363 - 2060 - 3145 - 489 - 613 - 1514 - 4276 - 1565
496 - 1234 - 441 - 3167 - 904 - 612 - 1377 - 940 - 1009 - 2539
1240 - 2541 - 3548 - 179 - 1360 - 695 - 908 - 3390 - 3121 - 659
295 - 2376 - 3372 - 1364 - 726 - 734 - 377 - 410 - 378 - 3122
223 - 2463 - 356 - 1128 - 1654 - 2663 - 1358 - 1928 - 2378 - 306
1637 - 534 - 2717 - 1240 - 920 - 68 - 308 - 762 - 4346 - 1130
4126 - 1316 - 2730 - 310 - 1062 - 752 - 561 - 2117 - 70 - 718
247 - 2581 - 401 - 2068 - 286 - 1075 - 306 - 1790 - 1214 - 1711
726 - 408 - 914 - 469 - 1149 - 864 - 2883 - 826 - 352 - 2667
2616 - 996 - 1743 - 323 - 2111 - 2639 - 2888 - 751 - 2526 - 803
462 - 2647 - 2068 - 917 - 1971 - 135 - 405 - 2563 - 1469 - 1727
1622 - 521 - 775 - 2585 - 445 - 2504 - 744 - 1318 - 848 - 2646
2958 - 848 - 178 - 646 - 759 - 2651 - 534 - 957 - 429 - 2129
3178 - 2608 - 135 - 1122 - 424 - 2626 - 212 - 340 - 2097 - 1124
756 - 3122 - 787 - 624 - 1666 - 690 - 3430 - 184 - 1733 - 838
2580 - 3086 - 482 - 324 - 1425 - 791 - 2056 - 2036 - 680 - 1090
815 - 1642 - 324 - 1034 - 1274 - 767 - 1384 - 994 - 3450 - 1076
1272 - 3340 - 171 - 1155 - 1141 - 2010 - 1270 - 972 - 173 - 367
176 - 1088 - 1264 - 2050 - 1038 - 2714 - 701 - 3381 - 1268 - 713
212 - 216 - 146 - 1880 - 1278 - 1069 - 4218 - 4126 - 772 - 1886
1266 - 472 - 2568 - 1283 - 317 - 2714 - 1276 - 1632 - 1142 - 3096
128 - 1358 - 2730 - 736 - 3210 - 306 - 1021 - 912 - 3415 - 1100
1455 - 1912 - 184 - 1724 - 1675 - 1827 - 1724 - 2081.

შენიშვნა: ის პირები, რომლებიც აღნიშნულ დღეებში არ წაიღებენ შეშას, დაკმაყოფილებული იქნებიან სულ ბოლოს. მუშკოოპის მეპაიენი, რომელთაც აქვთ შეშის ორდერები და არ მიუღიათ შეშა, ასეთები უნდა გაატარონ აღრიცხვაზე მუშკოოპის სათბობ განყოფილებაში (მაზუთის შესახვევი № 5).

ნ. 75 **მუშკოოპის გამგეობა.**

თბ. სახ. უნივერსიტეტის გამგეობა ამით აცხადებს კურს-დამთავრებულ სტუდენტთა საყურადღებოთ, რომ თანახმად დადგენილებისა უნ-ტიდან გაცემული

დროებითი დიპლომები უქმდება

1930 წ. ბოლოს, რის მაგივრად მათ უნდა მიიღონ ნამდვილი დიპლომები. ა. წ. 1-ლ მაისამდე საჭიროა კურს დამთავრებულ სტუდენტებმა წარმოადგინონ: დრ. დიპლომები, განცხადებები და 15 მან. უნ-ტის სალაროში.

ნ. 58 3—2 **უნ-ტის გამგეობა.**

კოოპ. არტელები „შეგნება" და „კვება" ახდენენ ძველი მუშაობის ლიკვიდაციას,

ამისათვის სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, ვისაც რაიმე პრეტენზიები აქვთ ამ არტელებისადმი, განაცხადონ ორი კვირის ვადაში (პლეხანოვის ქ. № 82), რის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

ნ. 72 **სალიკვიდაციო კომისია.**

ტირაჟი—45.012

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩ. № 68.

მთავლიტი № 904